აფხაზებს ტრეფიკინგის კიდევ ერთი მსხვერპლი გამოექცათ A2

იატაკქვეშა ომი A8

სახლი ვაშლების ბაღში B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 3 სექტემბერი, 2004 წელი. №209 (758)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## დასვენება დამთავრდა, იწყება მუშაობა



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ელჩებს ჰპირდება, რომ მათ ყველა ნაბიჯს გააკონტროლებს.

A2

### ეკონომიკა

## რიჩარდ კენი: „დღეს ქართულ ავიაბაზარზე კონკურენტული გარემოა შექმნილი"



British Airways ერთ-ერთი ბოლო ინვესტორი იყო, რომელმაც ძველი ხელისუფლების "დამსახურებების" გამო საქართველო დატოვა. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ მან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა.

A4

### უცხოეთი

## ბესლანის დრამა გრძელდება

გაზეთ "იზვესტიის" ელექტრონულ გვერდზე გაჩნდა ბესლანში მოქმედების ოთხი სცენარი. გაზეთი ისტორიული ფაქტების საფუძველზე ცდილობს, განსაზღვროს, თუ რა სცენარით იმოქმედებს ხელისუფლება.

A5

### საზოგადოება

## მერი ამჯერად სკოლებსა და ბაღა-ბაღებს „დაესხა თავს"



თბილისის განსაკუთრებით ავარიული 60 სკოლიდან 12 მათგანი წლევანდელ სასწავლო წელს უკვე ვაჟკაცურად შეხვდება. თორმეტივე საიმედოდ არის გამაგრებული, სექტემბრის 20 რიცხვამდე კი მათი მოლამაზებაც მოესწრება.

A6

### ამინდი

| | 3/9 | 4/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 30 |
| ქუთაისი | 31 | 29 |
| ბათუმი | 26 | 26 |
| სოხუმი | 27 | 26 |
| ფოთი | 28 | 27 |
| თელავი | 29 | 28 |
| ზუგდიდი | 30 | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7350 |
| ევრო | 2.1144 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1174 |
| რუბლი | 0.0594 |

# რატომ გაათავისუფლეს გენერალური შტაბის უფროსი

**დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მიიღო გადაწყვეტილება მთავარსარდალმა**



ბოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გენშტაბის უფროსმა გივი იუკურიძემ პრაქტიკულად უგულებელყო ბრძანებების წერილობით გაცემა და ჭარი ზეპირი ბრძანებებით ასრულებდა ამოცანებს, რაც, ექსპერტთა აზრით, სერიოზული შეცდომაა.*

ზვიად თხელიძე
თეიმურაზ სირაძე

*საქართველოს შეიარაღებული ძალების უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე ამა წლის 25 აგვისტოს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მიზეზით ყველა დაინტერესდა, პასუხი ბუნდოვანი იყო. იუკურიძის გადაყენება, უპირველეს ყოვლისა, ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს რომ უკავშირდებოდა, ძნელი მისახვედრი არ იყო. გივი იუკურიძის ბრალეულობა-უდანაშაულობაზე საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ანალიტიკური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდალმა – პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. "24 საათმა" შეძლო ამ დოკუმენტის მოპოვება. ვინაიდან იგი არ შექმნილა საჯაროდ გასავრცელებლად, ჩვენ თავს ვიკავებთ მისი გამოქვეყნებისაგან, მაგრამ შეცდომები და, ზოგიერთ შემთხვევაში, აშკარა საბოტაჟი, რომლებიც დოკუმენტშია მოყვანილი, იმდენად შემაშფოთებელია, რომ საზოგადოებას მათ შესახებ აუცილებლად უნდა ეუწყოს. მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც, ცივილიზებული სამყაროს სტანდარტების შესაბამისად, ქართულ არმიაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაზრდა ერთ ერთ აუცილებელ მიზნადაა დეკლარირებული და თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სამოქალაქო კადრებით დაკომპლექტებაც, სწორედ ამ პირობის შესრულების მკაფიო განაცხადია.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ტერორისტთა მთავარი სამიზნე ვლადიმირ პუტინი და მისი „მკაცრი კურსია"

*ბესლანის ტრაგედიამ აჩვენა, რომ პუტინი და მისი ადმინისტრაცია, მიუხედავად ენერგიული განცხადებებისა, სრულიად მოუმზადებელია როგორც ტერორიზმთან საბრძოლველად, ისე პოლიტიკური დიალოგისთვის მოწინააღმდეგე მხარესთან.*

თემის გაგრძელება A5 გვერდზე





## კავკასიაში პუტინი მარცხდება

რუსუდან ნიკურაძე
*საქ.კორ მოსკოვში*

რუსეთის ხელისუფლებამ ტერორიზმთან ბრძოლას ჟურნალისტებთან ანგარიშსწორება არჩია. რადიო "სვობოდას" კორესპონდენტი ანდრეი ბაბიცკი "ვნუკოვოს" აეროპორტის დაცვამ ხანმოკლე დროით დააკავა. თუმცა, პირადი ნივთების ჩხრეკის შემდეგ ბაბიცკი გაუშვეს, მაგრამ იგი ბესლანისკენ ვეღარ გაემგზავრა. ქუჩაში გასულ ბაბიცკის თავს დაესხა ორი მამაკაცი და სასტიკად გალახეს...

ამაზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეორე ცნობილი რუსი ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია. "ნოვაია გაზეტას" რედაქტორის დიმიტრი მურატოვის ცნობით, რედაქცია ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა საკუთარი კორესპონდენტის ჩრდილოეთ ოსეთში მივლინებას. "ნორდ-ოსტის" დღეებში სამოქალაქო გმირობის ჩამდენი ანა პოლიტკოვსკაია (მაშინ მოვსარ ბარაევი, ექიმ როშალთან ერთად, ანას თეატრში შეშვებასაც დათანხმდა) აეროპორტში ელოდა რეისს. მთელი ამ დროის განმავლობაში მას საკვები არ მიუღია. ბორტზე ასვლის შემდეგ ანამ ფინჯანი ჩაი მოითხოვა. ჩაის დალევის შემდეგ მან გონება დაკარგა. მოწამვლის დიაგნოზით ჟურნალისტი დონის როსტოვის საავადმყოფოს რეანიმაციაში მოათავსეს.

გაგრძელება A8 გვერდზე

## საარჩევნო ვნებები აფხაზეთში

ნინო გომართელი

რამდენიმე დღის წინ სოჭში, სასტუმრო "დაგომისში" რუსეთისა და აფხაზეთის ომის ვეტერანების შეხვედრა მიმდინარეობდა, როდესაც მოულოდნელად იქვე, "დასასვენებლად" მყოფი ვლადიმირ პუტინი გამოჩნდა. ეს ყველაფერი ნაკლებსაყურადღებო იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება - აფხაზეთის დელეგაციაში აღმოჩნდა დე ფაქტო პრემიერი და აფხაზეთის პრეზიდენტობის ნომერ პირველი კანდიდატი რაულ ხაჯიმბა.

საბოლოოდ, პუტინმა და ხაჯიმბამ ერთი-ერთზე გამართეს შეხვედრა, თუმცა, რაზე ისაუბრეს, ყველასათვის უცნობია. ოფიციალური ვერსიით, მხარეებმა "რუსეთისა და აფხაზეთის ვეტერანთა ორგანიზაციების თანამშრომლობის საკითხი" განიხილეს, არაოფიციალური ვერსიით კი, საუბარი საქართველოს ეხებოდა.

საბოლოოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ რაულ ხაჯიმბას "გაუმართლა", შეხვედრამ მას არჩევნებში გამარჯვება "გაუნაღდა", თანაც, პუტინს პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის "კარგი ფეხი" აქვს, ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ალუ ალხანოვის გამარჯვებამდე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ხომ მასაც შეხვდა. რუსეთმა კი ამით აშკარა გახადა, რომ აფხაზეთს თავისი განსაკუთრებული ინტერესების ზონად მიიჩნევს.

რაც შეეხება აფხაზეთში არსებულ მდგომარეობას, იქ რაულ ხაჯიმბას გარდა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება კიდევ ორი პირს – კომპანია "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელს სერგეი ბაღაფშს და ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას მისცა.

3 ოქტომბრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები · A3 მთავარი თემა · A4 ეკონომიკა · A5 უცხოეთი · A6 საზოგადოება · A7 კონკურსი · A8 მერიდიანი

B2 რევიუ · B3 რევიუ · B4 სპორტი · B5 სპორტი · B6 მოგონება · B7 კვირის TV პროგრამა · B8 სხვადასხვა

# დასვენება დამთავრდა, იწყება მუშაობა



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ელჩებს ჰპირდება, რომ მათ ყველა ნაბიჯს გააკონტროლებს.*

ლელა მჭედლიძე

ორი დღის განმავლობაში საქართველოს დიპლომატიური კორპუსის განახლებულ შემადგენლობას საგარეო საქმეთა სამინისტროში სემინარები მოუწყვეს. უწყების ხელმძღვანელ სალომე ზურაბიშვილს ელჩების ასეთი შეკრებების ტრადიციად გადაქცევა სურს.

საქართველოსთან მუდმივად კონტაქტზე ყოფნა სალომე ზურაბიშვილმა თითოეული ელჩისგან კატეგორიულად მოითხოვა: **"თქვენ უცხო ქვეყნებში დასასვენებლად და საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად კი არ მიდიხართ, როგორც ეს ადრე იყო, არამედ სამუშაოდ. დიდი მუშაობა და თბილისთან მუდმივ კონტაქტზე ყოფნა მოგიწევთ. თქვენ უნდა იცოდეთ, რას ფიქრობენ საქართველოზე ამ ქვეყნის ხელმძღვანელები, რა შიდა პოლიტიკური ვითარებაა იქ."**

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნიკა ტაბატაძის განმარტებით, რეორგანიზაციის შემდეგ სამინისტროში დეპარტამენტების რაოდენობა ოცდაორიდან თხუთმეტამდე შემცირდა, სამმართველოებისა კი - სამოცდაერთიდან ოცდათვრამეტამდე, მაგრამ დავალებები ელჩებს მაინც უხვად ექნებათ. როგორც მინისტრის მოადგილის მოხსენებიდან გაირკვა, ეს, პირველ რიგში, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის ფორმირებას ეხება.

მინისტრმა ელჩებს უცხო ქვეყნებში ქართულ დიასპორასთან ურთიერთობაზე და გაჭირვებული თანამემამულეებისათვის დახმარებაზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მოსთხოვა. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მკაცრად გააფრთხილა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რომ მათ საქმიანობას, ლამის თითოეულ ნაბიჯს, ყურადღებით გააკონტროლებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს 2005 წლისთვის სამოქმედო მინიმუმად კი იაპონიასა და სკანდინავიის ქვეყნებში საელჩოების გახსნა, სხვადასხვა ქვეყნებში საელჩოების შენობების შესყიდვის პროცედურის დაწყება და საერთაშორისო დავალიანების დაფარვის დაწყება აქვს განზრახული.

## კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა ბავშვის გატაცება ვერ შეძლეს

მდინარე ენგურის სანაპირო ზოლთან, სოფელ შამგონაში გუშინ დილით, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში შეუჩერებელი ორმხრივი სროლის ხმა ისმოდა. საბედნიეროდ, სროლის შედეგად არავინ დაშავებულა. საქმე ისაა, რომ აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფების წევრებმა სოფელ შამგონას პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის ზემიკო გაბუნიას შვილისა და მასთან სტუმრად მყოფი ორი ახლობლის გატაცება სცადეს. პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსმა და მისმა მძღოლმა თითქმის ყველანაირი იარაღით აღჭურვილ თავდამსხმელებს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც მათი მხრიდან საპასუხო, შეუწყვეტელი სროლა მოჰყვა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა გეგმის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს – ზემიკო გაბუნიას შვილი და გაბუნიების ოჯახში მყოფი ორი სტუმარი გატაცებას გადაურჩნენ. თუმცა, თავდამსხმელებმა გაქცევა და მიმალვა მაინც მოახერხეს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავდამსხმელები იმ კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან, რომელთა ნაწილი სამეგრელო-ზემოს სვანეთის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინწინ, გამთენიისას ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. შეგახსენებთ, ორი დღის წინ ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, წინასწარი დაკავების საკანში კრიმინალური დაჯგუფების ცხრა წევრი აღმოჩნდა. "განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები", - ასე ახასიათებენ დაკავებულებს სამართალდამცველები.

როგორც პოლიციაში ვარაუდობენ, სწორედ ამ დაჯგუფებამ გაიტაცა ერთი თვის წინ ზუგდიდელი ბიზნესმენი, ორი წლის წინ აფხაზების მიერ მოკლული, ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის უფროსის ბეგლარ ფონიას ძმა შალვა ფონია. ფონიას გატაცება-გათავისუფლების დეტალები დღემდე გასაიდუმლოებულია.

გავრცელებული ვერსიით, თავდამსხმელებს გუშინ პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის შვილის გატაცება მძევლის გამოსასყიდი თანხის გამოძალვის მიზნით ჰქონდათ დაგეგმილი.

*24 საათი*

## უშიშროების სამინისტრო ბათუმში ჩატარებული სპეცოპერაციით კმაყოფილია

საქართველოს უშიშროების სამინისტრო ბათუმის ბაზარში ჩატარებულ სპეცოპერაციას "უპრეცედენტოდ" და "წარმატებულად" აფასებს.

"ბაზრის მოვაჭრეთაგან დაცლა კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით განხორციელდა, ისე, როგორც ნებისმიერ ცივილურ ქვეყანაში ხდება", - აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა. მისი განმარტებით, გასული ღამის განმავლობაში ბათუმის ბაზრის ტერიტორია, გარკვეულწილად, კრიმინალურ ანკლავს დაემსგავსა, რადგან მოვაჭრეებს ქვები და ხელჯოხები მომარაგებული ჰქონდათ.

როგორც უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, ბათუმის ბაზრის პრობლემა ამოწურულია და საკითხის მოგვარებაში დიდი წვლილი შინაგანი ჯარის ბათუმის ბატალიონს მიუძღვის. უშიშროების მინისტრის მოადგილე ჩატარებული სპეცოპერაციის გამო შინაგან ჯარს მადლობას უხდის.

*24 საათი*

## დააკავეს ნავთობის დამტაცებლები

საქართველოს უშიშროების სამინისტროს და სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად გატარებული ღონისძიების შედეგად, ხაშურის რაიონის სოფელ ფლევთან, ბაქო-სუფსის მილსადენზე, განსაკუთრებით საშიშ ვითარებაში დიდი რაოდენობით ნავთობის დატაცების ფაქტი გამოავლინეს. დაკავებულია ოთხი პიროვნება.

როგორც უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა აცხადებს, აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენზე დამონტაჟებული იყო აგრეგატი, რომლის საშუალებით მილსადენში გამავალი ნავთობის წნევა რეგულირდებოდა. ამის გამო რადარი ნავთობის მილის დაზიანებას ვერ აფიქსირებდა. ბაქო-სუფსის მილსადენი დაცულია და მასზე წნევის ცვალებადობა დამცავი საშუალებებით კონტროლდება. ნავთობის დატაცების ფაქტთან დაკავშირებით დაკავებულია ადგილობრივი მერაბ ენუქიძე, კორნელი ენუქიძე, ჯანგულ ჯანგირაშვილი და ივანე მეტრეველი. დანაშაულის ადგილიდან ამოღებულია ნავთობით სავსე სატვირთო ავტომანქანა 9-ტონიანი ავზით და ხელსაწყოები, რომელთა საშუალებით მილიდან ნავთობის დატაცება ხდებოდა. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*24 საათი*

## ნინო ბურჯანაძე რუსულ მხარეს ჰუმანიტარულ დახმარებას სთავაზობს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე შეშფოთებას გამოთქვამს ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში მიმდინარე მოვლენების გამო. შექმნილ ვითარებაში რუსულ მხარეს ჰუმანიტარულ დახმარებას სთავაზობს და აქვე მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად იბრძოლოს ტერორიზმის წინააღმდეგ. "როგორი საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს ტერორისტთა მოქმედებას - პოლიტიკური, რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი - მას არანაირი გამართლება არ აქვს," - განაცხადა დღეს ნინო ბურჯანაძემ, ტერორისტების მიერ ბესლანში საშუალო სკოლის დაკავებისა და მოსწავლეების მძევლად აყვანის კომენტირებისას.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მომხდართან დაკავშირებით მას უკვე ჰქონდა სატელეფონო საუბარი რუს კოლეგებთან. "იმედი მაქვს, მალე დადგება ის დრო, როცა თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის გამოვლინებასთან დაკავშირებით ორმაგი სტანდარტები აღმოიფხვრება და რუსეთი დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად ჩაებმება იმ უბედურებასთან ბრძოლაში, რომელსაც ტერორიზმი ჰქვია," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

## რუსეთ-საქართველოს საზღვარი ისევ გაიხსნა

ამის შესახებ გუშინ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა. **ინტერ-პრესი**

# აფხაზებს ტრეფიკინგის კიდევ ერთი მსხვერპლი გამოექცათ

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მაღალჩინოსნები, არაერთი ფაქტის გამოვლენის ფონზე, ირწმუნებიან, რომ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ტრეფიკინგის შემთხვევები არ არსებობს, სულ რაღაც, თვენახევრის მანძილზე ქართველ სამართალდამცველებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მონურ შრომას გამოქცეულმა უკვე მეოთხე ადამიანმა მიაკითხა. მანამდეც მსგავს შემთხვევებს არაერთხელ ჰქონია ადგილი.

გუშინ საქართველოს უშიშროების სამსახურის აფხაზეთის უშიშროების მთავარი სამმართველოს სომხეთის მოქალაქე, ქალაქ ლენინაკანის მცხოვრები აშოტ ამბარცუმიანი გამოცხადდა. იგი სოხუმის ხელისუფლებას ტრეფიკინგში ადანაშაულებს. საქართველოს უშიშროების სამსახურის აფხაზეთის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ბადრი დგებუაძის განცხადებით, აფხაზთა ტყვეობაში მყოფი სომხეთის მოქალაქე აფხაზებს გამოეპარა და ქართული მხარის დახმარებით ენგურზე გადმოვიდა.

თავად ამბარცუმიანი ამტკიცებს, რომ მშენებლობის სფეროში მოღვაწე, ეროვნებით აფხაზი ბიზმესმენები მასა და მის 15 მეგობარს გაგრის სასტუმრო "არმენიაში" სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში თითოეულს 1000-1000 აშშ დოლარის გადახდას, რუსეთის მოქალაქეობის მიღებასა და სოხუმში საცხოვრებელ სახლს დაჰპირდნენ. თუმცა, აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ ყველას ერთად, სულ რაღაც, 800 რუსული რუბლი მისცეს. მუშების მიერ პროტესტის გამოთქმას აფხაზი დამქირავებლების მხრიდან არაერთხელ ცემა და დაპირებული საცხოვრებლისა და მოქალაქეობის ნაცვლად, უკვე მიცემული თანხის წართმევა მოჰყვა.

საქართველოს უშიშროების სამსახურის აფხაზეთის უშიშროების მთავარი სამმართველოს მონაცემებით, ეს უკანასკნელი წლის მანძილზე ტრეფიკინგის მსხვერპლთა აფხაზეთიდან გამოქცევის უკვე მე-5 შემთხვევაა. კერძოდ, წელს აფხაზეთიდან ტრეფიკინგს ორჯერ - თურქეთის და ორჯერ - სომხეთის მოქალაქეები გამოექცნენ.

*24 საათი*

# საარჩევნო ვნებები აფხაზეთში

პირველი გვერდიდან

კანდიდატები სერგეი ბაღაფში და სტანისლავ ლაკობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის იბრძოლებენ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების "ერთიანი აფხაზეთისა" და "ამცახარას" ერთიანმა კანდიდატებმა ბაღაფშმა და ლაკობამ მოძრაობების ლიდერებთან არტურ მექვაბიასთან, გარი სამანბასთან, ვლადიმერ ნაჩაჩ-ოღლისთან ერთად, სოხუმის ფილარმონიაში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე აფხაზეთში არსებული კრიმინოგენული ვითარებისა და არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო მწვავედ გააკრიტიკეს მოქმედი ხელისუფლება, რომელიც აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსეთის პენსიების დანიშნვას საკუთარ მიღწევად მიიჩნევს.

**"არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენ არა მარტო მართვის სისტემას შევცვლით, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მივაღწევთ,"** - განაცხადა შეხვედრაზე ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა სტანისლავ ლაკობამ.

აფხაზეთს ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, რასაკვირველია, არც სერგეი შამბა განიხილავს და მისი პროგრამის მთავარ საკითხს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენს, ამისათვის აუცილებელ პირველ ნაბიჯად კი იგი დემოკრატიულ არჩევნებს მიიჩნევს.

**"ისეთი ხელისუფლება უნდა ავირჩიოთ, რომელსაც ხალხი ენდობა,"** - განაცხადა მან.

ცესკო-ს ლინგვისტური კომისიის გადაწყვეტილების გამო, არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობის საშიშროების წინაშე დგას პრეზიდენტობის კანდიდატი ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც არჩევნებში ხაჯიმბას ყველაზე სერიოზულ კონკურენტად განიხილება.

ლინგვისტური კომისიის გადაწყვეტილებამ, რომელმაც ანქვაბი აფხაზური ენის არმცოდნედ გამოაცხადა, სოხუმში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

როგორც უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა მიხეილ თარბამ ჟურნალისტებს განუცხადა, 27 აგვისტოს, 13 საათზე, "აიტაირას" მიერ პრეზიდენტის პოსტზე წამოყენებული პრეზიდენტობის კანდიდატის ალექსანდრე ანქვაბის მომხრეები ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში შეიჭრნენ და ღიად ახდენდნენ ზეწოლას კომისიის წევრებზე, რათა მათ შეეცვალათ ლინგვისტიკის კომისიის მიერ ჩატარებული ტესტირების შედეგები.

ეს მოქმედება მოჰყვა ლაკერბაიას განცხადებებს, რომელმაც თქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში მზად არიან, დაამხონ ხელისუფლება, - აღნიშნა თარბამ.

მისი თქმით, კონსტიტუციური წყობის დამხობის მცდელობებს და ძალისმიერ ზეწოლას არჩევნებზე პასუხისმგებელ სტრუქტურებზე სამართალდამცავები აღკვეთენ.

როგორც ლაკერბაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ცილისწამებისთვის იგი თარბას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

**"სამწუხაროა, რომ პატივსაცემი სამსახურის ხელმძღვანელი პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს და ხელს უწყობს ვითარების დაძაბვას 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ,"** - თქვა მან.

ლაკერბაია მიიჩნევს, რომ ამ განცხადებებით თარბამ, ფაქტობრივად, საფუძველი დაუდო ბინძური ტექნოლოგიების გამოყენებას წინასაარჩევნო კამპანიაში.

ამომრჩეველთა სიები კი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებამდე 10 დღით ადრე გამოქვეყნდება.

აღნიშნული წინასაარჩევნო ბატალიების ფონზე, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტმა "აფხაზეთის დამოუკიდებლობის" მე-11 წლისთავის აღსანიშნავად სპეციალური სამთავრობო კომისია შექმნა, სპეციალური პროგრამა შეიმუშავა და სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელებისთავის კონკრეტულ დავალებათა ნუსხა მოამზადა.

აფხაზეთში "დამოუკიდებლობის დღე" 30 სექტემბერს - აფხაზური შენაერთების მიერ მდინარე ენგურზე პოზიციების დაკავების დღეს აღინიშნება. სოხუმის ხელისუფლების მონაცემებით, 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში აფხაზეთის 12 ათასმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 2700 მეომარი დაიღუპა, 7000 დაიჭრა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საგარეო საქმეთა სამინისტრო სამუშაოდ ახალ კადრებს იწვევს. საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ორშაბათიდან სამინისტროში კანდიდატთა საბუთების მიღება დაიწყება, ხოლო ოქტომბრის პირველ რიცხვებში კონკურსი გაიმართება. სამინისტროში ამჟამად 15-20 ვაკანტური ადგილია, ოქტომბრისთვის კი მათი რაოდენობა 50-მდე გაიზრდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამეგრელოდან კვლავ აჭარაში დაბრუნდა. პრემიერი მაჭახელას ხეობაში ნათლობის ცერემონიას დაესწრო. სამ სოფელში დღეს 70 მაჰმადიანი ქრისტიანად მოინათლა. შემდეგ ზურაბ ჟვანიამ ბათუმში ჯავრიშვილის თვალის მოძრავი კლინიკა დაათვალიერა. მოგვიანებით ის აშშ-ს სრულუფლებიან ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს შეხვდა. ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა. მან დაგმო ტერორისტების ქმედება და იმედი გამოთქვა, რომ ბესლანის საშუალო სკოლაში ყველაფერი შედარებით მშვიდობიანად დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 10 სექტემბრიდან მოსკოვსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა აღდგება. რუსეთის სარკინიგზო მიმოსვლის დეპარტამენტის ჩრდილოეთ კავკასიის სამმართველოს ინფორმაციით, გაყიდული ბილეთების რაოდენობის მიხედვით, მოსკოვსა და ადლერს შორის მოძრავ შემადგენლობას 4-6 ვაგონი ჩაებმება. ადლერიდან სოხუმში კი მსურველები 3 საათსა და 15 წუთში ჩავლენ. როგორც "ინტერ-პრესს" სოხუმიდან შეატყობინეს, პრაქტიკულად, დასრულებულია სარემონტო სამუშაოები სოჭი-სოხუმის მიმართულების ბიჭვინთა-გუდაუთისა და ახალი ათონი-სოხუმის მონაკვეთებზე, რომელთა აღდგენაზე რუსმა და აფხაზმა რკინიგზელებმა ივლის-აგვისტოს პერიოდში იმუშავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში შემომსვლელთათვის სავიზო რეჟიმს ამარტივებს. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, 9 სექტემბრიდან საქართველოს კარი ღია იქნება ყველასთვის და ქვეყანაში შემოსვლის მსურველებს ვიზის აღება აეროპორტშივე შეეძლებათ. ზურაბიშვილის თქმით, ახალი ტარიფების შესაბამისად, ერთთვიანი ვიზა - 10, სამთვიანი - 30, ხოლო ერთწლიანი 100 აშშ დოლარი ეღირება. დღემდე საქართველოში შემომსვლელთათვის ერთთვიანი ვიზის ღირებულება 40-დან 80 დოლარამდე მერყეობდა. გამონაკლისს რუსეთიდან და თურქეთიდან შემომავალი მოქალაქეებისთვის დაწესებული, უფრო დაბალი ტარიფები წარმოადგენდა, ვინაიდან საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, საქართველოსა და ამ ორ ქვეყანას შორის გამარტივებული სავიზო რეჟიმი მოქმედებდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახლახან შექმნილი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველთა ოთხკაციანი საბჭო, ჯერჯერობით, მთავარ ყურადღებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ანალიზსა და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადებას დაუთმობს, - აცხადებს მრჩეველთა საბჭოს წევრი სოსო ცინცაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 6 სექტემბერს საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენლები ჩამოვლენ. საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილის განაცხადებით, ეუთოს მისიის 28 წარმომადგენელი სამხრეთ ოსეთში არსებულ ვითარებას გაეცნობა. "ეუთოს წარმომადგენლებთან ბევრი გვაქვს სათქმელი. ჩვენ გვინდა, რომ მათი მუშაობა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში უფრო ეფექტური გახდეს," - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსმა სამშვიდობოებმა ჩაატარეს სამეთაურო-საშტაბო წვრთნები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. როგორც რუსული სამშვიდობო კონტინგენტის პრესჯგუფში განაცხადეს, მანევრების დროს შეირჩა ამოცანები, დაკავშირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობოების მანდატთან და მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებასთან, ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეების დაშორების შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ, გამთენიისას ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, დედაქალაქში მოქმედი საშიში ბოროტმოქმედი, ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილი როსტომ კანდელაკი დააკავეს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, კანდელაკი ადამიანის გატაცების გარდა, სხვა მძიმე დანაშაულებისთვის, მათ შორის, გაუპატიურებისა და იარაღის უკანონო ტარებისთვისაც იყო ძებნილი. გუშინვე დააკავეს კანდელაკის დაჯგუფების კიდევ ორი წევრი, თუმცა კვლავ ძებნილად რჩება "შავ სამყაროში" არანაკლებ ცნობილი კრიმინალი ლევან ონიანი, - აცხადებენ შს სამინისტროში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** გუშინ დილით, ზესტაფონში სამართალდამცველებმა ჯემალ მუმლაძე და ზაზა კაპანაძე დააკავეს, რომლებიც მიმდინარე წლის აგვისტოში ჩადენილ დანაშაულებში იმხილებიან. ზესტაფონის შს განყოფილების ინფორმაციით, მუმლაძემ და კაპანაძემ აგვისტოში, სოფლებში საქარასა და შორაპანში სამჯერ გაიტაცეს ავტომანქანები. სამივე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თერჯოლა.** თერჯოლის რაიონის გამგებელმა ლაშა ზედაშიძემ რაიონულ სასამართლოში ზაურ გურგენიძის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდებით სარჩელი შეიტანა. საქმე თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის წინ მიმდინარე აქციას შეეხება, რომლის მონაწილეებმა, მათ შორის, თერჯოლელმა ზაურ გურგენიძემ, გამგებელი კრიმინალებთან კავშირში დაადანაშაულეს. "მე ამ ხალხს სამუშაო ადგილებს ვთავაზობდი, მაგრამ მათ თანამდებობები ვერ გაინაწილეს," – აცხადებს ლაშა ზედაშიძე. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რატომ გაათავისუფლეს გენერალური შტაბის უფროსი

პირველი გვერდიდან



დოკუმენტში ჩამოყალიბებულია გენერალური შტაბის არაკომპეტენტური ქმედებების ანალიზი, რომელიც, სპეციალისტების მიერაა გაკეთებული.

აღნიშნული ანალიზიდან დღეს მხოლოდ ცხინვალის რეგიონში წარმოებული სამხედრო მოქმედებების ავ-კარგიანობას შევეხებით. თუმცა დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ჩამონათვალი ამით არ მთავრდება – ასევე მნიშვნელოვანია გენერალური შტაბის სტრუქტურულ და საკადრო საკითხებთან დაკავშირებული პუნქტები, რომელიც თავისთავად აისახა ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე. მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი სპეციფიკური სამხედრო საკითხებია და მათ ანალიზს გაზეთ "სამხედროს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

დოკუმენტში მოცემულია მთავარი მიზეზები, რომლებმაც, მიუხედავად სამხედრო ოპერაციების წარმატებულად აღიარებისა, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობის მოუმზადებლობა გამოავლინა:

1. არ განისაზღვრა ცხინვალის რეგიონში ჩასატარებელი ოპერაციის ტიპი: არ განისაზღვრა ამოცანები, როგორც შენაერთებისთვის, ისე ცალკეული დანაყოფებისთვის; ამა თუ იმ დანაყოფისთვის შეუძლებელი გახდა მიეღო გადაწყვეტილება ერთი კონკრეტული ვითარებისას.

2. დაზვერვა მუშაობდა ქაოტურად და არაორგანიზებულად: ისინი იმ პოზიციებზე განლაგდნენ, რომელბიც წამგებიანი იყო; ქართულ დანაყოფებს მოუწიათ ისეთი სადაზვერვო ოპერაციების ჩატარება, რომელიც მათგან ძალების ზედმეტ დაძაბვას მოითხოვდა; ასეთი ინფორმაციის არ არსებობამ ჯარისკაცების სიცოცხლე შეიწირა.

3. ლოჯისტიკის ანუ მომარაგების სრული დაუგეგმაობა: ტყვიაწამლით მომარაგებაში არებული სრული ქაოსი, მეტიც, დანაშაულებრივი ქმედებები – ხელყუმბარების მაგივრად ქვები, "გრადის" ტიპის არა მართვადი რაკეტების მაგივრად ქვიშა, ღამის ხედვის და ჯავშანჟილეტების ნაკლებობა, დახურული კავშირგაბმულობის საშუალებების დამალვა (სხვა ვერაფერს დაარქმევ, როცა ასეთი ტიპის კავშირგაბმულობის საშუალებები არსებობს – ის თურქეთიდან მივიღეთ გრანტის სახით), სამხედრო სამედიცინო უზრუნველყოფის სამოქალაქო სექტორზე "გადაბარება".

ეს არის ის მიზეზები, რომელმაც ქართულ ჯარში ცოცხალი ძალის დანაკარგები განაპირობა.

ოპერაციის ტიპის არგანსაზღვრამ შეუძლებელი გახადა მასში მონაწილე დანაყოფების სწორად შერჩევა და მართვა. კერძოდ: "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული კომანდოს ბატალიონის მოწინავე პოზიციებზე ერთკვირიანმა "მორიგეობამ", ამ დანაყოფის მორალური და ფიზიკური გამოფიტვა გამოიწვია.

კომანდოს ტიპის დანაყოფების გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობის დრო 72 საათია, ისიც - არა პოზიციური ბრძოლებისას. მათ კი სანგრებში 168 საათი გაატარეს.

**"ბრიტანული დოქტრინა, თავდაპირველად, მათთვის (კომანდოსებისთვის) ველზე ყოფნას 36 საათით განსაზღვრავდა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ძალების გამოყენების დოქტრინა დღესაც წინააღმდეგია პოზიციებზე მათი ხანგრძლივად გაყვანისა, ვინაიდან მსხვერპლი, რომელიც ამ დროს ცალსახად გარდაუვალია, ბევრად აჭარბებს იმ ეფემერულ შედეგს, რომელიც, კომანდოს ხასიათიდან გამომდინარე, მათმა შეუპოვრობამ შეიძლება მოიტანოს"** (დავით თევზაძე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, გაზეთი "სამხედრო", №14).

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხინვალის რეგიონში პოზიციებზე შეუცვლელად ყოფნის მეექვსე დღეს, კომანდოს ბატალიონის მეთაური ხელმძღვანელობისგან დახმარებას ან პოზიციის შეცვლას ითხოვდა.



*ცხინვალის რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას, გენერალურმა შტაბმა და მისმა მეთაურმა ვერ უზრუნველყვეს არა მხოლოდ ტაქტიკური და სტრატეგიული მართვა, არამედ - ჯარის მომარაგება და სამხედრო-სამედიცინო დახმარებაც.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

სამხედრო შენაერთის არაადეკვატურად გამოყენების პრეცედენტები ისევ რუსეთის (სადაც გივი იუკურიძემ სამხედრო განათლება მიიღო) არმიაში თუ მოინახება. მეორე მსოფლიო ომის დროს, სტალინის გადაწყვეტილებით, საჰაერო-სადესანტო მოიერიშე დანაყოფებს, როგორც ჩვეულებრივ ქვეითებს, ისე იყენებდნენ; სულ ახლახანს კი, ჩეჩნეთის კამპანიისას, რუსებმა წყნარი ოკეანის ფლოტის საზღვაო ქვეითები ჩართეს ბრძოლებში.

კახა კაციტაძე, სამხედრო ექსპერტი: **"იქიდან გამომდინარე, რაც ხდებოდა, ფაქტია, რომ ბრძოლა იყო არა კლასიკური სახის, არამედ ასიმეტრიული, მცირე ინტენსივობის. ასეთ ბრძოლაში კლასიკური მეთოდების გამოყენება, ჩვეულებრივ არ ხდება. ასიმეტრიული ბრძოლისას პოზიციაზე მთელი შემადგენლობის გამაგრება დაუშვებელია. უფრო სწორედ, დღევანდელ სამხედრო ხელოვნებაში ამ მეთოდის გამოყენებას ფიქრადაც არავინ გაივლებს".**

ყოველივე ზემოთქმული უნდა გაეთვალისწინებინა გენერალური შტაბის უფროსს, რომელიც თითქმის ყოველდღე სტუმრობდა კონფლიქტის ზონას, მაგრამ გივი იუკურიძე სიტყვიერი ბრძანებებით (რაც მისთვის ადრეც დამახასიათებელი ყოფილა) დანაყოფების ოპარატიულ მართვაზე გადავიდა. ამით მან შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებს შორის უფლება-მოვალეობების (პასუხისმგებლობების) განაწილების სქემა მოშალა, რითაც შეიარაღებული ძალების მართვის სტრუქტურა მთლიანად დაირღვა.

დოკუმენტის მიხედვით, მართვა არც მანამდე ყოფილა სათანადო დონეზე, რის ერთ-ერთი დასტურია გენშტაბის მიერ სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის გაუქმება.

სწრაფი რეაგირების ძალების შტაბს, არსებობის შემთხვევაშიც კი, ძალზე გაუჭირდებოდა ბრძანების შესრულება, რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში, სწრაფი რეაგირების ძალები რამდენჯერმე გარდაიქმნა სახმელეთო ძალებად და პირიქით. ასეთი ტიპის ცვლილებებისას იცვლება ამოცანები, სტრუქტურა, მართვა და ა.შ. ასე რომ, ის სადღეისოდაც ჩამოუყალიბელი იქნებოდა და დასახული ამოცანის შესრულებას ვერ შეძლებდა. შეიარაღებული ძალების აღნიშნული სეგმენტის ჩამოყალიბება გენერალური შტაბის უფროსის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა.

## დაზვერვა

დოკუმენტში ერთ-ერთ მთავარ საკითხად გამოყოფილია დაზვერვის არასათანადო მოქმედება.

კონფლიქტის საწყის ეტაპზე, ქართული მხარის მიერ ბლოკ-პოსტების გაძლიერების შემდეგ, გაჩნდა ინფორმაცია, რომ სეპარატისტები, რუსი სამხედროების ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვან სიმაღლეებს იკავებდნენ და საარტილერიო დანადგარებს განალაგებდნენ. მოგვიანებით ინფორმაცია დადასტურდა, როცა ქართული დანაყოფები გამუდმებით იბომბოდნენ.

ვახტანგ მაისაია, პოლიტოლოგი: **"მაშინ ბლოკ-პოსტების გაძლიერება - ეს მხოლოდ კუნთების თამაში იყო, რომელსაც მეორე მხარე უნდა ეიძულებინა მოლაპარაკების მაგიდასთან დამჯდარიყო. ანუ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სამხედრო ოპერაციის ჩატარების ამოცანა მიღებული მაშინ არ ჰქონდათ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ოპერაცია დაგეგმილი არ ყოფილიყო ან ვინმეს სადაზვერვო მუშაობა არ უნდა ეწარმოებინა, მითუმეტეს მაშინ, როცა ამის დიდი შესაძლებლობები არსებობდა – მოსახლეობა, პოლიცია, შინაგანი ჯარი...**

**სხვათა შორის, ის სიმაღლეები, რომელთა გარშემოც ასეთი ვნებათაღელვა გადავიტანეთ, ცხინვალის 1991 წლის კამპანიისას ქართველებმა პირველ რიგში დაიკავეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ცხინვალიდან გამოსვლის შემდეგაც კი ეკავათ, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანნი".**

დაზვერვის არაორგანიზებულობამ, არაკოორდინირებულობამ და ქაოსურობამ, არარეალური სურათი მოგვცა, რამაც არა ერთი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა.

მოწინააღმდეგე ახერხებდა ცრუ მანევრები განეხორციელებინა, რაც ქართული დანაყოფების მდგომარეობას ამძიმებდა. მათ დამატებითი ღონისძიებების გატარება უხდებოდათ იმ მიმართულებებზე, რომლებზეც, დაზვერვის ზოგიერთი მონაცემით, მტრის მნიშვნელოვანი ძალების გადაადგილება შეინიშნებოდა, სინამდვილეში კი იქ მხოლოდ ერთი ჯავშანმანქანა ან ცარიელი სანგრები ხვდებოდათ.

არ იქნა გამოყენებული კავშირგაბმულობის ის აპარატურა, რომელიც თურქეთმა გადმოგვცა და რომელიც დახურული კავშირის საშუალებას იძლევა.

## ლოჯისტიკა

ლოჯისტიკის, ანუ მომარაგების დაუგეგმაობამ უშუალო დამნაშავეები მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ გამოავლინა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავეთა სია, ძალზე მოკლეა და რეალურად ის გაცილებით ვრცელია.

ავტომატების უმეტესობას გასული აქვს საექსპლუატაციო ვადა – ეგრეთ წოდებული "ნარეზები" საერთოდ არ ეტყობა; ხელყუმბარების გარკვეული რაოდენობა არ აფეთქდა (რომ აღარაფერი ვთქვათ ხელყუმბარების მაგივრად ჩადებულ ქვებზე), "გრადის" ტიპის ჭურვების შესანახ ყუთებში ქვიშა ეყარა და ა.შ. პრობლემები იყო ტანსაცმლით, თეთრეულით და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომარაგებაში. სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობისას კი, პრობლემები სამოქალაქო სექტორის ხარჯზე გვარდებოდა – მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთი რაიონიდან სამაჩაბლოში რამდენიმე ათასი თეთრეულის კომპლექტი ჩაიტანეს.

ქართველ ჯარისკაცებს არ ჰქონდათ ღამის ხედვის ხელსაწყოები და ჯავშანჟილეტები, რის გამოც მათ საკმაოდ დიდი პრობლემები შეექმნათ. ღამის ხედვის ხელსაწყოები და ჯავშანჟილეტები "წვრთნისა და აღჭურვის" ბატალიონებისთვის ამერიკელებმა შეიძინეს ("თავდაცვის თანამშრომლობის საქართველოს ოფისის" ცნობით, ამერიკის მხარე "საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" მონაწილე დანაყოფებს უზრუნველყოფს ფორმებითა და ტექნიკით - ღამის ხედვის ხელსაწყო და ჯავშანჟილეტი ჯარისკაცის ეკიპირების განუყოფელი ნაწილია), მაგრამ სად წაიღეს მესაწყობეებმა ეს ტექნიკა, არავინ იცის, თუმცა სხვადასხვა ბაზრობებზე მათ მრავლად იხილავთ.

დოკუმენტში გამოყოფილია კიდევ ერთი პრობლემა - ეს გახლავთ კონფლიქტის ზონაში სამხედრო-სამედიცინო უზრუნველყოფის არარსებობა და მხოლოდ სამოქალაქო რესურსის გამოყენება. ეს მაშინ, როცა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აქვს საველე ჰოსპიტალი და ჰყავს შესაბამისი კვალიფიციური კადრები, მაგრამ მათი გამოყენება შეუძლებელი გახდა იმის გამო, რომ გივი იუკურიძეს საერთოდ არ ესმის სამხედრო ექიმის ცნება.

ლაშა ქოიავა, თავდაცვის სამინისტროს სოციალურ, ვეტერანთა და სამედიცინო პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი: **"როდესაც გივი იუკურიძეს სამხედრო-სამედიცინო სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა წარუდგინეს, მან განაცხადა, რომ მას საერთოდ არ ესმის ცნება – სამხედრო ექიმი.**

**რაც შეეხება კონფლიქტის რეგიონს, ქართულმა დანაყოფებმა საბრძოლო მოქმედებები ყოველგვარი სამედიცინო უზრუნველყოფის დაგეგმარების გარეშე დაიწყეს, არ შეიქმნა გაძლიერებული სამედიცინო რაზმები; არ გამოიყო დაჯავშნული მანქანები დაჭრილებისა და დაღუპულების გამოსაყვანად ა.შ."**

ზემოთ ჩამოთვლილი საკმარისია, რომ შესაბამისი უწყებები დაინტერესდნენ გენერალური შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის გაწეული საქმიანობით და მათ მიერ მოძიებული მასალები ფართო საზოგადოებას მოხსენდეს. თუკი უახლოეს წარსულში ერთი გენერლის დასჯა (მიიუხედავად იმისა, რომ მისმა არაადეკვატურმა მოქმედებამ უმსხვერპლოდ ჩაიარა) წარბშეუხრელად მიიღო საზოგადოებამ, მითუმეტეს იმსახურებს ეს საზოგადოება იცოდეს, რას იმსახურებს გენერალი, რომლის არაკვალიფიციურ ქმედებებს მსხვერპლი მოჰყვა.

და კიდევ, ჩნდება კითხვა: რამდენად სწორია გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში სამხედრო ატაშედ იმ ადამიანის დანიშვნისა, რომელმაც, ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ სეპარატისტთა რუს სამხედრო კონსულტანტებს ვერაფერი დაუპირისპირა?






მოკლედ

## ბოლოს და ბოლოს, ნაბზდოროვს ცვლიან



5 სექტემბრიდან სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედ შერეულ სამშვიდობო ძალებს გენერალ-მაიორი მურატ კულახმეტოვი უხელმძღვანელებს. შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალ-მაიორი სვიატოსლავ ნაბზდოროვი, რომლის შეცვლას ქართული მხარე რუსეთის ხელისუფლებისგან დიდი ხანია, მოითხოვს, აცხადებს, რომ მისი შემცვლელი კონფლიქტის ზონაში ჯერ არ ჩასულა და ამის მიზეზად საქართველოს ხელისუფლების მიერ კულახმეტოვისთვის ვიზის გაუცემლობას ასახელებს. როგორც ნაბზდოროვმა განცხადა, გენერალი კულახმეტოვი ცხინვალში 4 სექტემბერს ჩავა და მოვალეობის შესრულებას, სავარაუდოდ, 5 სექტემბრიდან შეუდგება. **ინტერ-პრესი**

## დაგომისის ხელშეკრულების გაუქმება ქვეყნისთვის საზიანოა

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისია მომავალ კვირას პარლამენტს 1992 წელს ხელმოწერილი დაგომისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს წარუდგენს. კომისიის თავმჯდომარის ვასილ მაღლაფერიძის განაცხადებით, კომისია პარლამენტს რამდენიმე რეკომენდაციას წარუდგენს, მათ შორის დასკვნებს ხელშეკრულების დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით. ვასილ მაღლაფერიძე მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე დაგომისის ხელშეკრულების გაუქმების საკითხი არ უნდა დაისვას, ვინაიდან შესაძლოა, ამან, დადებითი შედეგის ნაცვლად, ქვეყანას ზიანი მოუტანოს. როგორც ვასილ მაღლაფერიძემ აღნიშნა, იგი ხელს არ მოაწერს კომისიის წევრის ზვიად ძიძიგურის პრეზიდენტ სააკაშვილისადმი მიმართვას, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი დაგომისის ხელშეკრულების გაუქმების ინიციატივით უნდა გამოვიდეს და პარლამენტს შესაბამისი წინადადებით მიმართოს. **მედია-ნიუსი**

## რუსთავში საბიუჯეტო ორგანიზაციებს ელექტროქსელიდან გამორთავენ

"გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ელექტროკომპანიამ" 30 აგვისტოდან ურჩი გადამხდელი ორგანიზაციების დასჯას მიჰყო ხელი. კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ქსელიდან გათიშოს ყველა ორგანიზაცია (მათ შორის, ძირითადად, საბიუჯეტო ორგანიზაციები), რომელსაც დენის დავალიანება დაუგროვდა.

ამ დროისათვის "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" 9597,50 ლარის ოდენობის დავალიანების გამო, უკვე გამორთო რუსთავის სასამართლო, 2296,86 ლარის ოდენობის დავალიანების გამო – პროკურატურა, 1566,45 ლარის ოდენობის დავალიანების გამო – ფსიქონევროლოგიური დისპანსერი, 531.50 ლარის ოდენობის დავალიანების გამო – ადვოკატურა, 5077 ლარის ოდენობის დავალიანების გამო – ვენდისპანსერი.

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგკომპანიის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ერთ-ერთი გათიშული ობიექტის, რესტორან შპს "დურუჯი"-ის მიერ დავალიანების გადახდის შემდეგ ქსელში ჩართვამ რუსთავის პროკურატურის ხანმოკლე ჩართვაც გამოიწვია, მაგრამ მალე ისევ გაითიშა.

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რუსთავის ფილიალის ახალი დირექტორის ლაშა ჭილლაძის თქმით, საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და მისი გადაჭრის ერთადერთ საშუალებად კვლავ ამ ორგანიზაციებისთვის დენის მიწოდების შეწყვეტა რჩება. **"ამიტომ ქსელიდან გაითიშება ყველა არგადამხდელი საბიუჯეტო ორგანიზაცია,"** – აცხადებს ჭილლაძე.

თუ დროულად არ იზრუნეს დავალიანების გადახდაზე, მალე ამ ორგანიზაციებს სხვა სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებიც შეემატებიან. კომპანიის "შავ სიაში" დღეისათვის უკვე წერია "რუსთავწყალი" (4 000 000 ლარი), გადაუდებელი სასწრაფო დახმარება (360,62 ლარი), სანეპიდსადგური (6267,20 ლარი), ტროლეიბუსების სამმართველო (957,62 ლარი), ქვემო ქართლის სამხარეოს შსს (20323,11 ლარი), "რუსთავგაზის" სამმართველო (414,01 ლარი), საგზაო პოლიცია (17704,06 ლარი), რუსთავის პოლიცია (98312,87 ლარი), კეთილმოწყობის კომბინატი (20103,50 ლარი), ინფორმატიკის ცენტრი (2760,29 ლარი), ქართული სკოლა-გიმნაზია (1425,25 ლარი), სკოლები (22694 ლარი), საბავშვო ბაღები (15740 ლარი), ბიბლიოთეკები (380,37 ლარი), დრამატული თეატრი (34150 ლარი), ქუჩის განათება (191320 ლარი), მერიის აპარატი (37000 ლარი) და კონდიციონერები (2422,78 ლარი). ამ ორგანიზაციებს მიმდინარე დავალიანების სასწრაფოდ გადახდა ევალებათ. რაც შეეხება ძველ დავალიანებას, კომპანია მათი ვალის რესტრუქტურიზაციას - რამდენიმე თვეზე გადანაწილებას სთავაზობს.

**"კომპანიის რუსთავის ფილიალის დირექტორს ლაშა ჭილლაძეს უკვე ჰქონდა საგანგებო შეხვედრა რუსთავის მერთან მერაბ ტყეშელაშვილთან. საქმის ვითარებაში გარკვევის შემდეგ, მან აქტიური თანამშრომლობა აღგვითქვა,"** – აცხადებენ "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში".

*24 საათი*

## საგზაო დეპარტამენტის მორიგი აქცია სამხედრო გზაზე

*აქცია "საქართველოს გზები – 2004" გრძელდება. აქციის ორგანიზატორმა საგზაო დეპარტამენტმა მორიგი გასვლა გუშინ საქართველოს სამხედრო გზის მიმართულებით მოაწყო, რომლის მიზანი იყო ხსენებულ ავტომაგისტრალზე მსოფლიო ბანკის კრედიტით მიმდინარე აღდგენით-სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერება და არსებული ვითარების განხილვა.*

დიანა ჩაჩუა

საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის განმარტებით, ეს გზა წარმოადგენს ჩრდილოეთ-სამხრეთის საავტომობილო მარშრუტის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს, რომელიც თავისი განლაგებით ყველაზე მოხერხებულია და ხელსაყრელია საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებისთვის რუსეთიდან ამიერკავკასიის, სამხრეთ-დასავლეთი აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყნებისაკენ და პირიქით.

საქართველოს სამხედრო გზა თბილისი-ვლადიკავკაზის საავტომობილო მარშრუტია, რომლის ნაწილიც მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის 139-კილომეტრიანი მონაკვეთი ქვეყნის ტერიტორიაზე ჯვრის უღელტეხილზე გადადის. ზამთრის პერიოდში ხშირია ზვავები, მეწყრები და ნამქერები. ამიტომ ეს მარშრუტი ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთად ითვლება.

2001-2003 წელს მსოფლიო ბანკის კრედიტით დაიწყო სარეაბილიტაციო და ზედაპირული დამუშავების სამუშაოები აღნიშნულ მონაკვეთზე.

გუშინ დეპარტამენტის თავმჯდომარემ ღია ცის ქვეშ სპეციალური პრესკონფერენციაც მოაწყო და ჟურნალისტებს შესრულებული სამუშაოების შესახებ დეტალური ანგარიში ჩაგვაბარა. **"სამხედრო გზაზე ყველაზე დიდ პრობლემას ჯვრის უღელტეხილის შენახვა წარმოადგენს. იგი ზვავსაშიშია, ამიტომ პერიოდულად ამ გზის ჩაკეტვა ხდება. ამ პრობლემის გადასაჭრელად ორი ვარიანტი არსებობს. ერთი - მლეთისა და კობის დაკავშირება გვირაბით უნდა მოხდეს, ამისთვის კი რამდენიმე - 11, 10 და 8-კილომეტრიანი გვირაბი უნდა აშენდეს, და მეორე ვარიანტია ჯვარზე გავლების მოწყობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასეთ კომფორტზე ამჟამად ფიქრიც კი ძნელია,"** – გვითხრა რომან დალაქიშვილმა.




## რიჩარდ კენი: „დღეს ქართულ ავიაბაზარზე კონკურენტული გარემოა შექმნილი"

ეთერ მამულაშვილი

*British Airways ერთ-ერთი ბოლო ინვესტორი იყო, რომელმაც ძველი ხელისუფლების "დამსახურებების" გამო, საქართველო დატოვა. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, როცა ქვეყნის რეპუტაციამ და იმიჯმა გარკვეული რეანიმირება განიცადა, ბრიტანულმა კომპანიამ საქართველოში დაბრუნება კვლავ გადაწყვიტა. დღეს ინგლისური ავიაკომპანია ახალ მთავრობას ენდობა და საკუთარი ოფისისთვის ადგილსაც ეძებს. "ყველა პოზიტიურ ცვლილებას, რაც თქვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, ფიზიკურად ვგრძნობთ", - ამბობს ავიაკომპანიის მარკეტინგისა და გაყიდვების გენერალური დირექტორი რიჩარდ კენი.*



*რიჩარდ კენი: "ყველა პოზიტიურ ცვლილებას, რაც თქვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, ფიზიკურად ვგრძნობთ".*

**- პრობლემები, რომელიც British Airways-ს წინა ხელისუფლების დროს შეექმნა, რამდენად მოგვარებულია დღეს და ისარგებლებს თუ არა კომპანია შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით?**

- ჩვენ მოხარულები ვართ, რომ საქართველოს ბაზარზე 18-თვიანი შესვენების შემდეგ დავბრუნდით. მთელი ამ დროის განმავლობაში უამრავი რამ მოხდა, მათ შორის, ცვლილებები საქართველოს მთავრობაში, ახალი სახეები გამოჩნდნენ ძირითად თანამდებობებზე, რასაც British Airways მიესალმება. თქვენი ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ავიაციის ბაზრის განვითარება აირჩია, ეს გარემოება კი ჩვენს კომპანიას განსაკუთრებულად ახარებს. მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ბრიტანეთის ხელისუფლებებს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო, უმნიშვნელოვანესი იყო საჰაერო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც ძირითადი საკანონმდებლო ბაზაა, რაც ჩვენს კომპანიას აძლევს რეგულარული რეისების განახლების სრულ უფლებას. რაც შეეხება გადასახადებს, British Airways არანაირ საგადასახადო შეღავათს არ ელოდება საქართველოს მთავრობისგან. ჩვენი კომპანია ყოველთვის იხდის ყველა იმ გადასახადს, რასაც ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება აწესებს.

**- რამდენად მარტივია დღეს საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობა?**

- უკანასკნელი თითქმის 12 თვის განმავლობაში დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს მთავრობები ერთმანეთთან ძალიან ნაყოფიერად მუშაობდნენ, მათ შორის, იმ თვალსაზრისით, რაც ჩვენი რეისების განახლებისთვის იყო საჭირო. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ იყო ძლიერი ნება როგორც ბრიტანეთის, ისე საქართველოს მხრიდან იმისთვის, რომ დაწყებულიყო ეს ურთიერთობა, რისგანაც ჩვენ მხოლოდ სარგებლობა ვნახეთ. ჩვენი საკონტაქტო პიროვნება თქვენი ქვეყნის მთავრობაში იყო სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი, რომელიც სერიოზულად გვიჭერდა მხარს და ხელს გვიწყობდა. როდესაც ჩვენ შევიტანეთ განაცხადი ნებართვასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტაში ძალიან დაგვეხმარა.

**- როგორ აფასებთ საქართველოს ავიაციის ბაზარს და თქვენი აზრით, რამდენად კონკურენტულია ის დღეს?**

- ჩვენი კომპანია თვლის, რომ საქართველოს ავიაციის ბაზარი დღეს უფრო კონკურენტული გახდა. რაც მთავარია, ქვეყანაში კონკურენტული გარემოა შექმნილი. ამის საუკეთესო მაგალითია ახალი, ჰოლანდიური ავიაკომპანია "კა-ელ-ემი", რომელიც ქართულ ავიაბაზარზე სულ ცოტა ხნის წინათ შემოვიდა და დამკვიდრდა. ნებისმიერი სერიოზული კომპანიისთვის კონკურენციის გაზრდა ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობის უფრო მეტი რაოდენობა სარგებლობს შემოთავაზებული მომსახურებით და ფასებიც მცირდება. ვფიქრობთ, რომ საქართველოს ბაზარზე ადრინდელთან შედარებით დღეს კონკურენცია მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული. ეს კი საუკეთესო საშუალებაა ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის. საქართველო არის ძალიან ლამაზი ქვეყანა, და რაც უფრო მეტ ხალხს ექნება საშუალება და არჩევანი, მგზავრობის თვალსაზრისით, მით უკეთესია როგორც ტურიზმისთვის, ისე ინვესტირებისთვის. ბაზარზე ავიაკომპანიების სიმრავლე ამ ყველაფერს მხოლოდ ხელს შეუწყობს.

**- 18 თვის წინათ, როცა British Airways-ს საქართველოს ხელისუფლებასთან პრობლემები შეექმნა, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი აცხადებდა, რომ ქვეყნის იმიჯზე ეს უარყოფით გავლენას მოახდენდა. როგორი იმიჯი აქვს დღეს საქართველოს ბრიტანეთში?**

- რა თქმა უნდა, ის ცვლილებები, რომელიც საქართველოს მთავრობაში უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, ძალიან პოზიტიურია და, შესაბამისად, ეს დადებითად აისახება ქვეყნის სახელსა და მის იმიჯზე. ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად გვიწევს ჩამოსვლა თქვენს ქვეყანაში და ჩვენ ამ ცვლილებებს ფიზიკურად ვგრძნობთ. British Airways-ი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ორ ქვეყანას შორის საჰაერო რეისების აღდგენა თქვენს ქვეყანაზე პოზიტიურად იმოქმედებდა, რადგან ინტერესი საქართველოს მიმართ სულ უფრო და უფრო იზრდება.

**- რა სიხშირით შესრულდება რეისები და რა სერვისს სთავაზობს თქვენი კომპანია მგზავრებს?**

- პირველი რეისი ლონდონიდან 31 ოქტომბერს გამოფრინდება, ხოლო თბილისიდან პირველი ფრენა 1 ნოემბერს შესრულდება. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ ამ ეტაპზე გადაწყვიტა, რომ British Airways-ის რეისები განხორციელდება კვირაში ორჯერ, ყოველ ორშაბათს და შაბათს. ჩვენი კომპანია მოხარული იქნება, თუკი მომავალში რეისების სიხშირე კიდევ გაიზრდება, რაც საშუალებას მოგვცემს, მომხმარებელს უკეთესი და დამატებითი არჩევანი შევთავაზოთ. დაახლოებით, ორ კვირაში British Airways-ს თბილისში საკუთარი ახალი ოფისი ექნება, სასტუმრო "მერიოტ-ქორთიარდის" შენობაში, სადაც მგზავრებს ბილეთების ყიდვის საშუალებაც ექნებათ. ბილეთის ფასის საკითხს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ამჟამად განიხილავს და ის ცნობილი, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გახდება.

სააქციო საზოგადოება
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

2004 წლის 2 სექტემბერი, თბილისი

პრესრელიზი

„საქართველოს ბანკი" აცხადებს ლადო გურგენიძის გენერალურ დირექტორად დანიშვნას

საქართველოს წამყვანმა კომერციულმა ბანკმა, სს „საქართველოს ბანკმა" დღეს ლადო გურგენიძის გენერალურ დირექტორად დანიშვნის შესახებ განაცხადა. ლადო გურგენიძე, რომელიც დღეისათვის ოჯახთან ერთად ლონდონში ცხოვრობს, ოქტომბრის დასაწყისში თბილისში ჩამოვა და ბანკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

„საქართველოს ბანკის ხელმძღვანელობა მისი განვითარების ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე დიდი პატივია. მომდევნო რამდენიმე წლისათვის ჩვენი ძირითადი პრიორიტეტია უეჭველყოთ ბანკის აქციათა კურსის მაქსიმალური ზრდა ბანკის კლიენტურასთან ეფექტური მუშაობის ხარჯზე მომგებიანობის ზრდის და ხარჯებისა და კაპიტალის ეფექტიანად მართვის მეშვეობით," განაცხადა ლადო გურგენიძემ.

„მოხარული ვარ, რომ ახალი გენერალური დირექტორის ძიება დასრულებულია და ლადო გურგენიძის ხელმძღვანელობით ბანკი შეუდგება განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელებას", აღნიშნა „საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ვლადიმერ პატეიშვილმა.

„ჩვენი სტრატეგია მიმართულია იმისკენ, რომ „საქართველოს ბანკი" გახდეს თანამედროვე უნივერსალური ბანკი, რომელსაც ექნება სტაბილურად მზარდი და დივერსიფიცირებული შემოსავალი და კლიენტებისათვის ჩვენი ფართო პროდუქტების მიწოდების მრავალარხიანი სისტემა", – განაცხადა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჰენრი პოტერმა.

ლადო გურგენიძის შესახებ

33 წლის [illegible] ABN Amro-ში, [illegible] 2001-2003 წლებში [illegible] SWIFT, Radianz, Reuters და Telerate.

1995-2000 წლებში [illegible] 1997-1998 წლებში [illegible] ABN Amro-ს [illegible] 1998-2000 წლებში [illegible] ABN Amro-ს [illegible] (mergers and acquisitions) [illegible] ABN Amro-ში [illegible] Marconi, Global One (ახლა Equant-ის ნაწილი), Golden Telecom, UPC, Wirtualna Polska, Merloni Elettrodomestici, SNAM, News Corp და Andrew Corporation. 2000 წლისთვის [illegible] ABN Amro-მ [illegible] Euromoney-მ ABN Amro [illegible] Euromoney-მ [illegible] (The Best M&A House in Russia Euromoney Award for Excellence). [illegible] (Middlebury College) [illegible] (MBA) [illegible] (Goizueta Business School).

„საქართველოს ბანკის" შესახებ

[illegible] 2003 [illegible] 19.4% [illegible] 17.2% [illegible] 2004 [illegible] 270.3 [illegible] 2003 [illegible] 9.2 [illegible]

[illegible]
+44 20 7338 7031 potterh@ebrd.com
+995 32 444 256 mekizashvili@bog.ge

### მოკლედ

## საგადასახადომ შარშანდელი გეგმა წელს რვა თვეში შეასრულა

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა მიმდინარე წლის აგვისტოში, საგადასახადო შემოსავლების სახით, ბიუჯეტსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში 122,1 მლნ ლარი შეიტანა. საგადასახადო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ეს მაჩვენებელი გეგმით გათვალისწინებულ პარამეტრს 14,9 მლნ ლარით აღემატება, ხოლო გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს - 43,1 მლნ ლარით. დეპარტამენტის მიერ აკრეფილი აგვისტოს თვის შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 61 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 6,8 მლნ ლარით მეტია, ხოლო გასული წლის მაჩვენებელს 14,2 მლნ ლარით აღემატება. ქვეყნის ადგილობრივმა ბიუჯეტებმა საგადასახადო დეპარტამენტის შემოსავლებიდან 61,1 მლნ ლარი მიიღო, რაც ასევე გეგმით გათვალისწინებულზე 8,1 მლნ ლარით და შარშანდელთან შედარებით 28,8 მლნ ლარით მაღალი მაჩვენებელია. საერთო ჯამში, საგადასახადო დეპარტამენტმა წლის დასაწყისიდან აგვისტოს ჩათვლით 797,3 მლნ ლარის ოდენობის შემოსავლების აკრეფა შეძლო. ეს მაჩვენებელი გასული წლის რვა თვის შესრულების მაჩვენებელს 210,5 მლნ ლარით აღემატება. როგორც საგადასახადო დეპარტამენტში აცხადებენ, მიმდინარე წლის რვა თვეში, პრაქტიკულად, მიღწეულია შარშან აკრეფილი შემოსავლების წლიური შედეგი. **24 საათი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის აეროპორტში მაღალი ტექნოლოგიების "ინსტრუმენტული დაფრენის სისტემა" დამონტაჟდება. შპს "საქაერონავიგაციამ" იტალიურ კომპანია "ალენია მარკონი სისტემასთან", გუშინ გამართული კონფერენციის მსვლელობისას, ამ სისტემის დამონტაჟებაზე ხელშეკრულება გააფორმა. როგორც პრაიმ-ნიუსს "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი კარბელაშვილმა განუცხადა, ახალი სისტემის წყალობით, აეროპორტში თვითმფრინავების აფრენა-დაჯდომა უსაფრთხო გახდება, რაც საქართველოში სხვადასხვა ქვეყნების ავიაკომპანიებს მოიზიდავს. კარბელაშვილის ინფორმაციით, ახალი სისტემის მეშვეობით, თბილისის აეროპორტს მესამე, ანუ, უსაფრთხოების მხრივ, უმაღლესი კატეგორიის აეროპორტად გარდაქმნის შანსი ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ მოწესრიგდება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები. "ინსტრუმენტული დაფრენის სისტემის" დამონტაჟების ხარჯებს, 1 მლნ აშშ დოლარს, "საქაერონავიგაცია" საკუთარი შემოსავლებიდან დაფარავს. სამუშაოები მომდევნო წლის თებერვალში დასრულდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ბანკს" ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს. გუშინ ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ ამ პოსტზე უცხოეთში მოღვაწე ლადო გურგენიძე დაამტკიცა, რომელიც ამჟამად ოჯახთან ერთად ლონდონში ცხოვრობს. ლადო გურგენიძე საქართველოში ოქტომბრის ბოლოს დაბრუნდება და ბანკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულებას შეუდგება. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ პატეიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ლადო გურგენიძის ხელმძღვანელობით ბანკი განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელებას დაიწყებს. **ინტერ-პრესი**

# ტერორისტთა მთავარი სამიზნე ვლადიმირ პუტინი და მისი „მკაცრი კურსია"

*უკანასკნელ დღეებში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების მთავარი თემა რუსეთში განხორციელებული ტერაქტები გახდა. საინტერესოა, რომ ტერორისტთა ქმედების საყოველთაო დაგმობასთან ერთად, უცხოელი ექსპერტები ყურადღებას რუსეთის ხელისუფლების შეცდომებზეც ამახვილებენ. მსოფლიოს გავლენიანი მედიასაშუალებები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები ნათელი დადასტურებაა არა მარტო რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მარცხისა, არამედ, პირველ რიგში, პოლიტიკოსების შეცდომებისა. ყველა ერთ აზრს თანხმდება – ტერორისტთა მთავარი სამიზნე პუტინი და "მისი მკაცრი კურსია". და ეს გამოუვალი მდგომარეობაა – ყველა მისი ნაბიჯი მარცხისთვისაა განწირული. მოლაპარაკებებზე წასვლა იმის ეჭვქვეშ დაყენებას ნიშნავს, რაც პრეზიდენტის პოლიტიკური ძლიერების ხერხემალს წარმოადგენდა, ხოლო არწასვლა – უბრალოდ, შეუძლებელია.*

პარადოქსია, მაგრამ ბოლო ორი წლის მანძილზე, რაც უფრო მყარდებოდა პუტინის ძალაუფლება, რაც უფრო მეტად აკონტროლებდა იგი ქვეყანაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, ჩეჩნეთში ვითარება უფრო და უფრო უარესდებოდა. მართალია, გარედან ეს ასე არ ჩანდა - წლიდან წლამდე მცირდებოდა ჩეჩნეთიდან ინფორმაციის მიღების ნაკადი, სხვათა შორის, იმის პირდაპირპროპორციულად, რაც მცირდებოდა ასეთ ინფორმაციაზე რუსული საზოგადოების მოთხოვნილება. შედეგად კი მიიღეს ტერორისტული ტალღა, რომელმაც ლამის წალეკოს რუსეთი, და სპეციალისტების აზრით, იგი ამგვარი პოლიტიკის ნაყოფია. "ჩეჩნეთის ორმა ომმა მთელი რეგიონის დესტაბილიზაცია გამოიწვია, შელახა რუსეთის რეპუტაცია საერთაშორისო არენაზე, რუსეთის ატომური სადგურები ტერორისტთა სამიზნედ გადააქცია და მთელ რუსეთს თვითმკვლელი-ტერორისტების შიში გაუცხოვე-ლა," - წერდა გუშინ ბრიტანული გაზეთი "თაიმსი".

მართალია, ტაქტიკური მოსაზრებებით თუ შევაფასებთ, პუტინის პოზიცია სწორია, როდესაც იგი აცხადებს, რომ ტერორისტებთან დათმობებზე არასოდეს წავა. მაგრამ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ დეკემბერში ათი წელი შესრულდება ჩეჩნეთში რუსეთის პირველი სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ და დღითიდღე სულ უფრო აშკარა ხდება, რომ მხოლოდ კრემლის მიერ, ჩეჩენი ხალხის მონაწილეობის გარეშე შემუშავებულ სხვადასხვაგვარ სტრატეგიებს შედეგი არ მოაქვს.

პუტინის თავდაპირველ პოპულარობას ხელი შეუწყო მისმა მტკიცე გადაწყვეტილებამ, ჩეჩნეთთან დაკავშირებით დათმობებზე არ წასულიყო. შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მის მიერ არჩეულ კურსში რაიმე ცვლილებების შეტანა სისუსტედ იქნება აღქმული.

დასავლელი ექსპერტები გუშინ ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მთავარი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარების ძალისმიერი საშუალება ერთადერთ ალტერნატივად გაიხადა. ამავდროულად, პუტინის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, ჩეჩენი ხალხის სახით "ტერორისტი ერის" ხატი შეექმნა. მიზანმიმართულად ხდებოდა ჩეჩნურ წინააღმდეგობაში შედარებით ზომიერი ძალების შემცირება, ხოლო მათ ხარჯზე იზრდებოდა რადიკალური, ექსტრემისტული ფრთის გაძლიერება. სხვათა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, იჩქერიის წარმომადგენლებმა პირველივე დღიდან უარყვეს მასხადოვის, ან სხვა ჩეჩენი ლიდერის მონაწილეობა ბესლანის მოვლენებში. იჩქერიის პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი აჰმედ ზაკაევი თავადაც გმობდა ბავშვების მძევლად აყვანის ფაქტს.

1 სექტემბერს ბესლანში ყველაზე საშინელი რამ მოხდა – ბავშვები აიყვანეს მძევლად. ვლადიმირ პუტინი გუშინ აცხადებდა, რომ მთავარი ამოცანა მძევლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაა.

მძევლად აყვანილი ბავშვების მშობლები და ახლობლები კი უკვე თანახმანი არიან, ტერორისტთა ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდეს – მათთვის უპირველესი, შვილების სიცოცხლეა და არა სახელმწიფო ინტერესები. გუშინ ბესლანელმა მშობლებმა პუტინს წერილიც გაუგზავნეს, სადაც კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ რუსეთის პრეზიდენტს ალყაშემორტყმულ სკოლის შენობაზე შტურმი არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა.

თუმცა, ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობის უკანასკნელ ისტორიას თუ გადავხედავთ, ნათელია – ყველა კრიზისის შემდეგ პუტინი ჩეჩენ სეპარატისტებს კიდევ უფრო მეტი სისასტიკით ებრძოდა. ჯერჯერობით, არანაირი ნიშანი არ არის, რომ პუტინი ახლა შეცვლის თავის სტრატეგიას, რომელმაც ერთადერთი, რაც მოიტანა - დანგრეული და გაპარტახებული ჩეჩნეთი, ათასობით დაღუპული მშვიდობიანი მოსახლე და "ჩეჩნური ტერორიზმის" წარმოქმნაა.

საეჭვოა, ასეთმა გზამ რუსეთის ხელისუფლება კავკასიაში სიტუაციის დარეგულირებამდე მიიყვანოს. ბევრისთვის ნათელია, რომ "ჩეჩნეთის ამბოხი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას უფრო წააგავს, ვიდრე რელიგიური ფანატიზმის გამოვლინებას. უფრო სწორად, ასე იყო აქამდე".







## ბესლანის დრამა გრძელდება

### რუსეთში კი მოვლენების შესაძლო განვითარების ვარიანტებს განიხილავენ

ჩრდილოეთ ოსეთში, ქალაქ ბესლანში მძევლად აყვანილ ბავშვებთან დაკავშირებული დრამა გუშინაც გრძელდებოდა. რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მოლაპარაკებები ტერორისტებთან დაწყებულია. ნაშუადღევს, ალყაშემორტყმული სკოლიდან, სხვადასხვა მონაცემებით, 26-მდე მძევალი გაათავისუფლეს - მეტწილად, პატარა ბავშვები. რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ მძევალთა ნაწილის გათავისუფლება ინგუშეთის ყოფილი ლიდერის რუსლან აუშევის მცდელობის შედეგად მოხდა. თუმცა, სკოლის შენობაში ჯერ კიდევ ასობით ბავშვი და უფროსი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მძევალთა გათავისუფლების სპეცოპერაცია, ოფიციალური განცხადებებით, არ იგეგმება, მოვლენების შესაძლო განვითარების რამდენიმე ვერსია უკვე ვრცელდება. გაზეთ "იზვესტიის" ელექტრონულ გვერდზე გაჩნდა ბესლანში მოქმედების ოთხი სცენარი. გაზეთი ისტორიული ფაქტების საფუძველზე ცდილობს განსაზღვროს, თუ რა სცენარით იმოქმედებს ხელისუფლება.

#### პირველი სცენარი: ბუდიონოვსკის მსგავსი კაპიტულაცია

მძევლების აყვანის პირველი მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია 1995 წლის 14 ივნისს, ბუდიონოვსკში განხორციელდა. "ბოევიკთა" დაახლოებით ასკაციანმა რაზმმა, შამილ ბასაევის მეთაურობით, ქალაქში რამდენიმე შენობა, მათ შორის, საავადმყოფო დაიკავა. სამი დღის შემდეგ სპეცრაზმმა თითქოს ოპერაცია დაიწყო, საავადმყოფოს პირველი სართულიც დაიკავეს, მაგრამ ბასაევთან საუბრის შემდეგ საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა და მოლაპარაკებები განახლდა. შედეგად, 19 ივნისს "ბოევიკებით" სავსე რამდენიმე ავტობუსი უკან, ჩეჩნეთში წავიდა. მათ საკუთარი ნებით გაყვნენ ჟურნალისტები და რამდენიმე დეპუტატი. კოლონას რუსეთის სამხედრო შვეულმფრენები აცილებდნენ, მაგრამ ჩეჩნებმა სიბნელეში მაინც მოახერხეს გაუჩინარება. ამ აქციის შედეგად, 130 მშვიდობიანი მოქალაქე, 36 მილიციელი და სამხედრო დაიღუპა და 400 ადამიანზე მეტი დაიჭრა.

ამ სცენარის გამეორება შესაძლებელია, თუმცა - ნაკლებად მოსალოდნელი. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ეჭვგარეშეა, თავისი წინამორბედების სირცხვილის გამეორებას არ მოინდომებს.

#### მეორე სცენარი: პერვომაესკოეს ძალის დემონსტრაცია

1996 წლის 9 იანვარს, სალმან რადუევის რაზმმა დაღესტნის ქალაქ ყიზლარში საავადმყოფოს შენობა დაიკავა. მძევლად აიყვანეს არა მარტო ავადმყოფები და ექიმები, არამედ ახლომახლო მცხოვრებნიც – სულ 2000 ადამიანი.

მოლაპარაკებების შედეგად, მძევალთა ნაწილი გაათავისუფლეს და ისინი დაღესტნელმა დეპუტატებმა ჩაანაცვლეს. მეორე დღეს ცხრა ავტობუსი 60 მძევალთან და ტერორისტებთან ერთად ჩეჩნეთის საზღვრისკენ დაიძრა. ელოდნენ, რომ სოფელ პერვომაესკოესთან, საზღვარზე მძევლებს გაათავისუფლებდნენ, ამის შემდეგ, რუსეთის ფედერალური ძალები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადასული "ბოევიკების" ჰაერიდან დაბომბვას განახორციელებდნენ. თუმცა, რატომღაც, ოპერაცია მძევლების გათავისუფლებამდე დაიწყო და რადუევმა თავის რაზმთან და მძევლებთან ერთად სოფელ პერვომაესკოეში გამაგრება მოახერხა. 14 იანვრიდან ფედერალური ძალების მიერ სოფლის შტურმი დაიწყო და ოთხ დღეს გაგრძელდა. საბოლოო ჯამში, რუსეთის არმიამ სოფელი აიღო, მაგრამ ჩეჩენ მებრძოლთა დაკავება ვერ შეძლო - ისინი სიბნელეში გაუჩინარდნენ. ამ აქციას 200 სამოქალაქო პირი და 30 რუსი ჯარისკაცი ემსხვერპლა.

ეს სცენარი უფრო რეალურად ჟღერს. შესაძლოა, რაიმე გარანტიის სანაცვლოდ ბავშვების გათავისუფლების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება სპეცოპერაციაზე დათანხმდეს, ან თავდამსხმელთა დევნა უკან დახევის დროს განაგრძოს.

#### მესამე სცენარი: "ნორდ-ოსტის" ტრაგედია

2002 წლის 23 ოქტომბერს, მოვსარ ბარაევის შეიარაღებულმა ჯგუფმა მოსკოვში, დუბროვკაზე მდებარე თეატრალური ცენტრი აიღო. მძევლად აღმოჩნდა 800-ზე მეტი მაყურებელი და მსახიობი. ამ შემთხვევაში, ტერორისტებს ცოცხლად წასვლის საშუალება არ მისცეს. თუმცა, სავალალო შედეგები აქაც ვერ იქნა აცილებული. "რუსეთის ისტორიაში ყველაზე წარმატებული სპეცოპერაციის" შედეგად, განადგურებული იქნა 50 "ბოევიკი" ქალი და მამაკაცი, ისე, რომ მათ ერთი გასროლა, მით უმეტეს, შენობის აფეთქება ვერ მოახერხეს. მაგრამ სპეცოპერაციისას გამოყენებული გაზის მოწამვლისაგან მომდევნო დღეებში უკვე მძევლები იღუპებოდნენ. ოფიციალური ცნობით, დაიღუპა 128 მძევალი, თუმცა ვარაუდობენ, რომ დაღუპულთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. მთავარია, პუტინმა სახე შეინარჩუნა, მძევლები გაათავისუფლა და ტერორისტები გაანადგურა. ვის აინტერესებს გათავისუფლებულთა შემდგომი ბედი?

ამგვარი სცენარის განვითარება სავსებით რეალურია. მაგრამ ამ შემთხვევაში გაზის გამოყენება ვერ მოხერხდება – სკოლის ღია სივრცე ამის საშუალებას არ იძლევა და ამჟამინდელი ტერორისტებიც ქიმიური შეტევისთვის მზად არიან.

#### მეოთხე სცენარი: პერუს წარმატება

იდეალური ოპერაცია, რომელიც თავის დროზე პერუს სპეცსამსახურებმა ჩაატარეს. ტერორისტებმა იაპონიის საელჩო დაიკავეს. მათ ხელში 100-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატი აღმოჩნდა. პერუს სამართალდამცველები შესაფერის მომენტს ოთხი თვე ელოდნენ. და აი, როდესაც "ბოევიკთა" ყურადღება მოდუნებული იყო, მათ ოპერაცია განახორციელეს. შედეგად, ყველა ტერორისტი გაანადგურეს. ერთის გარდა, ყველა მძევალი გადარჩა - ისიც შიშისგან ინფარქტით გარდაიცვალა.

ეს ვარიანტიც სრულიად შესაძლებელია, ამასთანავე, ყველაზე სასურველი. თუმცა, პერუსგან განსხვავებით, რუსებს ის ურთულებს საქმეს, რომ მათ შემთხვევაში ბავშვები არიან მძევლად და არა ზრდასრული დიპლომატები. თანაც, თვეობით მოცდას რუსები, სავარაუდოდ, არ დაიწყებენ – საერთაშორისო პრესტიჟის საკითხია.

ასე რომ, ადვილი მოსალოდნელია, პუტინმა სხვა არჩევანი გააკეთოს. თუმცა, წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ ალტერნატივა ძალიან ცოტაა და სიტუაციიდან ღირსეულად გამოსვლა პუტინისთვის მეტად რთული იქნება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
აცხადებს კონკურსს
ვაკანტურ თანამდებობაზე

პროექტი ილია ჭავჭავაძე

**ინკლუზიური განათლების ექსპერტი**
(A1 ქვეკომპონენტი)

**შესავალი**
საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება პროექტის "ილია ჭავჭავაძე" ფარგლებში მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ახალი ეროვნული მიზნების, სასწავლო მინიმუმისა და მიღწევის სტანდარტების ჩამოყალიბებით. პროგრამა ფინანსდება მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტით.
სასწავლო გეგმების განვითარებაზე პასუხისმგებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ქვეკომპონენტის (A1) ამოცანაა პროგრამის მიზნების განხორციელებისათვის შესაბამისი მიმართულების მართვა და კოორდინაცია.

**ძირითადი მოვალეობანი:**

**ექსპერტი**
- პასუხისმგებელია ეროვნულ სასწავლო გეგმებში ინკლუზიური განათლების ნაწილის მომზადებაზე;
- ქვეკომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად ადგენს სამუშაო გეგმას;
- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის პროექტის მომზადებაზე;
- ქვეკომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს და კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან.
- პასუხისმგებელია მასწავლებელთა დამხმარე მასალების მომზადებაზე;
- ქვეკომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს და კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან და მათ შედეგებს ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმების ინკლუზიური განათლების ნაწილის მომზადებაში;
- აწარმოებს კონსულტაციებს საპილოტე სკოლების მასწავლებლებთან.
- პასუხისმგებელია მასწავლებელთა დამხმარე მასალების მომზადებაზე;
- აწარმოებს კონსულტაციებს მასწავლებლებთან და მონაწილეობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში;
- პასუხისმგებელია ეროვნული სასწავლო გეგმის დაზუსტებული ვარიანტის მომზადებაზე.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**
- უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის სტაჟი (სასურველია დაწყებით კლასებში მუშაობის გამოცდილებაც)
- ინკლუზიური განათლების პროგრამებში მონაწილეობა (სასურველია)
- კომუნიკაბელობა
- კომპიუტერის ცოდნა
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა

**ანგარიშვალდებულება**
ექსპერტი ანგარიშვალდებულია A1 ქვეკომპონენტის ხელმძღვანელისა და პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.
ექსპერტმა A1 ქვეკომპონენტის ხელმძღვანელს და პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს უნდა წარუდგინოს ყოველთვიური ანგარიშები.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:
**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
ელ.-ფოსტა: **GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

წარსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 17 სექტემბერი.**

**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

## ს.ს" თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**3 სექტემბერს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
დიდი დიღმის III და IV მიკრორაიონების, პეტრიწის, გიორგი ბრწყინვალეს, დიმიტრი თავდადებულის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# მერი ამჯერად სკოლებსა და ბაგა-ბაღებს „დაესხა თავს"

*თბილისის განსაკუთრებით ავარიული 60 სკოლიდან 12 მათგანი წლევანდელ სასწავლო წელს უკვე ვაჟკაცურად შეხვდება. თორმეტივე საიმედოდ არის გამაგრებული, სექტემბრის 20 რიცხვამდე კი მათი მოლამაზებაც მოესწრება. თუმცა, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია, იმასთან შედარებით, რაც დედაქალაქის სკოლებს სჭირდება. ამ შენობების თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაფერ მდგომარეობაში მოყვანას, სულ ცოტა, 70 მილიონი ლარი მაინც უნდა.*

ნანა ქადაგიშვილი



ვახო ბესელიას ფოტო

*ქალაქის მერი, განათლების მინისტრი და შესაბამისი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობა პირველად 50-ე ექსპერიმენტულ სკოლას "დაესხა თავს".*

თბილისის მერს უკანონო თუ კანონიერ ობიექტებზე მოულოდნელად გამოჩენა უკვე ჩვევად ექცა. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ სკოლებსა თუ საბავშვო-ბაღებში მისი გუშინდელი ვიზიტიც დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ვიზიტის მიზანი შენობებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შემოწმება გახლდათ. რემონტისთვის თანხა ქალაქის ბიუჯეტიდან გამოიყოფა და მერიის ახალ ხელმძღვანელობას უნდოდა საკუთარი თვალით დარწმუნებულიყო, რომ ეს ფული მიზნობრივად იხარჯება.

მერი, განათლების მინისტრი და შესაბამისი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობა პირველად 50-ე ექსპერიმენტულ სკოლას "დაესხა თავს". ამ სკოლის შენობა 102 წლისაა, ხოლო თვითონ სკოლას წელს 100 წელი შეუსრულდა. ეს შენობა განსაკუთრებულად ავარიულ შენობათა რიცხვში იყო შეტანილი. მისი გამაგრება შარშან დაიწყო და წელს გრძელდება. ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტიდან სარემონტო სამუშაოებზე 110 ათასი ლარი გამოიყო. შენობის გამაგრება ამ ზაფხულს უკვე დასრულდა. სკოლის ხელმძღვანელობამ ქალაქის მთავრობას ეზოში ასფალტის დაგებაც სთხოვა, მაგრამ ეს საქმე მომავალი წლისთვის გადაიდო. წელს თანხა არ გვეყოფაო, განმარტა ჭიაბერაშვილმა.

გაჯსა და ცემენტში გვარიანად ამოგანგლულმა ქალაქისა და განათლების სისტემის ხელმძღვანელობამ, 50-ე სკოლის გარდა, კიდევ ორი სკოლა და ამდენივე საბავშვო ბაღი მოინახულა. 43-ე სკოლის შენობა საძირკვლიან-ჭერიანად განუახლებიათ. ჭერის გამაგრებას 40 ტონა ლითონი დავახარჯეთო, გვითხრეს მშენებლებმა. ამ სკოლის სარემონტო სამუშაოებისთვის 180 ათასია გამოყოფილი. 98-ე რუსული სკოლა კი მომავალ წელს ახალმოსახლეობას იზეიმებს. ერთი თვის წინათ ამ სკოლისთვის ახალი შენობის შენება დაიწყო, გუშინ ქალაქის ხელმძღვანელობამ შენობის საძირკველი საფუძვლიანად შეათვალიერა. წელს ახალი სკოლის მშენებლობა 700 ათასი ლარით დაფინანსდება. მომავალ წელს კი დასრულებული სკოლის კომპიუტერიზაცია განათლების სამინისტრომ ითავა.

საბავშვო ბაღებიდან პირველად 46-ე ბაგა-ბაღს ესტუმრნენ. ამ ბაღის შენობა ლამის შუაზე ყოფილა გადახსნილი. 55 ათასი ლარით კი მისი საიმედოდ გამაგრება მოხერხდა. ამდენივე თანხა გამოიყო №2 საბავშვო ბაღისთვის. 180 ბავშვზე გათვლილ, უკვე გამაგრებულ შენობაში სექტემბრიდან 140 ბავშვს შეიყვანენ. მერიასა და განათლების სამინისტროს სურს ამ ბაღში 22-ე საბავშვო ბაღის პატარებიც გადმოიყვანოს, რადგან ამ ბაღის შენობა ისეთ დღეშია, გამაგრებასაც აღარ ექვემდებარება. მართალია, 22-ე ბაღის პედაგოგები ურჩობენ და ბავშვების მიღება ძველ შენობაში დაუწყიათ, მაგრამ განათლების მინისტრი კატეგორიულად აცხადებს, რომ ეს ავარიული შენობა დაიკეტება.

როგორც განათლების მეურნეობის საქალაქო სამსამხურის ხელმძღვანელი ირაკლი თოდუა აცხადებს, თბილისში ყველა მუნიციპალური სკოლა სარემონტოა, მაგრამ 60 მათგანი კი მესამე-მეოთხე კატეგორიის ავარიულია. წელს ქალაქის მერიას მსოფლიო ბანკიც შეეშველება. მან რამდენიმე წლის წინათ შეპირებული ხუთმილიონიანი კრედიტი უკვე გადმორიცხა. ამ თანხას საქართველოს მხარის თანადაფინანსება, მილიონი დოლარიც დაემატება. 6 მილიონი დოლარით კი, როგორც განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახური აცხადებს, 26 სკოლა გარემონტდება. თავიდან მერიის განათლების მეურნეობის სამსახურმა მსოფლიო ბანკს 127 ავარიული ობიექტის სია გადასცა, მაგრამ აქედან 25 სკოლა შეირჩა. შემდეგ მერიამ 40 ობიექტის დამატებაც სცადა, მაგრამ მსოფლიო ბანკი მხოლოდ 26 სკოლის აღდგენაზე დათანხმდა. საბოლოოდ კი, 26 სკოლაღა დარჩა. 10 მათგანის სარემონტო სამუშაოებზე ტენდერი წლევანდელი წლის მაის-ივნისში ჩატარდა. მალე კიდევ 10 სკოლაზე გამოცხადდება ტენდერი. როგორც განათლების მინისტრი აცხადებს, მსოფლიო ბანკის კრედიტით წელს 19 სკოლა გარემონტდება.

# მერიის სპეცოპერაციამ სასამართლოს გადაწყვეტილება შეაცვლევინა

ნანა ქადაგიშვილი

გუშინწინ ქობულეთის ქუჩის მობინადრეებმა ჭიაბერაშვილის დაპირების ძალა საკუთარი თვალით ნახეს, №34-ში მშენებარე სახლის მუშებმა კი საკუთარ თავზე იწვნიეს. ჭიაბერაშვილის მიერ მიწვეულმა მღებრიშვილის სპეცრაზმელებმა წელმოშიშვლებული მუშები ელვის სისწრაფით გამოიყვანეს მშენებლობის ობიექტიდან. "სახლის მშენებელი კომპანია "კასკასდის" ხელმძღვანელობას უარესი დღე დაადგება, სხვა მენაშენებისთვის კი ეს მაგალითი იქნება," – გვარწმუნებდა ჭიაბერაშვილი. მართალია, ამ ამბების მიუხედავად, გუშინ დილით ქობულეთის №34-დან მშენებლების ჩაქუჩის რაკარუკი ისევ ისმოდა, მაგრამ საბოლოოდ მშენებლობა მაინც შეჩერდა.

გუშინ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების მონახულებისას ქალაქის მერს შეატყობინეს, რომ სპეცოპერაციას შედეგი არ გამოეღო და ქობულეთის ქ.№34-ში მშენებლობა ისევ გრძელდებოდა. თუმცა, აღშფოთებულ მერს სპეცრაზმელების გაგზავნა აღარ დასჭირვებია. შუადღისას, როცა ქუბულეთის ქუჩაზე აღმასრულებელი სამსახურის წარმომადგენლები მივიდნენ, მუშებმა მშენებარე ობიექტი ულაპარაკოდ დატოვეს. როგორც "24 საათმა" გაარკვია, გუშინდელი ამბის მშვიდობიანად დასრულება ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს "წყალობა" ყოფილა.

31 სექტემბრამდე, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქობულეთის ქ.№34-ში მშენებლობა შეჩერებული იყო. 31-ში კი სამშენებლო კომპანია "კასკადს" ამავე სასამართლოში, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, სარჩელი შეუტანია. სასამართლოსაც მისი მოთხოვნა ერთი დღით დაუკმაყოფილებია. გუშინწინდელი ამბების მერე კი, იძულებული გახდა, უკანასკნელი გადაწყვეტილება ისევ შეეცვალა და გუშინ მშენებლობა შეაჩერა. **"ჯერჯერობით, საქმეში ჩარევა აღარ დაგვჭირდა, მაგრამ თუკი მშენებლობა ისევ გაგრძელდება, უკვე მუშებს კი აღარ გამოვიყვანთ, "კასკასდის" უფროსობას დავიჭერთ. კომპანიის ხელმძღვანელობამ არ იფიქროს, რომ ყურადღებას მოვადუნებთ, მშენებლობას მუდმივად გავაკონტროლებთ,"** – აცხადებს თბილისის მერი.



# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
## მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

# აცხადებს კონკურსს

## საეთერო ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, "კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, საზოგადოების მოთხოვნებისა და ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე საქართველოში არსებული სარეკლამო ბაზრის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ქვეყნის მოსახლეობის მაქსიმალურად მოცვის და ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია")

**გადაწყვიტა:**

**1.** გამოცხადდეს კონკურსი საეთერო სპეციალიზირებულ რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) ერთი გადამცემის გამოყენებით, მითითებული სამაუწყებლო ზონის მიხედვით:

შენიშვნა:

სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყევტილების პირველი პუნქტით.

| | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ. მ | სიხშირე მგჰც | სიმძლ. კვტ | მაუწყებლობის საშ. რად კმ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | თბილისის ანძა | 44E47 ; 41N41 | 100 | 98.4 | 1 | 25 |

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 50-150 მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

**ბ) სამოქმედო ზონა - ქ. თბილისი (სამაუწყებლო ზონა 1)**

**გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 10 692 (ათი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი) ლარით;**

**დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2004 წლის 29 ოქტომბერი 12 საათი.**

**ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2004 წლის 24 სექტემბრის 17 საათამდე;**

**2.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

**3.** ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

**4.** კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

**5.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის "ბ"-"გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში FM რადიოსამაუწყებლო სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

**6.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

**7.** ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

**8**. ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

**9.** პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, აგრეთვე მასში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

**10.** კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის "დ", "ე", "ვ", "ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

**11.** გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

**12.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

**13.** თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას..

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა.

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას.

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში.

**14.** კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

**15**. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში.

**16**. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

**17**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", "საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ", "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", "რეკლამის შესახებ" და "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**18.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით.

**19**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**20**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

**21**. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

**22.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

**23.** საკონკურსო სხდომა საჯაროა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) ინტერნეტში;

**დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ**
**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მისამართზე:**
**თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 42 ტელ.: 921667 ფაქსი: 921625**

*მიუხედავად იმისა, რომ რუსული მედია მთლიანად კრემლის გავლენის ქვეშ მოექცა, რუსეთში მაინც დარჩა ერთი-ორი ბეჭდვითი ორგანო, რომლებიც ცდილობენ, ხალხთან სიმართლე მიიტანონ. ასეთი განმარტოებული შუქურასავითაა შემორჩენილი "Новая Газета" – ნამდვილად დამოუკიდებელი და მაღალპროფესიული გაზეთი. გაზეთს დიდი ხანია ებრძვიან – საეჭვო ვითარებაში იღუპება მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე იური შჩეკოჩიხინი, ცოტა ხნის შემდეგ რედაქციას შენობიდან აძევებენ, აშანტაჟებენ, მაგრამ "Новая Газета"-ს ჟურნალისტებს საკუთარ პროფესიულ სინდისზე ხელი ვერ ააღებინეს. და, აი, კიდევ ერთი საეჭვო შემთხვევა – მძიმედაა მოწამლული ანა პოლიტკოვსკაია, რომელიც არა მხოლოდ თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობით, არამედ სამოქალაქო გმირობითაცაა ცნობილი მთელ რუსეთში.*
*და თუ რატომ უნდა მოეწამლათ პოლიტკოვსკაია, ადვილი მისახვედრია ამ წერილიდანაც, რომელიც 30 აგვისტოს გამოქვეყნდა "Новая Газета"- ში და რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.*

# იატაკქვეშა ომი

**კონფლიქტი მხოლოდ კონტრაბანდისტებს სჭირდებათ. ცხინვალში მცხოვრებ დანარჩენ მოსახლეობას შემოდგომაზე ქართულ-ოსურ ქორწილებში დროსტარება სურს**

ანა პოლიტკოვსკაია

- რომ არა ეს "დურაკული" პოლიტიკა – "დურაკების" პოლიტიკა, ვისხდებოდით ახლა ქორწილში, კარგად ვიგრძნობდით თავს და არც არავის გაახსენდებოდა, რომ ქორწილში შერეული წყვილია, როდესაც ბიჭი არის ქართველი და გოგო ოსი, ან პირიქით, რა მნიშვნელობა აქვს... – ამოიოხრა ზაზა დიდბერუაშვილმა, კეთილი გულის ადამიანმა გორიდან.

მანქანა მიჰქრის – იქით, სადაც თვითაღიარებული ცხინვალია, შემდეგ, მოშორებით კი, სამყაროს მოწყვეტილი, დიდი ლიახვის ხეობის ცხრა სოფელი. სულ ახლახან ჩაიარა აგვისტოს ომმა. ორივე მხარეს იყო მსხვერპლი, დანგრეულია სახლები, დაცხრილულია ატმის ბაღები, ამოთხრილია სანგრები. ქართველები იქ არ დადიან, სადაც ოსები არიან, ოსები კი ცდილობენ, იქ არ გამოჩნდნენ, სადაც ქართველები არიან. თავს ყველა ცუდად გრძნობს. რიგიანი ასფალტის გზით ხეობამდე სულ რაღაც 26 კილომეტრია, მაგრამ ქართველისთვის ახლა ცხინვალის გავლით იქ ჩასვლა არ შეიძლება. ზაზა კი ქართველია, საქართველოს უშიშროების სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელი.

- მეფისტოფელი.. გაგიგიათ, ალბათ? – განაგრძობს ზაზა, – ხალხი ლითონისთვის იხოცება. ასეც მოხდა. აგვისტოს ომი ერგნეთის ბაზრობისთვის გაჩაღდა.

ერგნეთში შევდივართ, ქართული სოფელია, მარცხნივ ველზე კი ნაცრისფერი საბჭოთა ყუთები – ცხინვალის სახლები მოჩანს.

## ერგნეთის ბაზრობა

აი, სწორედ ის ბაზრობა, რომლის გამოც ამ ზაფხულს ყველაფერი აირია. ახლა იქ სიცარიელე და სიშიშვლეა, არც ერთი გამყიდველი არ ჩანს, ძაღლებისთვისაც კი არ არის საინტერესო იქ ხეტიალი – საჭმელი არაფერია. სულ ცოტა ხნის წინ კი, ერგნეთის ბაზრობა ცნობილი ადგილი იყო, სადაც წლების განმავლობაში, როკის გვირაბის გავლით, რუსეთიდან გადმოტანილ კონტრაბანდულ საქონელს ყიდდნენ. ყველაფერი, რაც როკის გვირაბით გადიოდა, იყო არალეგალური და რუსეთისა და ცხინვალის სამხედროების მაფიოზური დაჯგუფებების – პირველ რიგში, მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული 58-ე არმიის ჩინოსნების მიერ კონტროლირებადი. საქონლის ბანდიტურად გაცვლა რომ მოხერხებული ყოფილიყო, სამხრეთ ოსეთისთვის კრემლმა უვიზო რეჟიმიც კი შემოიღო.

ამ ზაფხულს საქართველოს ხელისუფლებამ კონტრაბანდისთვის წერტილის დასმა სცადა. ეს მან როკის გვირაბის გაკონტროლების მცდელობით დაიწყო და, აი, მაშინვე გაისმა სამხრეთ ოსეთის ნაციონალისტური ლოზუნგები: ჩვენ დამოუკიდებლები ვართ!!! მაგრამ, საქართველოს ხელისუფლებამ შეტევა გაამკაცრა და ერთ მშვენიერ დღეს, ერგნეთის ბაზრობა დაკეტა. როკის გვირაბის მაფიამ თავი ინფარქტის წინა მდგომარეობაში იგრძნო – კონტრაბანდული საქონლის გასაყიდი ადგილი აღარ არსებობს. აქვე დროული გამოდგა "ერის თვითგამორკვევის უფლება" – სამხრეთ ოსეთმა ამაზე ყვირილი ატეხა, რუსეთმა კი მას ღიად დაუჭირა მხარი. დაიწყო ომი... იგი 12 აგვისტოდან 21-მდე გრძელდებოდა. და მაშინ, როდესაც 16 ქართველი სამხედრო დაიღუპა, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ქართული სოფლების დაცხრილვისგან გადარჩენის მიზნით, თავისი სამხედრო შენაერთები ადრე დაკავებული სიმაღლეებიდან გაიყვანა. გათავისუფლებული სიმაღლეები მაშინვე დაიკავეს... ვინ? დოკუმენტაციით – მხოლოდ სამშვიდობოებმა. თუმცა, ვინ არიან ეს სამშვიდობოები, არც ისე ადვილი გასარკვევია. ყოველ ორ ნამდვილ სამშვიდობოზე ათამდე გაურკვეველი სახელმწიფო ორიენტაციის მქონე ადამიანი მოდის. ხელმოწერილი შეთანხმებების შესაბამისად, იქ სამივე მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს არაუმეტეს ხუთასი სამშვიდობო ჯარისკაცისა, ბლოკპოსტები კი მათ შორის მკაცრად არის გაყოფილი.

მაგრამ, კონფლიქტის მხარეებად ითვლება ჩრდილოეთ ოსეთი, რუსეთი და საქართველო, რაც რეალურად სხვა რამეს ნიშნავს: ხუთასი ქართველი - ათასი ოსის წინააღმდეგ, რადგან ჩრდილოეთ ოსეთი და რუსეთი ხომ ერთია, ჩრდილოეთ ოსეთი – ჯერ ისევ რუსეთის ფედერაციის ნაწილია. დღეს, აგვისტოს ბოლოს, ვითარება კიდევ უფრო ირევა, ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონში ბევრი სამხრეთ ოსეთის მკვიდრია, რომელთაც ოფიციალურად, შეთანხმებების შესაბამისად, სამშვიდობო პროცესში მონაწილეობა აკრძალული აქვთ, მაგრამ რუსეთის შუამავლობით და რუსი სამხედროების პროტექტორატით – ახერხებენ... ამგვარად, სამხრეთ ოსეთის მკვიდრნი როკი-ერგნეთის კონტრაბანდის გასათავისუფლებლად, შეიარაღებულ ბრძოლას დაუბრუნდნენ. ეს ომი ახლა აშკარად არ ჩანს – ის მხოლოდ ამ მიწაზე ვრცელდება, ის ჩუმი და ეშმაკურია, როგორც კონტრაბანდა – იატაკქვეშა ომი. სამხრეთ ოსეთის შესახებ ყველა ეგრეთ წოდებულ მოლაპარაკებაზე ცხინვალი ერგნეთის ბაზრობის გახსნის საკითხის მეთოდურად წამოწევას განაგრძობს: სამხრეთ ოსეთის და რუსეთის მხარეები თანახმანი არიან, ქართველებთან ერთობლივად გააკონტროლონ როკის გვირაბი, მაგრამ იმ პირობით, რომ ერგნეთის ბაზრობა კვლავ გაიხსნება. სანამ ქართული მხარის პოზიცია უცვლელია, ერგნეთის ბაზრობა მკვდარია: რატომ უნდა ვასაზრდოოთ ომი ნაღდი ფულით, არ იქნება ეს "შავი ხვრელი", და ომიც ჩანავლდება... მაგრამ, რა იქნება ამის შემდეგ?

## ნაღმტყორცნები თქვენგან

- ოსები მუდმივად ჩვენს პროვოცირებას ახდენენ, - ამბობს გენო შატბერაშვილი, გორის პოლიციის კაპიტანი. ის თავის მეომრებთან ერთად სწორედ ცარიელი ბაზრობის შესასვლელთან ზის. გენო – ერგნეთის ბლოკპოსტის უფროსია, საიდანაც მშვენივრად ჩანს ცხინვალი – საბჭოთა სტილის რუხი ქალაქი. პოსტის უკან ბუჩქები და რაღაც ნაგებობებია.

- ოსები იქიდან გვესვრიან, - ამბობს კაპიტანი და, აუღელვებლად მიუთითებს ახლომდებარე ტერიტორიებზე,



–ოსეთის ქვეითთა სამხედრო მანქანა მოდის და ბუჩქებთან დგას, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ მანქანის ქონის უფლება არ აქვთ.

- თქვენ? საპასუხო ცეცხლს ხსნით?

- არა, – გენო კატეგორიულია და ეს სიმართლეს ჰგავს, – ჩვენ ომი არ გვსურს. რომ ვუპასუხოთ, ისევ ომი იქნება. ომი რომ დაიწყოს, მას რაღა გააჩერებს?

- მაგრამ თქვენთვისაც ხომ მომგებიანი იყო ეს ბაზრობა? თქვენც ხომ აქ ყველაფერს იაფად ყიდულობდით?

- ჩვენ რაში უნდა გვაწყობდეს კონტრაბანდა? მე პოლიციელი ვარ, მე წესრიგს ვიცავ, - კაპიტანი მიჩვეულია იმას, რომ პროვოკაციაზე არ წამოეგოს და გაბრაზებულია, – კონტრაბანდა ჩემთვის მომგებიანი არ იქნება. მას იმდენი პრობლემა მოაქვს...

გენოს მივყავართ, რომ გვაჩვენოს პოსტის ქვემოთ, ერგნეთის ბოლო ქუჩა ცხინვალამდე. იქ, ღობეებსა და სახლებზე ნატყორცნი ნამდვილი ყუმბარების უამრავი ნაკვალევია. მაგრამ, ნაღმტყორცნების გამოყენება ხომ აკრძალულია...

- ვინ იყენებს ნაღმტყორცნებს?

- რასაკვირველია, ოსები.

- და საიდან აქვთ მათ ნაღმტყორცნები?

- რა თქმა უნდა, რუსეთისგან, – კაპიტან შატბერაშვილს გაოცებული სახე აქვს, - ნუთუ ასეთ მარტივ რამეებს ვერ ხვდები?

ვერც ერთ ქართულ სოფელში ვერ მოიძებნა ადამიანი, ვისაც ეჭვი ეპარებოდა, თუ საიდან იწყება აქ ომი, საიდან მოფრინავს ტყვიები და რატომ. სამხრეთ ოსეთის "დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა" წარმოებს რუსული კონტრაბანდის შავ ფულზე, რომლის რაოდენობაც მოსკოვში დამტკიცებულ რუსეთის სამხედრო ბიუჯეტს უტოლდება.

## დახვრიტეს კურდღელი

თამარაშენი – ახლა ის დიდი ლიახვის ხეობის ქართული ჩიხია. მასზე მიბჯენილია ცხინვალი, მისი მეორე მხარე კი რაღაცით ერგნეთს წააგავს. ცხინვალიდან თამარაშენამდე თხუთმეტი წუთის სავალი მანძილია. შემოვლითი გზით კი – საათნახევრის. ქართველები თამარაშენიდან ცხინვალში ცალ ფეხსაც არ დგამენ, ოსები აქეთ ერთი ნაბიჯითაც არ გადმოდიან. მეზობლური ზრდილობის ურთიერთგაცვლა მხოლოდ საომარი პრეისკურანტის შესაბამისად ხდება.

- მიუხედავად იმისა, რომ ოსები გვიტევენ, ჩვენ ამ ხეობას არ დავტოვებთ, - ამბობს ორსართულიანი სავაჭრო ცენტრის მიმართულებით ვენახიდან მელანქოლიურად მომზირალი, თამარაშენის მკვიდრი ვასილ დათაშვილი. ვასილმა ამ სოფელში მთელი თავისი ცხოვრება გაატარა - 54 წელიწადი, – წამოდით, სკოლას გაჩვენებთ, ისიც დაცხრილულია.

სოფლის სკოლის ფანჯრებიდან კარგად მოჩანს ცხინვალის შენობები – სულ რაღაც, ასი მეტრის დაშორებით.

- იქ ოსების საცეცხლე წერტილებია. იქიდან ისროდნენ. კურდღელი დახვრიტეს... - ცდილობს აგვიხსნას გეოგრაფიის მასწავლებელმა ოთარ თათაშვილმა; მღელვარებისგან ენა ებმის და ხელებს იქნევს, - მელიაც დაცხრილეს... აი, ხედავთ?

სკოლის სააქტო დარბაზის კედელზე, რომელზეც უამრავი ნატყვიარია, მართლაც გამოსახულია სკოლაში მიმავალი ცხოველები. ღამით ესროლეს. სკოლის სახურავზე დიდი ნახვრეტია – ეს მძიმე არტილერიის ნამოქმედარია. ფანჯრები დამსხვრეულია. აშკარად ეტყობა, რომ ახალი, ლამაზი და კარგად გარემონტებული სკოლა იყო – ის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხით და მისივე სტანდარტების შესაბამისად აშენდა, რაზეც სპეციალური დაფა მეტყველებს.

- მათ ხომ იციან, რომ აქ საკლასო ოთახია, - აგრძელებს გეოგრაფიის მასწავლებელი, - სკოლა, ბავშვები. გესმის?

ლანა ბორცვაძე, სკოლის დირექტორი, რომელსაც ხუთი წლის წინ ოსებმა შვილი მოუკლეს და რომელიც მას მერე მხოლოდ შავებში დადის, სევდიანია, როგორც მიტოვებული მადონა:

- არ შემეძლო აქ მოსვლა და ამ ყველაფრის ნახვა.

- და რატომ ესროლეს სკოლას, რა მიზანი ჰქონდათ?

- გვაშინებენ, რეგიონიდან გვყრიან. რუსეთს სურს ასე. ოსები რუსეთის გარეშე ხომ არაფერნი არიან. რუსეთს კი ჩვენი ტერიტორიის მითვისება სურს.

მოსახლეობას შექმნილ ვითარებაზე სხვა კომენტარი არ აქვს.

### კიდევ ერთი თავდასხმა თავისუფალ რუს ჟურნალისტზე

ბოლო ინფორმაციით, ანა პოლიტკოვსკაია როსტოვის საავადმყოფოში იმყოფება. მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, - ამბობენ ექიმები. მათ მიერ დასმული დიაგნოზი მოწამვლაა. ექიმები, ჯერჯერობით, სანუგეშო ინფორმაციას ვერ იძლევიან. მიმდინარეობს ექსპერტიზა, თუ რა სახით მოხვდა ტოქსინი ჟურნალისტის ორგანიზმში. "ნოვაია გაზეტა"-ს მთავარი რედაქტორი მომხდარს უაღრესად საეჭვოდ მიიჩნევს. მისივე განცხადებით, ანა პოლიტკოვსკაიას მთელი დღის განმავლობაში საკვები არ მიუღია და მხოლოდ თვითმფრინავში დალია ჩაი.

თავდაპირველად ანა პოლიტკოვსკაია და სხვა ჟურნალისტები ცნობილ პროფესორ ლეონიდ როშალთან ერთად აპირებდნენ გამგზავრებას, თუმცა შემდეგ ისინი პროფესორის თვითმფრინავში არ აუშვეს.

## მხოლოდ "ნურსი"

ამ დროს, თამარაშენის ორ ნაწილად გამყოფ ქუჩაზე ხალხმრავლობაა. ხალხს თავისი ვენახებიდან აგვისტოს ომის სახსოვრები მოაქვს. მათ შორის არის აუფეთქებელი ჭურვები. ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე მეთაურის ტონით გაიძახის, რომ ეს საშინელება მოაშორონ. შეკრებილ ხალხს შორის კიკნაძე ერთადერთი პოლკოვნიკი არ არის. შუაში დგას კიდევ ერთი, ჩვენი შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი. ანდრეი პრიახინი რუსეთის სამშვიდობო ბატალიონიდანაა, ის უფროსის მოადგილეა (ანუ მოადგილეა "ტელეგმირის" - გენერალ ნაბზდოროვის, რომელიც მუდმივად ქართველებს სდებს ბრალს და ოსებს იცავს).

ანდრეი მშვიდი ბიჭია. თამარაშენელები მას ხელში აწვდიან მძიმე ჭურვების დეტალებს:

- აი, ეს ვახტანგ გობერიძის სახლში შეფრინდა.

- ეს "ნურსია", სხვათა შორის, – შეშფოთებულია კიკნაძე. – ანდრეი, ეს ხომ თქვენი "ნურსია". საიდან აქვთ ოსებს "ნურსი"?

- ხო, "ნურსია", - არც უარყოფს პრიახინი.

ეტყობა, რომ სათქმელი არაფერი აქვს: მას სახეზე მხოლოდ ღიმილი აღებეჭდება, ისიც ნაძალადევი და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად გადააგდოს ეს საშინელება. მაგრამ ფაქტი სახეზეა: კონფლიქტის ზონაში "ნურსის" გამოყენება კატეგორიულად აკრძალულია, ყველა შეთანხმების დარღვევის ფაქტები აშკარაა. ეს რკინის მასა ქართულ სოფელში მხოლოდ სამხრეთ ოსეთის პოზიციებიდან შეიძლება მოფრენილიყო, ოსური პოზიციები კი - ეს იგივე რუსული პოზიციებია... მოკლედ, უნდა დავაფიქსიროთ, რომ თამარაშენის მიმართულებით მძიმე არტილერია მუშაობდა, რაც ცხინვალს არც აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ პრიახინს ამის დაფიქსირება საერთოდაც არ უნდა. ქართველები ხომ ხმაურიანი ხალხია და ისიც ამ ხმაურში შეუმჩნევლად ქრება და სამხრეთ ოსეთის გზების მტვერში იკარგება.

## "ჩვენები"

- მაგრამ სარაბუკში ქართველებმაც იმუშავეს, იქ სახლი ქართველებმაც დაანგრიეს, - ამას სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის წარმომადგენელი მახარ გასიევი ამბობს.

ოფიციალურ თბილისში ცხინვალის ჩინოვნიკებს "სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას" უწოდებენ. ასე რომ, მახარ გასიევი სამხრეთ ოსეთის მიგრაციის პოლიტიკის მინისტრის დე ფაქტო მოადგილეა. თამარაშენში "ნურსის" სცენას ისიც აკვირდებოდა და ახლა ოსური სოფლის შემოწმებას მოითხოვს. მას არც არავინ ეწინააღმდეგება.

სარაბუკი მთელს დედამიწაზე ულამაზესი ადგილია, სადაც ყურები გეხშობა და მუქი ლურჯი ცა მხრებზე გეფინება. მარჯვნივ ჯავის ხეობაა, სადაც, ქართული მხარის ვერსიით, ოსები და რუსეთიდან ჩამოსული დაქირავებული მებრძოლები არიან განლაგებულნი. გასიევს მივყავართ სოფლის ყველაზე მაღალ წერტილში – სწორედ იქ დგას გუჩმაზოვების სახლი, რომელსაც სახურავი სრულად აქვს ახდილი. სახლის ეზოში, მწვანე ბალახზე ცხვრები არ ძოვენ, აქ ომის შედეგად დარჩენილი ჩვეულებრივი ნაგავი ყრია. ყველაფერი საარტილერიო იარაღიდან სროლაზე მიუთითებს. აშკარაა, რომ აქედანვე ისროდნენ. გასროლილი ფუჭი ჭურვები, ჰილზები და რაკეტების გაპრანჭული ფრთები... გილზებს ყურადღებას არავინ აქცევს, მათ, უბრალოდ, ფეხებით ვზილავთ ხალიჩასავით ფაფუკ ბალახში.

ციცაბოს შვერილთან დგას ორი ქალბატონი, შეშფოთებული სახეებით. ერთი უფროსია, ჭაღარა თმებით და რუსის იერ-სახით, მეორე – საშუალო ასაკის, რევოლუციურად წითელი პერანგითა და იღლიაში ამოჩრილი მობილური ტელეფონით. ოსი მინისტრის მოადგილის მიერ აქ წამოყვანილ პოლკოვნიკ კიკნაძისა და მისი ორი დამხმარის დანახვაზე ქალები მაშინვე ყაყანს იწყებენ, მაგრამ არა რუსულ ენაზე, ამ ენაზე მხოლოდ ერთი ფრაზა მეორდებოდა, თანაც საკმაოდ ხშირად "ქართული სიფათი..." და კიდევ - "ქართული სიფათი"... ემოციები უკვე თამაშს აღარ ჰგავს, და შედეგიც სახეზეა – ქალები იძახებენ რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ და ყველანაირი, ცივი თუ ცხელი იარაღით აღჭურვილ სამხედროებს. ყვირილს ისინიც იწყებენ:

- აქ მოსვლა როგორ გაბედეთ! დაგაპატიმრებთ!

- თქვენ ვინ ხართ?

- ადგილობრივი მილიცია. მე უფროსი ვარ, – პასუხობს ორმეტრიანი ტიპიური სპეცნაზელი, ან "ბოევიკი", ომში ყოფნის ათი წლის გამოცდილებით. შესაძლოა, ქართველი პოლიციელებიც ასე გამოიყურებიან, მაგრამ მაინც რაღაც უცნაურია.

ჩინოვნიკი მაშინვე ყველაფრის გადაკეთებას ცდილობს და საბოლოოდ ისეთი სიტუაციაა, ვითომ მან კი არ მოიყვანა აქ ქართველები, არამედ "საცეცხლე წერტილებს ქართველები თავისით მოაწყდნენ". მართლაც, ზუსტად იქვეა ოსური საცეცხლე წერტილები. და ეს, რასაკვირველია, სენსაციაა – აი ისიც, "მესამე ძალა", რომელიც ღამ-ღამობით ისვრის. სწორედ ის, რის არსებობასაც კატეგორიულად უარყოფენ როგორც რუსი სამხედროები, ისე კრემლი და გენერალი ნაბზდოროვი.

არა, გასაგებია, რომ კრემლიდან ამ საცეცხლე წერტილებს ვერ დაინახავ, მაგრამ სარაბუკიდან ეს, თუ ბრმა არ ხარ, გადასარევად ჩანს.

ოსი "მილიციონერები" მოსულებს ქართველ ჯაშუშებად რაცხავენ – მათ შორის, გაერო-ს ელჩს ლანს კლარკსსაც. ისე, ის ძალიან უცნაური ვინმეა, საკუთარი ჯიპის უკან იმალებოდა და არც კი ცდილობდა, თავისი მანდატი იმ ხალხის გასათავისუფლებლად გამოეყენებინა, რომლებიც სტუმრად მოიწვიეს, ახლა კი დააკავეს, კაცმა არ იცის, ვინ ან რა უფლებით. ოსები ყველაფერს ართმევენ. მარტო მე გადამირჩა ერთადერთი რამ – სამხრეთ ოსეთის საცეცხლე წერტილების არსებობის დამადასტურებელი ფოტოები, რისი არსებობაც, სხვათა შორის, საერთაშორისო დამკვირვებლებთან ერთად მიღებული ყველა შეთანხმების დარღვევაა. ეს ის წერტილებია, საიდანაც ქართულ სოფლებს დიდი ომის პროვოცირების მიზნით ცეცხლს უხსნიან.

- სახურავახდილ სახლში ვინმე დაიღუპა?

- არა... პატრონები დიდი ხნის წინ წავიდნენ და იქ ჩვენი სამხედროები იყვნენ, - პასუხობს წითელპერანგიანი ქალბატონი, რომელსაც ხელებზე დამახასიათებელი იარები აქვს, რისთვისაც ჩეჩნეთში ხალხი დღეს სიცოცხლეს წირავს - ეს "კალაშნიკოვის" ლაქებია.

- და ვინ არიან ისინი? თქვენი მეომრები?

- ისინი, ვინც ცხინვალის რეგიონს ქართველებისგან იცავენ. ჩვენ ქართველებთან ერთად აღარ ვიცხოვრებთ. მათ ჩვენ მესამედ მოგვიწყვეს გენოციდი.

მესამე გენოციდს ისინი ერგნეთის ბაზრობის დახურვას უწოდებენ. მაგრამ პირველი და მეორე, 1990-იან წლებში მართლაც იყო, და მაშინ დაღვრილ სისხლს ასე უბრალოდ ნამდვილად ვერ დაივიწყებ.

*"Новая Газета"*
*თარგმნა ნინო გომართელმა*

# კავკასიაში პუტინი მარცხდება

პირველი გვერდიდან

რუსეთის ოფიციალური პრესა და ტელევიზია ჩრდილოეთ ოსეთიდან დოზირებულ ინფორმაციებს ავრცელებს. ჩრდილოეთ ოსეთის მოვლენებზე ელექტრონულ მედიასა და ორიოდე შედარებით თავისუფალ გაზეთში გამოქვეყნებული ანალიტიკური სტატია კი ხელისუფლებას აკრიტიკებს.

ადამიანის უფლებებისათვის ცნობილი რუსი მებრძოლი სერგეი კოვალიოვი შიშობს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ კრემლისადმი მხარდაჭერა პუტინს ხელ-ფეხს გაუხსნის და ბესლანში დუბროვკა გამეორდება.

რუსი ძალოვნები აცხადებენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ სერიოზული ომი მიმდინარეობს. პუტინის ოპოზიცია ითხოვს რუსეთის სამხრეთ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღებას. დამკვირვებლები შეშფოთებას გამოთქვავენ მოჩვენებითი სტაბილურობის დარღვევით. არადა, ვლადიმირ პუტინი ვოჟდიზმით შეპყრობილმა რუსებმა სწორედ სტაბილურობის ხათრით აირჩიეს. მკაცრი ხელი, რკინის ნერვები, სუფთა გული - ილუზია ყოფილა. ამიტომ მოსახლეობაში ინდეფერენტიზმი და შიში მძლავრობს.

პუტინს ჩრდილოეთ კავკასიიდან მუქარას უთვლიან - კავკასია მოსკოვი არ გეგონოსო. პუტინის კრიტიკისათვის რუსეთის ხელისუფლებიდან თავის დროზე მოშორებული რუსლან აუშევი ერთ დღეში ეროვნული გმირი ხდება. როგორც ჩანს, კავკასიაში "ვიღაცის" პოლიტიკა იმარჯვებს. ოღონდ ეს "ვიღაცა" ვლადიმირ პუტინი აღარ არის.

პრივატიზაცია

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს აუქციონს

**2004 წლის 6 ოქტომბერს გასაყიდად გამოტანილი იქნება ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული შემდეგი არასაცხოვრებელი ფართები:**

| N | ობიექტის დასახელება და მისამართი | დაკავებული ფართი კვ.მ | დაკავებული მიწის ფართი კვ.მ | საწყისი სარეალიზაციო ფასი, აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | ობიექტის დახასიათება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] ქ. N10/1-3 | 58.56 | 39.62 [illegible] | 12968 | 250 | [illegible] |
| 2 | [illegible] ქ. N63 | 154.65 | 52.61 [illegible] | 31973 | 650 | [illegible] |
| 3 | [illegible] ქ. N27 | 30.35 | 17.12 [illegible] | 4540 | 100 | [illegible] |
| 4 | [illegible] ქ. N78-80 | 131.64 | 157.67 [illegible] | 10980 | 400 | [illegible] |
| 5 | [illegible] ქ. N70 | 21.37 | 24.97 [illegible] | 2420 | 50 | [illegible] |
| 6 | [illegible] ქ. N6 | 31.4 | 22.26 [illegible] | 7349 | 150 | [illegible] |
| 7 | [illegible] ქ. N44 | 123.80 | 80.71 [illegible] | 29646 | 600 | [illegible] |
| 8 | [illegible] ქ. N6 | 71.2 | 43.95 [illegible] | 7279 | 150 | [illegible] |

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 2004 წლის 6 სექტემბრიდან 2004 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით 9 სთ-დან 18 სთ-მდე (მერიის ეკონომიკური სამმართველოს შენობაში, ოთახი N5. მისამართი: სულხან-საბა ორბელიანის ქ. N7.)

**2004 წლის 8 ოქტომბერს გასაყიდად გამოტანილი იქნება ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული შემდეგი არასაცხოვრებელი ფართები:**

| N | ობიექტის დასახელება და მისამართი | დაკავებული ფართი კვ.მ | დაკავებული მიწის ფართი კვ.მ | საწყისი სარეალიზაციო ფასი, აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | ობიექტის დახასიათება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] ქ. N2/1 | 180.56 | 132.5 [illegible] | 47569 | 950 | [illegible] |
| 2 | [illegible] ქ. N2/1 | 81.7 | 54.63 [illegible] | 21508 | 450 | [illegible] |
| 3 | [illegible] ქ. N2/1 | 96.82 | 65.20 [illegible] | 25498 | 500 | [illegible] |
| 4 | [illegible] ქ. N49 | 56.14 | 40.84 [illegible] | 11361 | 250 | [illegible] |
| 5 | [illegible] ქ. N30-18 | 89.48 | 43.62 [illegible] | 10636 | 400 | [illegible] |
| 6 | [illegible] ქ. N6 | 33.6 | 21.14 [illegible] | 3443 | 100 | [illegible] |
| 7 | [illegible] ქ. N16 | 42.76 | 72.42 [illegible] | 5284 | 100 | [illegible] |

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 2004 წლის 8 სექტემბრიდან 2004 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით 9 სთ-დან 18 სთ-მდე (მერიის ეკონომიკური სამმართველოს შენობაში, ოთახი N5. მისამართი: სულხან-საბა ორბელიანის ქ. N7.)

## აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბე"-ს სიდიდე უნდა იყოს ქონების საწყისი გასაყიდი ფასის მინიმუმ 10%, ბილეთის შესაძენი ფასი, ფიზიკურ პირთათვის 10 ლარი, ხოლო იურიდიულ პირთათვის 50 ლარი, რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე N300121500. მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდალური დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ

აუქციონი გაიმართება შესაბამისად 2004 წლის 6 და 8 ოქტომბერს, 12 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობის მეორე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

a) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ
ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N7, მეორე სართული, ოთახი N5,
ტელ. 7-30-28, 7-26-45
გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

გამხდარი, თეთრი, სულელი



B2

ქართული რაგბის პრობლემები ჩემპიონატის წინ



B5

კინგ კონგი ახალ ზელანდიაში მიდის



B8

# თემურ მიმინოშვილი: "სახელმწიფო ფოთის ნავსადგურზე კონტროლს არ დაკარგავს"

"ფოთის პორტში საკმაოდ განსხვავებული სიტუაცია დამხვდა იმასთან შედარებით, რაც თბილისიდან და დოკუმენტებიდან ჩანდა"

*ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი თემურ მიმინოშვილი დაახლოებით ორი კვირაა, სათავეში უდგას საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ სახელმწიფო კომერციულ სტრუქტურას, ფოთის პორტს - სახელმწიფოს სახელმწიფოში, ტრადიციულად ქართული ფინანსური კლანების ინტერესის საგანს, ქვეყნის ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემავსებელს, ექს-სახელისუფლებო პოლიტიკური ძალების უმთავრეს არაოფიციალურ ფინანსურ წყაროს, აჭარული რევოლუციის ასევე არაოფიციალურ დამფინანსებელს, ტრანზიტული ქვეყნის საკვანძო სტრატეგიულ ობიექტს...*

*თემურ მიმინოშვილი, რომელსაც 26 წელი ახალ პოსტზე დანიშვნის შემდეგ შეუსრულდა, საკითხს, ერთი შეხედვით, იდეალისტურად უდგება - ამბობს, რომ მიცემულ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და ფოთის პორტში ყველაზე წარმატებულ ბიზნეს-პროექტს განახორციელებს, რომლის საბოლოო მიზანი ბაზარზე, ფოთის ნავსადგურის სახით, კონკურენტული ბიზნეს-სუბიექტის გამოჩენა, ბათუმის, ნოვოროსიისკის, ილიჩოვსკის, ოდესის, სხვა ნავსადგურებისთვის სერიოზული კონკურენციის გაწევა, შედეგად კი, პორტისთვის და სახელმწიფოსთვის მაქსიმალური მოგების მიღება იქნება. თუმცა, ორი კვირის თავზე, ჯერჯერობით, შედეგებზე საუბარი ნაადრევი ჩანს, პირველად კი კითხვა ისევ ამ სერიოზული პოსტისთვის ახალგაზრდა ასაკთან დაკავშირებით იბადება:*

თამარ ხორბალაძე

**- როგორ ხვდებიან 26 წლის ბიჭები ისეთ სერიოზულ თანამდებობებზე, როგორიც ფოთის პორტის ხელმძღვანელის პოსტია?**

- ალბათ... ალბათ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მაინც 26 წლამდე განვლილი გზაა.

ფოთის პორტის ხელმძღვანელად დანიშვნამდე, მე გარკვეული პერიოდი ნამუშევარი მაქვს სახელმწიფო სტრუქტურაში - ფინანსთა სამინისტროში, 2004 წლამდე ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში ვიყავი ხელმძღვანელად, პარალელურად, მქონდა საკუთარი ბიზნესი, გამოცდილება საკონსულტაციო მომსახურების კუთხით და ოთხ თვეზე ოდნავ მეტი ვიმუშავე მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე. ალბათ, ამ პერიოდმა მისცა საბაბი იმ ადამიანებს, ვინც გადაწყვიტა, რომ მოეცათ ჩემთვის მნიშვნელოვანი შანსი, ჩემი შესაძლებლობები უფრო მეტად მეჩვენებინა.

**- რის გასაკეთებლად მიხვედით ფოთის პორტში?**

- ჩემი უმთავრესი მიზანი არის ის, რომ ფოთის ნავსადგური ქვეყნისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს.

**- რას გულისხმობთ მიმზიდველობაში - გადაიხადოს მეტი გადასახადი?**

- ჰქონდეს გაცილებით მეტი მოგება, გადაიხადოს მეტი გადასახადი, გამოიყენოს ყველა მის ხელთ არსებული რესურსი, გააკეთოს დღეს არსებული შესაძლებლობების მაქსიმუმი, შემუშავდეს მომავალი განვითარების სწორი მოდელი და გზა. ეს არის ყველაზე მთავარი მიზანი - განხორციელდეს ყველაზე წარმატებული ბიზნეს-პროექტი ფოთის პორტში, რაც აუცილებლად გამოადგება როგორც ქალაქ ფოთს, ასევე მთელ ქვეყანას და ნებისმიერ ნავსადგურელს.

**- უკვე ნავსადგურელი ხართ?**

- ვფიქრობ, რომ კი - ამ ორი კვირის მანძილზე შევეცადე, ყოველდღე მეცხოვრა ყველა იმ ადგილას, სადაც ყველა სხვა ნავსადგურელი ცხოვრობს - ვყოფილიყავი კატარღაზე, დავკვირვებოდი ტვირთების გადატვირთვის პროცესს, მენახა უფრო ზევით - ადმინისტრაციაში ვინ რას აკეთებს? როგორ აკეთებს? შეიძლება, სულ მთლად პროფესიონალ ნავსადგურელად არ ვითვლებოდე, მაგრამ ესეც ძალიან მალე იქნება.

**- პირველი სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მოასწარით?**

- როგორც ყველგან, ნებისმიერ სამსახურში, პირველი ნაბიჯები, ეს არის რეალური სურათის გაცნობა. პრობლემების უმეტეს ნაწილს, შეიძლება ითქვას, უკვე გავეცანი, მეტ-ნაკლებად დეტალურად, მაგრამ თავისი მოცულობიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდი, სავარაუდოდ - კიდევ ორი კვირა დამჭირდება იმის სათქმელად, რომ მე დეტალურად ვიცნობ იმ საკითხებს და იმ საქმეებს, რომელიც ფოთის პორტში ხდება.

**- რამდენად განსხვავებულია ის რეალობა, რომელიც ფოთის პორტში დაგხვდათ, იმისგან, რაც გარედან ჩანდა?**

- ფოთის პორტში საკმაოდ განსხვავებული სიტუაცია დამხვდა იმასთან შედარებით, რაც თბილისიდან და დოკუმენტებიდან ჩანდა.

**- და როგორია ეს სიტუაცია?**

- ამაზე დეტალურად, ალბათ, ორი კვირის თავზე ვისაუბრებ.

**- საქართველოში წლების მანძილზე საკმაოდ ბევრი ჭორი დადიოდა ფოთის პორტში გავლენის მქონე კლანების შესახებ, მათ შორის - ექსპრეზიდენტის მძახლის, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების და სხვების ინტერესებზე ნავსადგურში. დღეს პორტში ასეთი ინტერესები კვლავ იკვეთება?**

- ჩემი ფუნქცია და მიზანი არ არის, ფოთის ნავსადგურში ცალკეულ დაჯგუფებათა და კლანების ინტერესები ვეძებო. ჩემი მიზანია, რომ ნავსადგურის ფუნქციონირება თანამედროვე მართვის სისტემებზე დაფუძნებული და მაქსიმალურად ეფექტური იყოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ასეთი ინტერესები არსებობს, მათზე შესაბამისი სტრუქტურები მუშაობენ. ჩემი მხრიდან, თუ საჭირო იქნება, მათ ექნებათ მაქსიმალური დახმარება. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ, კლანურ ინტერესებს ნავსადგურში პირისპირ არ შევჯახებივარ, ყოველ შემთხვევაში - ჯერჯერობით.

**- თავის დროზე იყო პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პორტში აუდიტის შეყვანა გააჭიანურა. დღეს თუ არის დასრულებული აუდიტორული შემოწმება და არის თუ არა შედეგები?**

- 2003 წელს ფინანსთა სამინისტრომ ჩაატარა ტენდერი და გამოავლინა აუდიტორული კომპანია "რაისვოთერ ჰაუს კუპერსი", აზერბაიჯანის ოფისი, რომელმაც შეამოწმა ნავსადგურის 2001-2002 წლების ფინანსური მდგომარეობა. თუმცა, ჯერჯერობით, დასკვნა არ არის დასრულებული. ამ დღეებში მქონდა საუბარი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. დაგვპირდნენ, რომ მომავალ კვირას ჩამოვლენ საქართველოში და დასკვნას გაგვაცნობენ. ალბათ, ეს დასკვნა საკმაოდ ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ამ ნაწილში მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- პირველივე კომენტარში თქვენ განაცხადეთ, რომ ეკონომიკის სამინისტროში მუშაობის დროს, პორტის რესტრუქტურიზაციის პროექტზე მუშაობდით. დაიწყეთ თუ არა მისი რეალიზება?**

- ეს პროექტი, შესაძლოა, გაიყოს ორ ეტაპად - რესტრუქტურიზაციის რეჟიმში ნავსადგური უკვე გადავიდა, დაახლოებით 23 აგვისტოდან, რაც მისი იურიდიული სტატუსის შეცვლას გულისხმობს. მეორე ეტაპზე პორტის მომავალი განვითარების სტრატეგიის შემუშავება უნდა მოხდეს. კონკრეტულად, საუბარია იმაზე, რომ ამჟამად ფოთის ნავსადგური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მეცხრე მუხლი ამბობს, რომ, როცა საჯარო სამართლის იურიდიული პირი არსებითად გადადის სამეწარმეო საქმიანობაზე, ის უნდა გადაკეთდეს კერძო სამართლის სუბიექტად. დამერწმუნეთ, სადავო არ არის, რომ ფოთის ნავსადგური დღეს სამეწარმეო საქმიანობას ეწევა. ის უნდა გარდაიქმნას კერძო სამართლის სუბიექტად, ის უნდა მოევლინოს ბაზარს, როგორც ბიზნეს-სუბიექტი და გაუწიოს კონკურენცია სხვა ნავსადგურებს - მათ შორის, რამდენად აგრესიულადაც უნდა ჟღერდეს, კონკურენცია უნდა გაუწიოს ბათუმის ნავსადგურსაც, ილიჩოვსკის, ოდესის, ნოვოროსიისკის ნავსადგურებს და ასე შემდეგ. რეფორმის პირველ ფაზაზე იურიდიული სტატუსის შეცვლას მოჰყვება ახალი მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბება, ფუნქციების გადანაწილების ახალი მოდელის შექმნა, მაქსიმალურად ეფექტური ხარჯების გაწევა, მეტი მოგების მიღება - ეს არის კერძო ბიზნეს-სუბიექტის უმთავრესი მიზანი.

**- რეორგანიზაციის მეორე ეტაპი რას გულისხმობს?**

- მეორე ეტაპი გულისხმობს ნავსადგურის განვითარების მოდელების შემუშავებას - იქნება ეს გრძელვადიანი იჯარები, გაყიდვის რაიმე სხვა ფორმა, კონკრეტული ფუნქციების ვინმეზე გადაცემა, ან მხოლოდ კომერციული ფუნქციის გადაცემა და [illegible] ბოლოს დატოვება თუ სხვა - ყველა ეს მოდელი დამუშავდება თავისი ფინანსური ანალიზით და ამ ანალიზის ბოლოს მიიღება გადაწყვეტილება სახელმწიფოს მხრიდან. გადაწყვეტილების მიღების პროცესი მაქსიმალურად საჯარო და ღია იქნება.

**- გადაწყვეტილება შეიძლება პრივატიზაციას გულისხმობდეს?**

- პრივატიზაცია ჰქვია იმასაც, როცა ქონება გრძელვადიანი იჯარით გაიცემა. საუბარია ისეთ იჯარაზე, როცა ინვესტორის ინტერესი გათვალისწინებულია - ანუ ინვესტორი კონკრეტულ საქმეში დებს თანხას, დაინტერესებულია, რომ მიიღოს მოგება და ქვეყანას ძალიან სწრაფ ტემპში მოუტანოს მოგება. პრივატიზაცია არ ნიშნავს, რომ რაღაც გასხვისდა და ქვეყანამ დაკარგა. ნუ გვეშინია სიტყვა "ინვესტორის". ინვესტორის მოზიდვა არის საშუალება იმისა, რომ განვითარება მოხდეს მაქსიმალურად სწრაფი ტემპით. რა თქმა უნდა, ფოთის პორტს შეუძლია საკუთარი რესურსებით განვითარდეს, მაგრამ ეფექტს ჩვენ მივიღებთ 15 და 20 წლის შემდეგ, როცა სულ სხვა პრობლემები წამოეწევა ნავსადგურს, როგორიც არის, მაგალითად, დღეს არსებული დამცავი წყალგამყოფი მოლის პრობლემა. ინვესტორის მოზიდვის შემთხვევაში, ეფექტის მიღება შესაძლებელი გახდება თვეების და არა წლების განმავლობაში. ამაშია განსხვავება.

თუმცა, დღეს ერთის თქმა ცალსახად შემიძლია -სახელმწიფო ფოთის ნავსადგურზე კონტროლს არ დაკარგავს.

**- ეკონომიკის მინისტრმა, პორტის შესაძლო პრივატიზაციაზე საუბრისას, გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ფოთის პორტის დიდი ნაწილი დღეს უკვე კერძო სუბიექტების ხელშია და სახელმწიფო უკვე არ არის თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაშინ პირველად გახმაურდა, რომ ნავმისადგომების დიდი ნაწილი უკვე გაცემულია გრძელვადიანი იჯარით.**

- დღეს ფოთის ნავსადგურის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მერვე და, ნაწილობრივ, მეცხრე ნავმისადგომი გაცემულია ათწლიანი იჯარით. ეს მეიჯარეები არიან კომპანიები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ასრულებენ. თუმცა, პირველი სექტემბრიდან ყველა ამ კომპანიისთვის დადგა ხელშეკრულების მეორე წელი. ხელშეკრულებაში კი ჩადებულია, რომ მეორე, მეხუთე წელს შეიძლება პირობების გადახედვა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ნავსადგურმა, საკუთარი და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გადახედოს ამ ხელშეკრულებებს. მას შემდეგ, რაც დასრულდება ანალიზი, იგი გვაჩვენებს, არის თუ არა რესურსი, რომ მეიჯარეებმა ქვეყნის ბიუჯეტში უფრო მეტი თანხა გადაიხადონ, ვიდრე დღეს იხდიან. ვიმეორებ, დღეს ისინი პირობებს ასრულებენ. კონკრეტული ანალიზის შემდეგ ჩვენთვის ცნობილი გახდება, თუ რა მიზეზებიდან გამომდინარე ასრულებენ - გეგმები იყო პატარა თუ ძალიან კარგად მუშაობდნენ. თუ მეორეა - ხომ კარგი, თუ არა და - როგორც უკვე ვთქვი, გადაიხედება გეგმები.

**- რაც შეეხება გამჭვირვალობას, რა შექმნის იმის წინაპირობას, რომ ფოთის პორტის მუშაობა იქნება გამჭვირვალე და მის ირგვლივ ისეთივე ლეგენდები არ შეიქმნება, როგორიც დღემდე იქმნებოდა.**

- მას შემდეგ, რაც შეიცვლება ფოთის ნავსადგურის იურიდიული სტატუსი, პორტს ეყოლება დირექტორები, დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტების შემდგომ, დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება ამ კითხვაზე პასუხს მიიღებს. აქ იქნებიან როგორც სპეციალისტები, ისე - არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მასმედიის წარმომადგენლები.

**- ჩამოთვლილი მიზნებიდან, ხარჯების ეფექტურობაზე საუბრიდან გამომდინარე, რეალურია ვივარაუდოთ, რომ პორტში კადრების სერიოზული შემცირება მოხდება?**

- დღეს ფოთის პორტში 2400 ადამიანზე მეტი მუშაობს. მე დღეს ნამდვილად არ ვაპირებ იმის თქმას, რომ პერსონალი უნდა შემცირდეს 30 პროცენტით, 40 პროცენტით... არავითარ შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც მართვის ახალი სქემა ჩამოყალიბდება, დაითვლება, რამდენი ადამიანის მუშაობა იქნება საჭირო ნავსადგურში. ერთის თქმა შემიძლია - ნავსადგურში იმუშავებს ზუსტად იმდენი ადამიანი, რამდენიც აუცილებელი იქნება მისი ეფექტურობისთვის. მე არ გამოვრიცხავ სოციალურ საკადრო ცვლილებებს, თანამშრომელთა ნაწილის დათხოვას (სადღაც 400-ზე მეტი საპენსიო ადამიანი მუშაობს ნავსადგურში), გარკვეულ სხვა ცვლილებებს... დღეს 2000-ზე მეტი განცხადებაა ნავსადგურში სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს ახალგაზრდათა გუნდი, რომელიც თავისი შესაძლებლობების რეალიზებას შეძლებენ. ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშვნა, იქნება ეს მუშის თუ ადმინისტრაციის თანამშრომლის, მოხდება გამჭვირვალედ, კონკურსის წესით. ბოლო უნდა მოეღოს ამ საკითხთან დაკავშირებით დღემდე არსებულ ყოველგვარ საუბრებს.

**- ფოთის პორტი ფოთისთვის მხოლოდ სამეწარმეო სუბიექტი არ არის - აქვს თუ არა გაცნობიერებული ეს პორტის ახალ მმართველს? აპირებთ თუ არა, სოციალური პროექტების დაფინანსების გაგრძელებას?**

- ეს ძალიან მტკივნეული საკითხია. მე მესმის, რომ როდესაც ასეთი დიდი ობიექტი არსებობს ქვეყანაში, ქალაქში, საზოგადოებას აქვს მოთხოვნა, რომ ამ ობიექტმა ბევრი ისეთი პროექტი თუ ხარჯი დააფინანსოს, რომელიც მის უშუალო ფუნქცია-მოვალეობაში არ შედის. მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას - ფოთის ნავსადგური დღეს იხდის ძალიან ბევრს, იხდის მილიონებს როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ბიუჯეტებში. სოციალური პრობლემების მოგვარება არის ქვეყნის უმნიშვნელოვანესი და უპირველესი პრობლემა. შესაბამისად, ეს არის საკითხები, რომელიც კომპლექსურად უნდა მოგვარდეს. მე არ გამოვრიცხავ, რომ თავდაპირველ ეტაპზე ასეთი სახის ხარჯების ნაწილი დარჩეს, მაგრამ - არავითარ შემთხვევაში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იყო. ყველა ეს ხარჯი იქნება დასაბუთებული და დაფინანსების პროცესი იქნება გამჭვირვალე. მაგალითად, ადამიანს გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება და ნავსადგურისგან თანხას ითხოვს. მე მესმის, რომ ეს მტკივნეული საკითხია, მაგრამ მაშინაც, ეს არ არის საკითხი, რომელზეც [illegible] ნავსადგურის უშუალო ფუნქცია არის, რომ ხარჯოს, რაც შეიძლება მაღალ ფასად, მიიღოს მაქსიმალური მოგება, მოუტანოს ქვეყანას მოგება, გადაიხადოს გადასახადი; შესაბამისად, ქვეყანამ შეასრულოს თავისი ფუნქციები. რეორგანიზაციის პერიოდში ასეთი სახის დაფინანსებები სრულად იქნება შეწყვეტილი მანამ, სანამ რეალური სურათის შესწავლა არ დასრულდება, განვითარების ახალი მოდელი არ დაიდება და ამ მოდელში ის თანხები არ იქნება გათვალისწინებული, რის დაფინანსებასაც ამა თუ იმ ეტაპზე ნავსადგური მიზანშეწონილად ჩათვლის.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ სოციალური პროექტების ნაწილის დაფინანსებაზე უარის თქმას მოჰყვება გამოსვლები ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა უკმაყოფილება, რომელთაც მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება იმ პრობლემებზე, რასაც დღემდე პორტი აგვარებდა?**

- არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული უკმაყოფილება იქნება. მე არ ვარ ციდან ჩამოვარდნილი, დავიბადე და გავიზარდე საქართველოში, ჩვეულებრივ ოჯახში და მე ვიცი, რას ნიშნავს სოციალური გაჭირვება. რას ნიშნავს, როცა დახმარება გჭირდება, ამ დროს ნავსადგურს აქვს საშუალება და არ გეხმარება. მაგრამ, უნდა გავიგოთ, რომ საუბარია "ვერ" დახმარებაზე... საუბარია იმაზე, რომ ეს არის სახელმწიფოს ფული, ეს არის სახელმწიფოს ქონება, რომელსაც განაგებს შესაბამისი ორგანოები. დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული შეთანხმება იქნება მიღწეული - როდესაც ფოთის ნავსადგური გაცილებით სწრაფი ტემპით განვითარდება, ვიდრე ეს ხდებოდა ბოლო 12 წლის განმავლობაში; როდესაც მისი შემოსავლები გაიზრდება, როდესაც მისი ინფრასტრუქტურა იქნება უფრო მეტად მოქნილი, ეს პირდაპირპროპორციულად აისახება დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ქალაქის და ქვეყნის შესაბამისი ორგანოები ამ დამატებით საბიუჯეტო შემოსავლებს მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენებენ სწორედ სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

**- ორი დღის წინ ხელი მოეწერა ფოთის პორტის მიერ ჰოლანდიური კრედიტის მიღების შესახებ ხელშეკრულებას. რაზე დაიხარჯება ეს კრედიტი?**

- 31 აგვისტოს ჰოლანდიისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, სადაც ნავსადგურმა მიიღო 9 მილიონ 945 ათასი ევრო სესხის სახით და 5 მილიონ 355 ათასი ევრო გრანტის სახით, იმისათვის, რომ ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ფაზა, რომელიც მიზნად ისახავს ფოთის ნავსადგურის წყალგამყოფის დამცავი მოლის აღდგენას. დღეს ის დაახლოებით 130 წელზე მეტი ხნისაა და ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. არადა, ეს არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რათა ნავსადგურმა იფუნქციონიროს. დღეს ეს მოლი უკვე დაზიანებულია და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ გასკდეს, ჩათვალეთ, ნავსადგური გაჩერდება, თუ უფრო მძიმე შედეგებიც არ მივიღეთ. ეს კრედიტი ჰოლანდიის მთავრობის მხრიდან, ფაქტობრივად, ხელმოწერილია. დარჩენილია პროცედურული საკითხები, პარლამენტში მისი რატიფიკაცია და შემდგომ უკვე დეტალური პროექტის შექმნა, რაც საშუალებას მოგვცემს, დაახლოებით ნოემბრის ბოლოს - დეკემბრის დასაწყისში, ჰოლანდიელმა კომპანია "ბოსკალისმა", რომელიც ჰოლანდიის მთავრობის მიერ შერჩეული ორგანიზაციაა, [illegible] მოლის აღდგენა დაიწყოს.



*შეიძლება, სულ მთლად პროფესიონალ ნავსადგურელად არ ვითვლებოდე, მაგრამ ესეც ძალიან მალე იქნება.*

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 მოგონება B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# ლინბზარალ შვანისგა

## ანუ მოგზაურობა სვანეთში

სალომე კიკალეიშვილი

### პროლოგი

დილის რვა საათია. ყველანი ადგილზე ვართ. ალბათ მალე დავიძრებით. სვანეთში მივდივართ, გადაღებებზე. ამ პროექტის შესახებ დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა რომ ამ ექსპედიციაში ჩემთვისაც გამოინახებოდა ადგილი.

ბევრნი ვართ, ასე ოცდახუთი კაცი; გადამღები ჯგუფი და მონაწილეები. ეს კი ახალგაზრდა გერმანელი რეჟისორი რუთ ოლშენია, თავისი პატარა გადამღები ჯგუფით: ოპერატორი მარკუს უინტერბაუერი და ხმის ოპერატორი პაულ ობერლი; დოკუმენტურ ფილმს იღებენ ქართულ სიმღერაზე, ფოლკლორზე. ქართული მხრიდან დახმარებას ჟანა სარდლიშვილის "სტუდია 99" უწევს (სწორედ ამ სტუდიაში, ერთობლივი პროდიუსირებითაა შექმნილი ჟული ბერტუჩელის "რაც ოთარი წავიდა", ინეკე სმიტის დოკუმენტური ფილმი "პუტინის დედა", ტატიანა ბრანდრუპის "კავკასიური მონაგები", დათო ჯანელიძის "მეიდანი-სამყაროს ჭიპი"). ჟანა ყოველთვის საოცრად მობილიზებული და მოწესრიგებულია, ალბათ ამიტომაც უყვართ უცხოელებს მის სტუდიასთან თანამშრომლობა. ყოველთვის ყველაფერი იცის წინასწარ. მაგალითად, რომ კითხო - მთელი გადაღებების მანძილზე რა დროს როგორი ამინდი იქნებაო, მაგაზეც ზუსტ პასუხს გაგცემთ; ყველაფერი იცის, რაც მის საქმეს ეხება. ვიცი, რომ ექსპედიციის დაგეგმაში და მოწყობაში სახელმწიფო უნივერსიტეტის, კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის დოცენტი ზვიად კვიციანი გვეხმარება (მგონი მის სახლში უნდა ვიცხოვროთ). გადაღებები სვანეთში იწყება, მერე თბილისი, რუსთავი, დავით გარეჯი. ფილმში მონაწილეობას იღებენ: ზუმბა (ზაზა კორინთელი), "ლაშარი", "შინ", "პატარა გეორგიკა"... სვანეთში ზუმბა და "ლაშარი" მოდიან. იქ უნდა გადაიღონ სვანი ხალხი, უძველესი ანსამბლები, 80-90 წლის მოხუცები, რომლებიც ჯერ კიდევ ომახიანად მღერიან "ზარს", "ლილეოს"... მათთან ერთად კი მომღერლების ეს ახალგაზრდა თაობა. გადაღებები 24-25 სექტემბრამდე გაგრძელდება, მერე დაიწყება მონტაჟის გრძელი პერიოდი, და ასე შეიქმნება ახალი დოკუმენტური ფილმი ქართულ ფოლკლორზე, გერმანული ტელეარხისთვის, გერმანელი რეჟისორის მიერ. პარადოქსია, ჩვენ უგემოვნო, ცუდი უცხოური ფილმების კოპირებას ვახდენთ თავისი უშინაარსო სიუჟეტებით. გერმანელი კი აქ ჩამოდის, რომ საქართველოსა და ქართულ სიმღერაზე ფილმი გადაიღოს.

წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. აბა არ გინდა 10 საათი მანქანაში ჯდომა? თან გერმანელებთან მოვხვდი. არადა სამად სამი სიტყვა ვიცი გერმანულად: გამარჯობა, როგორ ხარ და არა. მთელი კვირა გერმანიაში danke schon-ის (დიდი მადლობა) მაგივრად დანკე შულცი ვიძახე (საიდან მოვიტანე?) და ვერ ვხვდებოდი რატომ მიყურებდნენ ბუს თვალებით გაოცებული მიუნჰენელები. ამიტომაც ჩუმად ვარ. რითი გავერთო? წიგნის კითხვას ვიწყებ, მაგრამ რად გინდა? თითო სტრიქონს ცხრაჯერ მაინც ვკითხულობ, რომ რამე გავიგო. თითქოს აქეთ-იქით იფანტება ასოები. მესიჯებს ვგზავნი - "ჯერ ზესტაფონში ვარ, ზემო სვანეთში სოფელი ყოფილა - ბეჩო, ჰოდა იქ მივდივარ. მგონი ერთი ამდენი კიდევ დაგვრჩა." ან უფრო კარგი, ქალაქში ან თუნდაც რაიონულ ცენტრში შესვლისას, ყველაფერს თავს ვანებებ და თვალიერებას ვიწყებ: ხალხის, ქუჩების, სახლების... ამ მხარეში ხომ არც ისე ხშირად მიწევს მოგზაურობა მანქანით. რა იცი, რამდენი სახალისო შეიძლება აღმოაჩინო კაცმა?! აი მაგალითად, ქუთაისში, ეხლაც თვალწინ მიდგას ერთი ჭკვიანი ქართველი კაცის მომგებიანი ბიზნესი, ორი შემოსავლის წყარო ერთად რომ გაუხსნია, ტყუპებივით, გვერდი-გვერდ, ერთი დიზაინით, უბრალოდ ორი შესასვლელი კარით (კიდევ კარგი ეს მაინც მოიფიქრა). ყურადღება მაშინვე მიიპყრო ლამის ერთი სართულის სიმაღლეზე, მასიური შავი მეტლახით მოპირკეთებულმა ადგილმა. ერთ კარს ეწერა - სილამაზის სალონი, მეორეს - დამკრძალავი ბიურო... დაახლოებით enter - exit-ის ვარიანტია, ოღონდ ქუთაისური.

არ იცით რა შვებაა ამხელა გზაზე, გასამართ სადგურზე მანქანის ყოველი გაჩერება. გადმოვდივართ, დაჭმუჭნულები, გათანგული სახეებით, სამი სამარშრუტო ტაქსიდან. დიალოგი თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე - "ბევრი დაგვრჩა?", "აუ, აღარ შემიძლია", "რა, სვანეთში არ ყოფილხარ? იცი რა სილამაზეა?!"... როგორც იქნა ზუგდიდში ჩავაღწიეთ. იქ დაგვხვდნენ -"გაგვაცილებენ. ისე ყოველი შემთხვევისთვის". ზუგდიდიდან სულ რაღაც 120 კილომეტრშია ჩვენი სოფელი. მაგრამ სვანეთის გზებზე ამ მანძილს 3-3,5 საათი მაინც უნდა. მივდივართ. გზა კი თითქოს ჯიბრზე აღარ თავდება; მიხვეულ-მოხვეული, დაკლაკნით მიიწევს ზემოთ. ალაგ-ალაგ მეწყერი ჩამოწოლილა. ჯერ არ ასულხარ, და უკვე იმაზე ფიქრობ, რომ ერთ კვირაში უკან უნდა გამოიარო. გზაში მახსენდება მიხეილ კალატოზიშვილის "ჯიმ შვანთე"; ლამაზი ხედებით, უზარმაზარი მთებით, სვანი ხალხის საოცარი პორტრეტებით, გაჭირვებით, ჩამოწოლილი ზვავით...

საღამოს ცხრის ნახევრისთვის ჩავედით ბეჩოში. ბეჩო ლამაზია. უშბის ძირში ერთმანეთზე მიყოლებით ბეჩო, მაზრა, შიხრა. შიხრაში სამკურნალო, გაზიანი წყალი ამოდის მიწიდან. ჩვენი სახლის ფანჯრებიდან უზარმაზარი, ტყით დაფარული კლდეები მოჩანს. წინ კი უშველებელი, დათოვლილი უშბა. ნუთუ ამ სილამაზის სანახავად გერმანელი იყო საჭირო?

გადაღებები ლატალში დაიწყო. ერთი პატარა სოფელია, მაღალი სვანური კოშკებით. კოშკები თითქმის ყველგანაა. სულ 200-მდე შემონახულა. 20-25 მეტრის სიგრძის, 4-5 სართულიანი. საცხოვრებელი, უფრო ხშირად კი თავდასაცავი ადგილი. ძირითადად მე-12 საუკუნის. საოცარი სიმტკიცით აგებული, არაერთხელ დახმარებია მტრის მოგერიებაში სვან ხალხს. ზოგი ამაყად აშვერილი, ზოგი კი ხავსმოკიდებული, ნახევრად ჩამონგრეული. კავკასიონის ქედით ალყაშემორტყმულს, შუაში მოუქცევია

ძველი, მომცრო სახლები, ღობეებთან ჩამომჯდარი მოხუცებით. იქვე კი პატარა სალოცავი, რომლის მწვანე ბალახით აბიბინებულ ეზოში აქა-იქ ამოუყვიათ თავი საფლავის ქვებს. საიდანღაც ისევ ისმის ენგურის ხმა. თითქოს არ არსებობს ზღვარი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. აქ ცხოვრებას საკუთარი წესები აქვს. არ ემორჩილება დროს.

- "ბეჩოში, თითქმის სულ კვიციანები ვართ" - სიამაყით მეუბნება ჩვენი მასპინძელი ბიძინა კვიციანი. ბეჩოს სკოლის დირექტორი. ამაყი ხალხია, მიუხედავად იმისა, რომ უჭირთ, არასდროს წუწუნებენ. თითქმის ყველა სულ კომუნიზმზე გელაპარაკება. იმიტომ რომ, სწორედ ამ დროს აყვავდა სვანეთი, გაიყვანეს გზები, ააშენეს სამკერვალოები, სამჭედლოები, ბიბლიოთეკა, სკოლები, ფაბრიკები... ხალხისთვის სამუშაო ადგილები გაჩნდა. შიხრაში აშენდა ბავშთა და მოზარდთა გამაჯანსაღებელი ბანაკი, ტურბაზა. 1983 წელს უშბიდან წამოსულმა მეწყერმა მთლიანად ალგავა მიწიდან დასასვენებელი კორპუსები. მაშინ ხალხი სასწაულებრივად გადარჩა. ეხლა კი შხარას მდელოებს ამშვენებს ფანტელებივით მიმოყრილი მეწყერის და შენობების ნანგრევები, რომელიც დღეში 30-40 ტურისტს მაინც მასპინძლობდა. ნელ-ნელა ყველაფერი შეიცვალა. 90-იან წლებში, როცა ყველაფერი აირია, სვანეთს ძალიან გაუჭირდა. არანაირი სამუშაო, ფული. გზამ, რომელიც თანდათან უფრო ფუჭდებოდა, მთლიანად მოწყვიტა სვანეთი სამყაროს - "მაშინ აირია ყველაფერი. აღარავინ ამოდიოდა. ფული არ იყო. ტურისტი კი არა ჩვენ თვითონ გვეშინოდა. სახლში როდის ვინ შემოგივარდებოდა, არ იცოდი. ოთხჯერ მაინც ვარ დაყაჩარებული. ერთადერთი რაც აქ მოდის ლობიო, კარტოფილი და სიმინდია. წარმოიდგინე მთელი წელი რომ ელოდები მოსავლის აკრეფას, გაყიდი, გადაცვლი სხვა პროდუქტში, და ამ დროს გზაში გაყაჩაღებენ, გძარცვავენ. დაბრუნდი მერე ასე, ლუკმა-პურის გარეშე. თან შენიანი, როცა გიკეთებს. ხალხს ისე გაუჭირდა, რომ ვედრო ფქვილის სესხებაზე გადავიდა - სიმწრით მიყვება ნანა, ჩვენი დიასახლისი - აქ ტრანსპორტიც არ არის. ზუგდიდამდე ჩასვლას კი 13 ლარი უნდა. ვის აქვს მაგის ფული? ეს "ნივა" ჰყავდა ჩემს ძმას, სასწრაფო დახმარებასავით იყო. აბა, ვის რა დაჭირდებოდა. რომ გაგიჭირდეს, მესტიამდე ჩასვლა არ გინდა? ჰოდა, ისე დაამტვრია, რომ დგას ეხლა ავტოფარეხში. აღარაფერი ეშველება. რამოდენიმე ხნის წინ, აგერ ზემოთ ქალი გადაყვა მშობიარობას, ბავშვიც დაიღუპა, მესტიაში რითი წასულიყვნენ? თუ გააჩინე სახლში და მერე ჩახვედი, ხელს არ მოგკიდებენ - აქამდე სად იყავიო?! ბევრი მიდის აქედან. უმეტესობა წალკაში, რა ნახეს იქ?



რეჟისორი რუთ ოლშენი ოპერატორ მარკუს უინტერბაუერთან ერთად გადაღებებზე შიხრაში.



1983 წელს აქედან წამოსულმა მეწყერმა მთლიანად გაანადგურა დასასვენებელი კომპლექსი.

ერთადერთი რაც ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ შეიცვალა, ის არის რომ ცოტა ამოვისუნთქეთ. შედარებით უსაფრთხოდ გახდა აქ ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, აღარავინ გვივარდება სახლში". მე გვერდზე ვუზივარ, შეშის ღუმელთან. ნანა ცომს ზელს. დღეს კუბდარი გვეცენება.

ელვის სისწრაფით შემოვირბინეთ მესტიაში სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 1936 წელს დაარსებული, დღეს უკვე ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი. ოჯახებიდან გამოტანილი, უნიკალური ჭედური ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერი წიგნები, გვიანდელი ანტიკური ხანის ოქროს მონეტები, მეხუთე საუკუნის ბრინჯაოს სირიული საცეცხლურები, ევროპაში ერთ-ერთი უძველესი, ოქროს ძაფებით შექმნილი ნაქარგი ხატი, უნიკალური ფრესკები... ელვის სისწრაფით, იმიტომ რომ გადაღებაზე გვაგვიანდება. მესტიაში, შუა საუკუნეებში აშენებულ მარგიანების სახლში მივდივართ, სადაც ლენჯერიდან ფილფანების ოჯახი ჩამოდის. ისევე, როგორც ბევრ ტრადიციულ სვანურ ოჯახში, ამ ოჯახშიც მღერიან. მღერის ყველა: დეიდები, ბიცოლები, მამიდები, ბაბუები, შვილიშვილები. ჩვენთან ერთად ზაზა კორინთელი და "ლაშარის" ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი არიან, პატარა ჩამწერი აპარატურით. თავისთვის იწერენ სიმღერებს, ტექსტსაც ათარგმნინებენ. ფილფანებმა ჭუნირზე შეასრულეს "ირინოლა", "მირანგულა", "ლილეო" - საგალობელი, რომელსაც 6 ათასი წლის წინ უმღერდნენ მზეს. თითოეული სიმღერის ტექსტი, ცალკე ისტორიაა, ლეგენდა ამა თუ იმ გვარზე, ოჯახზე.

ძველი სვანური სახლი კი, ძირითადად ერთ სართულიანია. სახლში განლაგებულია ცხოველთა სადგომი: ძროხები, ხარები, ცხვრები, ფრინველი. სადგომის თავზე ფიცრული დასაწოლია ადამიანებისათვის, სადაც 20-30, ზოგჯერ 40 სული ცხოვრობდა ერთად, -"აბა ადრე, ყველა ერთად ცხოვრობდა, არავინ გადიოდა ცალკე. იყვნენ 10-15 ძმა, ყველა თავისი ცოლ-შვილით". ჭერში მომცრო ზომის ღრმულები მოჩანს, სხვენიდან თივის ჩამოსაყრელად.

- "შუაში კერია (კოცონი) ენთო, მის გარშემო კი გრძელი, მაღალი სკამი მამაკაცებისთვის და უფრო მოკლე ქალებისთვის იყო განკუთვნილი. შუაში, მახეშის საკარცხული (სავარძელი), სადაც ოჯახის უფროსი, ბრძენი იჯდა" - გვიყვება მასპინძელი.

გადაღებები ჩვეულებრივად მიდის. ყოველ დღე მანქანით სადღაც მივდივართ. დამღლელია დანგრეულ გზაზე ჯანჯღარი. ერთადერთი რაზეც გული გვწყდება -უშგულია, რომელიც ვერ ვნახეთ - "გზა ძალიან გაფუჭებულა, მაგ მანქანებით ვერ ახვალთო" - გვითხრეს. იქ იღებს სათავეს ენგური, მოედინება მთელ სვანეთს და ჩადის ქვემოთ, სამეგრელოში. უცნაურია ენგური; ხან გაშინებს, მჩქეფარე, ცოცხალი, შმაგი, ამღვრეული, სულ მთლად ნაცრისფერი. მოდის და მოაქვს თითქოს ყველაფერი... ხან კი წყნარია, ზურმუხტისფერი, გარინდული, მორჩილი... უშგულიდან მოჩანს თეთნულდი, შხარა... სილამაზე, რომელსაც უამრავი მთასვლელი შეუწირია. აქ მათი სახელები ყველას ახსოვს: ჯაფარიძე, თიკანაძე... დღესაც იკრიბებიან გურამ თიკანაძის, ულამაზესი ფოტოხელოვანის და მთასვლელის გარდაცვალების დღეს უშგულში მთასვლელები. იხსენებენ, შესანდობარს სვამენ...

**"გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,-**
**რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:**
**საკუთარ ხელით პალო დაუგია,**
**საკუთარ პალოზე მომწყდარა...**
**ვოი! შხარა სისხლით შეღებილა-**
**კოხტა თიკანაძე მომკვდარა..."**

დაწერა მურმან ლებანიძემ. სწორედ ჩვენი წამოსვლის დღეებში ამბობდნენ, ვილაც მარტო ადის უშბაზეო! ღმერთმა მშვიდობით ჩამოიყვანოს. ბინოკლით ვიყურებით. მე ვერაფერს ვხედავ.

"ძველად აქ მონადირე ყოფილა მურათბი კიბოლიანი, ჰოდა სვანური ჯაბრით (ფეხსაცმელზე ჩასაცმელი, ტყავის ქალამნები) მარტო ასულა უშბაზე, თან კანაფი წაუღია - იქ ცეცხლს დავანთებ, ბოლს დაინახავენ დამიჯერებენო. რომ ჩამოვიდა, ბევრმა არ დაუჯერა. არა, მე ვიცი, ნამდვილად იყო ასული" - მიყვება ნოდარი, ჩვენი მძღოლი.

### ნოდარი

ნოდარი - ეს ცალკე სამყაროა, თავისი ხუთი შვილით, მღერ-მოლენილი თეთრი სამარშრუტო ტაქსით და საკუთარი თეორიებით. - "ნოდარ გზას უყურე!", "ნოდარ რულო!", "გვესმის კაცო ნუ ყვირიხარ", "წინ იყურე, რას შვრები!" თუ ნოდარის მანქანაში მოხვდებოდით, ასე თვითონაც აყვირდებოდით. ექსპრესიულად, ორივე ხელით ხმამაღლა იწყებდა სვან ხალხზე საგმირო ისტორიების მოყოლას. ოღონდ ზუსტად მაშინ, როცა საჭესთან იჯდა. თან ერთი ჩვევაც ჰქონდა (უცნაური ჩვევები ნამდვილად არ აკლდა), მოყოლისას (სულ ჰყვებოდა) შემობრუნდებოდა და შიშისგან თვალებგაფართოებულ თითოეულ მგზავრს, შიგ თვალებში ჩახედავდა, ალბათ ფიქრობდა - ასე უკეთესად გავაგებინებო. აქეთ სვანეთის ვიწრო, ციცაბო გზები, იქით ენგურის ღრიალი, ფანჯრიდან უსაშველოდ შორს, სადღაც ქვემოთ რომ მოჩანს და ამ ყველაფრის შემდეგ შენსკენ შემობრუნებული ნოდარი...

მაზერში დაიბადა. სწავლობდა სულხან საბას სახელობის (მაშინ პუშკინის სახელობის ინსტიტუტში) უნივერსიტეტში, გეოგრაფიისა და ტურიზმის ფაკულტეტზე. მერე მუშაობდა შიხრაში, ბავშთა ბანაკის უფროსად. მეწყერის შემდეგ სოხუმში აღმოჩნდა, ახალი ოჯახით, ახალ ბინაში. ამ დროს კი ომი დაიწყო - "ახლა ვარკეთილში ვცხოვრობთ. ბავშვებიც იქვე, სკოლაში სწავლობენ. ისეთი გოგო მყავს, ისეთი მონაცემებით, სულ გიჟდებიან ცეკვის მასწავლებლები. რითი ვცხოვრობ და, ეს მანქანა ვიყიდე, მე თვითონ ჩამოვიყვანე გერმანიიდან. 12 ხაზი მაინც გამოვიცვალე. არა, არ შემიძლია. სულ მაგიჟებდნენ ეს მგზავრები. რომ მომკლა, მაგ სამუშაოზე მაინც არ დავბრუნდები" - ჩუმად მიყვება თავის მანქანაში. მთელი ჯგუფი გადასულია. ხმას იწერენ.

### "სამყაროთა შორის" ანუ საუბარი რუთიკოსთან

ასე ერქმევა დოკუმენტურ ფილმს, რომლის წყალობითაც აღმოვჩნდი სვანეთში. ქართული სიმღერის, ფოლკლორის სამყაროში.

"პირველად საქართველოში ორი წლის წინ მოვხვდი, გერმანული ფილმების ფესტივალზე. მაშინ ვნახე დავით გარეჯი და იმის მერე ჩავიძირე ამ ქვეყანაში" - დამტვრეული რუსულით მიყვება რუთი. რუთიკო, როგორც ქართულ ჯგუფში დაარქვეს. რუთ ოლშენი დედით ებრაელია, მამა - უკრაინელი ჟურნალისტი იყო, საბჭოთა კავშირიდან. როგორც თვითონ ამბობს, რეჟისორობა ის არის, რაშიც შეიძლება მთელი გული და სული ჩადო. მთლიანად დაიხარჯო. გადაღებული აქვს 12 მოკლემეტრაჟიანი ფილმი: გერმანიაში, იტალიაში, კუბაში, ინდოეთში. ასწავლის იტალიის, გერმანიის კინოსკოლებში. მუშაობს სადოქტორო თემაზე.

- "ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ საშუალება მქონდა, სწავლის დამთავრებისთანავე დამეწყო მუშაობა. ამ საქმეში წარმატებისთვის ხომ სამი რამ არის საჭირო: ნიჭი, დაუღალავი შრომა და იღბალი. ჯერჯერობით ეს ყველაფერი მაქვს. ერთ-ერთი ჩემი პირველი ფილმი არის იმაზე, თუ როგორ ოცნებობენ ბრმები, დავრდომილთა სახლზე. ეხლა კი დიდი ხნის ოცნება ავისრულე და საქართველოში ვიწყებ ფილმის გადაღებას.

დედაჩემი მომღერალია, საბჭოთა კავშირიდან. ყოველთვის ძალიან უყვარდა ქართული სიმღერა, ხშირად მასმენინებდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ცუდ ხასიათზე ვიყავი - მუსიკა დაგეხმარებაო - ჩამირთავდა აქედან წაღებულ ფირფიტებს. ჰამლეტ გონაშვილი იყო, ეს მერე გავიგე. მამაჩემსაც ბევრი მეგობარი ჰყავდა საქართველოდან. ყოველთვის მიყვარდა და ვლაპარაკობდი ქართულ მუსიკაზე, ისე რომ, არც ვიცოდი სად იყო ეს მხარე. ასე რომ, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოდის. დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვსწავლობდი, მინდოდა გადამეღო ფილმი საქართველოზე. როცა ამ იდეით ერთ-ერთ ცნობილი ტელეარხის arte-ს ხელმძღვანელს შევხვდი, უარით გამომისტუმრა - ჯერ რამე გადაიღე და ამაზე მერე ვილაპარაკოთო. მას მერე დიდი დრო გავიდა. ეხლა კი, აქ ვარ და სწორედ იმ ტელეარხისთვის ვიღებ ფილმს. ხომ ხედავთ, იღბალს დიდი მნიშვნელობა აქვს.

რამოდენიმე მუსიკათმცოდნე დამიკავშირდა და მისაყვედურეს - ჩვენ რატომ არ დაგვიკავშირდიო. ჩემი მიზანი ეს არ არის. მე არ მინდა სამეცნიერო ფილმი. მინდა ყველაფერი ვაჩვენო ისე, როგორც ამას ცხოვრებაში ვხედავ. დამონტაჟებისას, ხმის დადების დროს რაიმე უხეში შეცდომა რომ არ დავუშვა, აუცილებლად ვკითხავ რჩევებს. მაგრამ არა ეხლა. ქართული მუსიკა ჩემთვის არის რაღაც ამოუცნობი და მისტიკური - ძალიან ძველია და ამავე დროს, ასეთი ცოცხალი. ჩვენ, გერმანელებმა დავკარგეთ ეს ტრადიცია, კულტურა ძველი, გუნდური სიმღერისა. ძალიან მიყვარს საქართველო, ქართული მუსიკა, ცეკვა. შეიძლება წინა ცხოვრებაში ქართველიც ვიყავი.

**- როგორი იყო მოსამზადებელი პერიოდი, ფილმში მონაწილე ხალხის შერჩევა, ექსპედიციის დაგეგმვა?**

- დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თინა გურჩიანს, რომელმაც მოიძია მთელი ინფორმაცია, ანსამბლები. ჟანას, რომლის დამსახურებაცაა, რომ ფილმზე მუშაობა დაიწყო. უამრავი კარგი ანსამბლი იყო და ძალიან გამიჭირდა მათ შორის არჩევა. რაც შეეხება სვანეთს, ვისაც კი ვეკითხებოდი ყველა ამ მხარეს მირჩევდა. მიუხედავად იმისა, რომ გააზრებული მქონდა - აქ ექსპედიციის მოწყობა გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა, სცენარის წერისას უკვე ვიცოდი, რომ აქ ჩამოვიდოდი. ფილმი ორ ვერსიად უნდა დამონტაჟდეს; სატელევიზიო - arte-სთვის, და კინოვერსია. თუმცა მცირე პრობლემებსაც წავაწყდით. მოსამზადებელ პერიოდში მივხვდით, რომ აქ სულ სხვა აპარატურა დაგვჭირდებოდა, გაცილებით მაღალი ხარისხის. ვიღებთ კამერით, და ხმის ჩამწერი აპარატურით, რომელიც დღეს საუკეთესოა ევროპაში; ფილმზე ამ საქმის კარგი სპეციალისტები მუშაობენ. ყოველივე ამაზე უფრო მეტი თანხა დაიხარჯა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. ფილმში მონაწილე არც ერთ ჯგუფს არ ვუხდით ფულს. ვფიქრობ გარკვეული, მცირედი თანხის მოძიება დაგვჭირდება საქართველოში და თუ ვინმე დაგვასპონსორებს, დიდი მადლობლები ვიქნებით. ჩვენი მხრიდან აუცილებლად მოვიხსენებთ ფილმში. მე მაქვს უდიდესი პასუხისმგებლობა თითოეული ადამიანის, ქართული კულტურის, იმ თანხის მიმართ, რომელიც გერმანიამ მომცა. არ ვიცი რა გამოვა, როგორი იქნება ფილმი. ვილაცას მოეწონება, ვილაცას ნაკლებად. ჩემთვის მაინც მთავარია, რომ ფილმი გაკეთდეს. პრემიერა საქართველოში შედგება და აპრილისთვისაა დაგეგმილი. ვისთან ერთად და როგორ მოვაწყობთ, ამას ჯერ ვერ გეტყვით.

**- ვიცი, რომ ამით არ ამოიწურება თქვენი სამომავლო გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით?**

- უამრავი გეგმა მაქვს. ახლა მხატვრული ფილმის სცენარს ვწერ, ჰაიკე ფინკთან ერთად. როგორც კი ამაზე ვფიქრობ, უკვე კარგ ხასიათზე ვდგები. "ემას ხაჭაპური" - ასე ერქმევა ამ კომედიას. თუ როგორ მიდიან ქართველი კაცები გერმანიაში მანქანის საყიდლად, რა ამბავში ეხვევიან და როგორ იცვლება ერთი გერმანელი ქალის, ემას ცხოვრება, რომელიც ბოლოს ხაჭაპურების ცხობას იწყებს. სცენარზე მუშაობა ლევან წულაძეს შევთავაზეთ, იმედია დაგვთანხმდება. მასზე უკეთესად ვინ შექმნის ქართულ ხასიათის, ნიუანსების, ჩვევების კოლორიტულ სახეს. ვაპირებ ქართულ ცეკვაზე ფილმის გადაღებას და ამაზე უკვე მოველაპარაკე ერთ-ერთ ანსამბლს. იგეგმება დიდი პროექტი იუმორზე; სადაც სხვადასხვა ქვეყანა იქნება, მათ შორის რა თქმა უნდა, საქართველო.

ერთადერთი რაზეც გული მწყდება ის არის, რომ ძალიან ცოტა დრო გვაქვს და ამიტომ ყველაფერს სწრაფი ტემპით ვაკეთებთ. ამ ულამაზესი კუთხიდან კი ბუნების საოცარი ძალა და სილამაზე გამყვება, ამ ხალხის მოსიყვარულე, თბილი თვალები, ჩვენი შეკრული ჯგუფი - ეს ყველაზე მთავარია".

საუბარს ამაზე ვამთავრებთ. გადაღებაზე გავდივართ. საღამოობით, გადაღებული მასალის ყურებით ვირთობთ თავს და უგემრიელესი სვანური მარილით შეკაზმულ საჭმელს მივირთმევთ. მერე ცეკვები იწყება, უფრო სწორედ ჩვენი რუთიკოს ცეკვები, რომელმაც ქართული ცეკვის სწავლა გადაწყვიტა და ღამე, უშბის ფონზე სწავლობს ეზოში აჭარულის, სვანურის ილეთებს - "რა სწრაფად ვსწავლობ. ალბათ წინა ცხოვრებაში ქართველი ვიყავი" - უკვე ცოტა ქართულსაც ართმევს თავს. მერე "ლაშარის" ბიჭების და ზუმბას შესრულებით ქართული სიმღერები იწყება. ჩვენ გარშემო უამრავი ბეჩოელი ბავშვია. სახლში ხმაჩაწეული ტელევიზორი, ეკრანზე -ოლიმპიადა, რა იცი იქნებ კიდევ მოვიგოთ რამე?!

### ეპილოგი

ლამაზი გამოსამშვიდობებელი საღამო მოგვიწყვეს შიხრაში. დათოვლილი უშბის ძირში, შორი-შორს დანთებული კოცონები, უამრავი ახალგაზრდა: ბეჩოდან, მაზერიდან... ბალახზე გაშლილი სუფრა. მთებს შორის მოქცეული წყვდიადი და დიდ ღრუბლებს ამოფარებული მთვარე, რომლის ალაგ-ალაგ გაბრწყინებული შუქი, სხვადასხვაფრად ანათებდა პირქუშ, გამეხებულ მთებს. დავლიეთ, ვიმღერეთ. დაღლილები მალევე დავიშალეთ, ხვალ ხომ უკანა გზაზე ვართ წამოსასვლელები, არ გინდა კიდევ 10 საათი ჯანჯღარი?! ყველანი ნოდარის მანქანაში ჩავსხედით. მე ზემოთ ვიყურები, უშგულისკენ.

# გამხდარი, თეთრი, სულელი






ანა კორძაია-სამადაშვილი

ჟიზელ ბუნდხენი, ტოპ-მოდელი, დასავლეთის სამყაროსთვის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალი, რომელსაც თავისი სახელგანთქმული კოლეგების ფონზეც კი ძალიან გრძელი და მოხდენილი ფეხები აქვს, რომლის პოდიუმზე ერთი გასეირნებაც იმდენი ღირს, რომ მკითხველისთვის ნერვების მოშლას მოვერიდები და არ დავწერ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ის ამ თანხად ნამდვილად ღირს, მართლაც საოცარი არსებაა - აი, სწორედ ეს ჟიზელ ბუნდხენი, 24 წლის ქალი-ოცნება, ბრაზილიაში, ამაზონის ნაპირას მცხოვრებმა ხალხმა მახინჯად ჩათვალა.

ბრიტანული "სანი" წერს, რომ ბუნდხენმა იქ, ჯუნგლებში, ერთი კვირა გაატარა და, შესაბამისად, ადგილობრივებთანაც ჰქონდა ურთიერთობა. იმათ ჩათვალეს, რომ ჟიზელი კარგი გოგოა, მაგრამ ძალიან შეუხედავია, საწყალი. "ისეთი გამხდარია, ჩვენს სოფელში კაცს ვერასოდეს იშოვნიდა," - შეიცოდა ის ერთმა ქალმა.

სოფლელებს არც ლეონარდო დი კაპრიო მოეწონათ, რომელიც ჟიზელის შეყვარებულია და მოგზაურობის დროსაც თან ახლდა: "როგორი თეთრია, ავადმყოფს ჰგავს," - დაასკვნეს მათ (ამას მე დავუმატებდი, რომ აბსოლუტურად ასექსუალური რამეც ბრძანდება, მაგრამ გემოვნების ამბავია, და საერთოდ, ლეონარდო დი კაპრიო რა ჩემი სალაპარაკოა).

მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად დაიწუნეს, ლეონარდოსა და ჟიზელს ერთმანეთი მაინც ძალიან მოსწონთ. მოსასუქებლად თუ არასრულფასოვნების კომპლექსისგან გათავისუფლების მიზნით ჯუნგლებიდან დაბრუნებული ჟიზელი თავის სატრფოსთან და მის ბებიასთან ერთად კიოლნის შოკოლადის მუზეუმს ეწვია.

კიოლნის "ექსპრესი" წერს, რომ ეს სამეული ძალიან მოკრძალებით იქცეოდა. მათ დაცვა არ ახლდათ და ჩვეულებრივ მოკვდავებთან ერთად იდგნენ მუზეუმის წინ რიგში. მუზეუმის წარმომადგენელი აღტაცებით მოჰყვა, რომ "ისინი 45 წუთის განმავლობაში კაკაოს სვამდნენ, ერთმანეთს შოკოლადის შადრევანთან სურათებს უღებდნენ და საერთოდ, ძალიან უბრალოდ იქცეოდნენ". ვარსკვლავები არც მუზეუმის სხვა დამთვალიერებლებს შეუწუხებიათ, თუმცაკი ჟიზელს ყველა თვალს აყოლებდა. ევროპელებს ბუნდხენისნაირი ქალები ძალიან მოსწონთ, ასე რომ, მზეთუნახავს არაფერი აქვს სადარდებელი.

მე რომ მკითხოთ, არც კაილი მინოუგს უნდა ადარდებდეს ის, რომ მისი ღრმად პატივცემული და მთელს მსოფლიოში სახეგანთქმული უკანალი, რომელიც მისი სავიზიტო ბარათი იყო და რომლის მოვლისთვისაც საგანგებო სამუშაო ადგილი არსებობდა (არ ვხუმრობ - მასაჟისტისა), ვიღაც ვიგინდარებმა დაიწუნეს.

იმის მერე, რაც ავსტრალიელმა მომღერალმა ბრძანა, თუმც უწინდებურად სექსუალური ვარ, მაგრამ დავსერიოზულდიო, მისი უკანალის თაყვანისმცემლებმა კაილის ზურგი შეაქციეს და ახალი თაყვანისცემის ობიექტის ძებნას შეუდგნენ. მამაკაცთა ჟურნალ FHM-ში "წლის უკანალად" კაილი აღარ დაასახელეს - მას ხმების ერთი პროცენტით ყოფილმა "მაშველმა", კარმენ ელექტრამ გაასწრო. მესამე ადგილზე ბიონს ნოულზი გავიდა - განა ცუდი გოგოა? ბიონსი კმაყოფილია, კარმენისას ვერაფერს მოგახსენებთ, მისი რეაქციის შესახებ არაფერი დაწერილა, მაგრამ კაილი მინოუგი დარდობს. ნეტავი მაგას...

აი, პოპ-მომღერალ ანასტასიას კი მართლა რთულად აქვს საქმე. მოგეხსენებათ, 2003 წლის დასაწყისში ექიმებმა საშინელი დიაგნოზი დაუსვეს: მკერდის კიბო.

ანასტასია ამ ამბავმა სრულიად შეშალა. მან ახალი იმიჯი შეიძინა, აბსოლუტურად გულისამრევი - ძლიერი ქალისა. ანასტასიამ გადაწყვიტა, რომ ქალებისთვის სიმამაცის მაგალითი უნდა გამხდარიყო და მთელი თავისი ოპერაცია ფირზე გადააღებინა. რაღაც, არა მგონია, მკერდის 40 პროცენტის მოჭრის შემყურე ვინმე ქალს ოპტიმისტური განწყობა დაუფლებოდა, მაგრამ მაინც.

ახლა კი ანასტასიას თავის მკერდზე ისეთივე გართულება დაეწყო, როგორიც კაილი მინოუგს - საჯდომზე. მას გადაწყვეტილი აქვს, რომ მკერდი კიდევ უნდა დაიპატარაოს, რადგან - "ზურგი აუტანლად სტკივა". საიდან სადაო, წმინდა საბაო? მან გაზეთ Yam-ს უაღრესად სასარგებლო და მრავლისმთქმელი ინფორმაცია მიაწოდა: "ოპერაციის დროს მკერდი სულ ცოტათი მომაჭრეს, და ახლა ჯანმრთელი ვარ და თავს კარგად ვგრძნობ. მაგრამ ცოტა არ იყოს, დიდი მკერდი მაქვს, და ერთ-ორ წელიწადში კიდევ მოვიჭრი".

ნეტა, ამასაც გადააღებინებს? ხომ გითხარით, ოპერაციის შემდეგ, ცოტა არ იყოს, აურია-მეთქი.

შოუ-ბიზნესი

# ქალაქი, სადაც ბრიუს ლის ქანდაკება დგას



მალე ბრიუს ლის სკულპტურა იმ ქალაქში აღიმართება, სადაც საზოგადოება ყველაზე ნაკლებად ელის - ბოსნიის პატარა ქალაქ მოსტარში. იდეა ადგილობრივ მწერალს ვესელინ გატალოს ეკუთვნის. მისი თქმით, დროა, ბოსნიელებმა ერთგულების, მეგობრობისა და სამართლიანობის ფასეულობები გაითავისონ, ამ ფასეულობების საუკეთესო გამომხატველი კი ყველასთვის - სერბების, ხორვატების და მუსულმანებისთვისაც მისაღები გმირი, კუნ ფუს ჯადოქარი, ბრიუს ლი გახლავთ.

"ლი ნამდვილი საერთაშორისო გმირია, ამას აღიარებს ჩვენთან მცხოვრები ყველა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი, ამიტომაც ავირჩიეთ ის", - დასძენს გატალო. სწორედ მან დაიყოლია მოქანდაკე ბორის იოვანოვიჩი, ბრიუს ლის სკულპტურა შეექმნა და პოზაც უკარნახა - ლი ცოცხალივით უნდა იყოს, თითქოს, რაღაც საბრძოლო ილეთს ასრულებსო.

საინიციატივო ჯგუფს იმედი აქვს, რომ ქანდაკების აღმართვას ნოემბრისთვის შეძლებენ. მათ ადგილიც სიმბოლურად შეარჩიეს - ლის ესპანურ სკვერში აღმართავენ, ქალაქის ცენტრში, რომელსაც სარაევოდან სულ რაღაც 45 მილი აშორებს.

შეგახსენებთ, რომ 1992-95 წლების ომის დროს მოსტარმა ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ძალიან იზარალა. ამ ომს ასობით ათასი ადამიანი შეეწირა, მაგრამ შუღლი მაინც გრძელდება. ახლაც კი კათოლიკე ხორვატები და მუსულმანები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ბავშვებს სხვადასხვა სკოლაში ატარებენ, სხვადასხვა სატელევიზიო არხებს უყურებენ და ფეხბურთის სხვადასხვა გუნდებს გულშემატკივრობენ.

გატალო, რომელიც ეთნიკური ხორვატია, იმედოვნებს, რომ ბრიუს ლის ქანდაკება მოსტარის რეპუტაციას შეცვლის. ამ პატარა ქალაქს აღარავინ გაიხსენებს მხოლოდ თავისი მწვავე ეთნიკური დაპირისპირების გამო. "გვსურს, მოსტარის ხსენებაზე ხალხს პირველ რიგში ქანდაკება გაახსენდეს და თქვას, ეს ის ქალაქია, სადაც ბრიუს ლის სკულპტურა აღმართეს".

# ერთი კათხა ლუდი ჰელენასთვის

ყველამ იცის, რომ ჰელენა კრისტენსენი შეუდარებელია ფოტო-კამერის წინ, მაგრამ საზოგადოება ჯერაც ვერ დარწმუნდა იმაში, რომ ჰელენას კარიერა ფოტო-კამერის უკანაც ასევე წარმატებით აეწყობა. დიდი რისკისა და ეჭვების მიუხედავად, სუპერ-მოდელს შანსს კომპანია "კარლსბერგ ექსპორტი" აძლევს. ახალი სარეკლამო კამპანიისთვის სათაურით "ყოველივე სასურველი დანიიდან" ფოტოებს ჰელენა გადაიღებს. ის ამბობს: "ძალიან მომწონს ის იდეა, რომ "კარლსბერგი" ამდენ დადებითზე ამახვილებს ყურადღებს, ამდენ სასიამოვნო ექსპორტზე, რასაც დანია დანარჩენ მსოფლიოს სთავაზობს".

"კარსლერგისა" და ჰელენას ერთობლივ პატრიოტულ ექსპორტში შევა ახალგაზრდა მოდელი ვიბე სორენსენი. სხვათა შორის, ეს გოგონა სექტემბრის ბოლოსთვის დაგეგმილ ლონდონის მოდის კვირეულშიც გამოჩნდება, ასევე დანიელი დიზაინერის იენს ლაუგესენის კოლექციაში, რომელიც ხელოვნების სამეფო აკადემიაში გაიმართება. ლაუგესენი ამბობს: "მე ძალიან ვამაყობ ჩემი დანიური წარმომავლობით და ის ფაქტი, რომ "კარლსბერგი" ჩვენს ეროვნულ ფასეულობებზე აგებს თავის



ახალ კამპანიას, შესანიშნავია".

ჰელენას მიერ გადაღებული ვიბეს ფოტოები დაამშვენებს "კარსლბერგის" ლუდების ახლებურ შეფუთვასაც და სარეკლამო დაფებს პაბებსა და ბარებში. შეგახსენებთ ეს არის სუპერ-მოდელის პირველი უდიდესი პროფესიული შეკვეთა ფოტოგრაფის რანგში. თუ ყველაფერს კარგად გაართვა თავი, მერე ჰელენას ერთ ცივ კათხა "კარლსბერგსაც" დაალევინებენ.

# პიტერ გაბრიელის ახალი ჟღერადობა

ჟურნალ "ბილბორდის" ცნობით, პიტერ გაბრიელი რამდენიმე თვის განმავლობაში საკუთარ არქივს იკვლევდა, იხსენებდა ძველ ჰიტებს, არჩევდა მასალას ახალი კრებულისთვის და ნაწილს არემიქსებდა კიდეც. მუშაობა მან უკვე თითქმის დაასრულა და 21 ოქტომბერს ახალი DVD-ის (ციფრული ვიდეო დისკი) გამოშვებას აპირებს. კრებული ჯერაც უსახელოა, მაგრამ, როგორც მუსიკოსი აცხადებს, მაყურებელს საშუალება ექნება, 5.1 მოდიფიკაციის ე.წ. სივრცულ ჟღერადობაში ჩაწერილი სიმღერების კლიპების - Sledgehammer და Red Rain ნახონ.

"მუსიკოსისთვის მართლაც ფანტასტიკური საშუალებაა 5.1-ის ტექნოლოგია. ბგერა გაცილებით უფრო მასშტაბურია, ის მეტი სიმკვეთრით ჟღერს და გარშემო სივრცეს სრულიად მოიცავს", - დასძენს გაბრიელი.

DVD-ში 18-20 ბილიკი იქნება, მათ შორის: Biko, Digging in the Dirt, Shock the Monkey, Don't Give Up, Mercy Street და სხვა ჰიტები შევა. ზოგიერთ ვიდეოს ხელახლა დაამონტაჟებენ და, რიგ შემთხვევებში, ახალ გამოსახულებებსაც დაუმატებენ. "კარგებს ხელს არ ვახლებთ, მაგრამ ზოგიერთს ახალ მასალას აუცილებლად დავამატებთ", - აცხადებს პიტერ გაბრიელი და 21 ოქტომბრისთვის - მსმენელთან ერთად წარსულის გასახსენებლად ემზადება.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ომი თუ მშვიდობა?



ეს ზაფხულიც მიიწურა და ეს სექტემბერიც დაიწყო. მართალია, სასწავლო წელი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მგონი არც ჩვენი გაზეთის თანამშრომლებს და არც მის მკითხველებს საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებისკენ აღარ მიგვეჩქარება, ამიტომ ჩვენი "სასწავლო" წელი, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უკვე დაიწყო. და მიუხედავდ იმისა, რომ მსურდა ეს უკანასკნელი, ანუ ჩემი სვეტი მაჟორული ხასიათის ყოფილიყო, რეალობას ვერსად გავექცევი და მისი შინაარსიც ჩემს განწყობასთან ერთად მინორული გახდა.

რა რის ამის მიზეზი? მომრავლებული ტერაქტები და სექტემბერი, რომელიც ჩემში, პირველ რიგში, პირდაპირ 11 სექტემბრის ასოციაციას იწვევს. ერთი სიტყვით, ადამიანთა ამდენი ტანჯვისა და სიკვდილის შემხედვარეს, მიჭირს არ შევშინდე, არ ვიფიქრო და, თქვენ წარმოიდგინეთ, არ დავწერო. მაპატიეთ თუკი ჩემი განაცხადი ოდნავ ხმამაღალი ჩანს. თუმცა ვფიქრობ, თავად სპეციალისტების და ჩემზე მეტად საქმეში ჩახედული ადამიანების მოსაზრებებიც საკამათო და საეჭვოა, და ეს იმის ბრალია, რომ შექმნილ ვითარებაში რთულია მოძებნო დამნაშავე. დამნაშავე ყოველი მათგანია, ვინც თანამედროვე პოლიტიკაში აქტიურად თუ პასიურად მონაწილეობს. ვინც დღევანდელ დღეს არ ცდილობს, რომ ყველა კონფლიქტი არაძალადობრივი გზით მოაგვაროს. ყველა პოლიტიკური მიზანი, იქნება ეს სამშობლოს, ეროვნების, სარწმუნოების, სახელმწიფოს დასაცავად თუ სხვა. ჩვენ ყოველთვის კონფლიქტის მიზეზს საწყისში ვეძებთ, მარტივად ვუდგებით საკითხს და ვსვამთ კითხვას - ვინ დაიწყო, თუ საიდან დაიწყო, და, როგორც წესი, დამნაშავე - დამწყებია. ისევე როგორც ორი ადამიანის კამათისას რთული გასარკვევია ვინ იყო კამათის დამწყები, ასევე რთულია ამგვარ ომებში თუ დაპირისპირებებში ის მოძებნო, ვინც ყველაფერი ეს დაიწყო. და რამდენად საკვირველიც არ უნდა იყოს, ვფიქრობ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტი ერთია, ყველა დაპირისპირებას - ომს ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. და იმისათვის, რომ კონფლიქტის შედეგი სიკვდილი არ იყოს, მისმა დამწყებმაც და დამყოლმაც ეს უნდა გააცნობიეროს.

**"კონკრეტულად თუკი ესა თუ ის ქმედება მართებულია ჩვენთვის, მაშინ ის მართებული უნდა იყოს სხვებისთვისაც; და თუ ის არ არის სწორი სხვისთვის, მაშინ ის არასწორია ჩვენთვისაც, ვინც ამ სტანდარტს უარყოფს, უბრალოდ ამბობს, რომ ძალა ამართლებს ნებისმიერ ქმედებას"** - მე-20, 21-ე საუკუნის ამერიკელი მოაზროვნე ნოამ ჩომსკი, ნაწყვეტი სტატიიდან "ფიქრები 11 სექტემბერზე". სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს დღეს არსებული ყველა დიდი სახელმწიფო, რომელიც საომარ მდგომარეობაში იმყოფება. მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს "ჩვენ" ფაშიზმს ვებრძოდით და არჩევანი ძალიან ცუდსა და ცუდს შორის გავაკეთეთ, კომუნიზმი ვარჩიეთ ფაშიზმს, შედეგად 50 მილიონი ადამიანის სიკვდილი მივიღეთ. ეს მაგალითია ყველაზე ახლო წარსულიდან, ამგვარი მაგალითები კი, სამწუხაროდ, საკმარისზე მეტია.

დღევანდელ დღეს ყველაზე თვალშისაცემი ამერიკულ-ერაყული და რუსულ-ჩეჩნური ომია. თუკი ამერიკას, ან გნებავთ რუსეთს დავეკითხებით, ომი ორივე წერტილში ჩამცხრალია და ახლა ისინი მხოლოდ ხელს უწყობენ ახალი სახელმწიფოების თუ ფედერაციების შექმნას. ის, რომ "ნორდოსტის" ტრაგედია, მრავალი აფეთქებული სახლი, თვითმფრინავი, ავტობუსი თუ მეტროს სადგური - რუსული პოლიტიკის შედეგია, მგონი აქ ყველა ერთაზროვანი იქნება. სამწუხაროდ, ამერიკის მიმართ ჩვენი აშკარა სიმპათიების მიუხედავად, 11 სექტემბერი თუ სხვა ტერაქტები რომ მათივე ქმედების შედეგია, მგონი, ესეც ნათელია. განმათავისუფლებელი მოძრაობით შენიღბულნი, სამწუხაროდ, იმ პასუხს იღებენ, როგორ კითხვასაც სვამენ. ძალადობა კიდევ უფრო დიდ ძალადობას წარმოშობს. როდესაც ჯარისკაცი საომარი ვითარებების დროს "შემთხვევით" უდანაშაულო ადამიანებს კლავს, ეს ყველასათვის გასაგები და ერთი "ჩვეულებრივი ამბავია", მისი მიზეზიც და შედეგიც მარტივია, თავისუფლებას უდანაშაულოებიც ეწირებიან. ნეტავ რას ვფიქრობთ მაშინ, როდესაც ჩეჩენი ქალი, რომელსაც ისლამი სამოთხეს არ ჰპირდება მამაკაცისგან განსხვავებით, მძევლად იყვანს სხვას და შემდეგ მასთან ერთად თავს იკლავს. მას სხვა არაფერი დარჩენია, მას აღარავინ ყავს ცოცხალი მის გვერდით, მას წლების განმავლობაში აიძულებდნენ, რომ აქამდე მისულიყო. მე არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს ტერორისტებს გამართლებას ვუძებნი, არავითარ შემთხვევაში, მხოლოდ იმის თქმა მსურს და არაფერს ახალს არ ვამბობ, რომ ერთი ძალადობა მეორეს წარმოშობს და ასე გრძელდება უსასრულოდ.

**"ჩემი აზრით, სისხლისღვრით მოპოვებული თავისუფლება, ჭეშმარიტი თავისუფლება არ არის"**- ეს ჩემი სიტყვები არ გეგონოთ, ამას მე-20 საუკუნის ჭეშმარიტი გმირი მაჰათმა განდი ამბობდა და რომელსაც, თავს უფლებას ვაძლევ, მთელი ჩემი არსებით ვეთანხმები. დღევანდელ რეალობაში მისი სიტყვები, ვფიქრობ, ყველა მხარეს გამოადგება, როგორც რუსეთს, ასევე ჩეჩნებს, ამერიკას, ერაყს, თალიბებს, ქართველებს, ოსებს, ყველა სხვა ერს თუ სახელმწიფოს, რომელიც დღეს ომის, კონფლიქტის თუ მათი საშიშროების წინაშე იმყოფება. მაჰათმა განდიმ არა მხოლოდ ეს სიტყვები წარმოთქვა, მან ეს სიტყვები შეასრულა და ეს იმის ფიქრის თუ იმედის საშუალებას გვაძლევს, რომ უსისხლოდ, არაძალადობრივი გზით შესაძლებელია ყველა მიზნის მიღწევა.

ეს ის საკითხებია, რომელზედაც უსასრულოდ შეიძლება საუბარი, ფიქრი, დამნაშავის ძიება, სავარაუდო პასუხების მიღება და, რაც ყველაზე საგანგაშოა, შესაძლებელია პასუხი ურთიერთ გამომრიცხავიც იყოს. დღეს ჩვენ, საქართველოს, მხოლოდ ერთი მოგვეთხოვება, მაქსიმალური სიფრთხილე, მშვიდობისაკენ მაქსიმალური მოწოდება, მოსალოდნელი ომის თუ ომების თავიდან აცილება. დღეს ჩვენ გვჭირდება, რომ პრეზიდენტი პაციფისტებს დეგენერატებად არ მოიხსენიებდეს; მხოლოდ რამდენიმე ტონა ფქვილით ნუ ჩავთვლით, რომ იქნება ეს ოსეთი, თუ აფხაზეთი, მათთან შესარიგებელი უშედეგო ნაბიჯები გადავდგით და ომის გარდა სხვა გამოსავალი არ გვრჩება. ვერც ერთი ღირსების ორდენი ადამიანის სიცოცხლეს ვერ ჩაანაცვლებს და ამიტომ არ დავიშუროთ არც ენერგია და არც დრო იმისათვის, რომ დაკარგული ადამიანების ნდობა დავიბრუნოთ, რომელიც ადამიანებთან ერთად დაკარგულ ტერიტორიებსაც დაგვიბრუნებს. 21-ე საუკუნემ დაგვანახა, რომ აღარ არსებობს ერთჯერადი ომები, თუნდაც იგი რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდეს, **დღეს დაწყებული ომი აღარასდროს მთავრდება**.

*მოკლედ*

## რუნის აგენტი სარეკორდო თანხას მიიღებს



*რუნის აგენტი 1.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.*

"მანჩესტერ იუნაიტედი" სპორტულ აგენტს ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო თანხას გადაუხდის. პოლ სტრეტფორდი - უეინ რუნის აგენტი მანკუნიანელებისგან 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს (2,7 მილიონი დოლარი). პოლს ასეთი პატივი 19 წლის ფორვარდის "ევერტონიდან" გადაბირების გამო ერგო.

საბოლოო ჯამში კი "ევერტონი" ამ შეთანხმებიდან 27 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. "მანჩესტერ იუნაიტედი" ახლავე 10 მილიონს გადაიხდის. ერთ ამდენს მანკუნიანელები 2005 წლის 1 აგვისტოს გადარიცხავენ. 3 მილიონს "ევერტონი" იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ რუნი სამი წლის შემდეგ კვლავ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი იქნება. თუ ის სხვა კლუბში გადავა, ლივერპულური კლუბი სატრანსფერო თანხის 25 პროცენტს მიიღებს. ამას გარდა, შეთანხმებით სხვადასხვა სახის ბონუსებია გათვალისწინებული. ეს დამოკიდებული იქნება გუნდის გამოსვლაზე როგორც პრემიერლიგაში, ისე ევროასპარეზზე.

უეინ რუნი ნამდვილი აღმოჩენა გახდა პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე. მან იქ 4 გოლი გაიტანა. რუნის შეძენის შემდეგ "მანჩესტერი" მაქსიმალურად დაკომპლექტდა შეტევის ხაზში. უეინის გარდა, მანკუნიანელთა რიგებში არიან: რუუდ ვან ნისტელროოი, ალან სმიტი და ლუის საა.

### სენსაცია ამერიკულად

სენსაცია დაფიქსირდა ამერიკის ღია პირველობაზე ჩოგბურთში და ამ სენსაციის ავტორი რუსეთის სახელით მოთამაშე ჩვენი თანამემამულე ანა ჩაკვეტაძეა. ტურნირის მეორე წრეში ის რუსეთის პირველ და მსოფლიოს მესამე ჩოგანს ანასტასია მისკინას შეხვდა და ორ სეტში დაამარცხა 7:6, 6:3.

ჩვენთან დაბადებული ჩაკვეტაძე, რომელიც ამჟამად რეიტინგში 175-ეა და რომელსაც კარიერის მანძილზე საჩოგბურთო მასშტაბებით მცირე, 19 566 დოლარი აქვს მოპოვებული, ამერიკის ღია ჩემპიონატზე შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სენსაციის ავტორად მოგვევლინოს.

### ჩემი ოქრო ჩემთან!

უნგრელი ოლიმპიური ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ადრიან ანუში არ აპირებს დააბრუნოს ოლიმპიური ოქრო, რომელიც მას ფორმალურად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩამოართვეს. ანუშმა უარი თქვა, განმეორებითი დოპინგტესტი ჩაებარებინა. ამასთან, სპორტსმენმა სპორტული კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა.

"ბადროს ტყორცნა მთელი ჩემი ცხოვრება იყო, მაგრამ სპორტიდან წასვლა ასე არ მინდოდა", - უნგრულ საინფორმაციო სააგენტო MTI-სთან საუბარში თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ამბობენ, რომ ანუშმა ორი დოპინგ-ტესტი ჩააბარა. პირველი - შეჯიბრების დაწყებამდე ერთი დღით ადრე და მეორე - შეჯიბრების დარულების შემდეგ. ორივე ტესტმა უარყოფითი შედეგი აჩვენა, მაგრამ არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს ორი ანალიზი სხვადასხვა ადამიანს ეკუთვნოდა, - აცხადებენ ოლიმპიურ კომიტეტში. ამის გამო უნგრელი ვალდებული იყო, კიდევ ერთი ტესტი გაევლო, რაზეც ანუშმა უარი განაცხადა. სოკ-მაც მიიღო გადაწყვეტილება, ათლეტისთვის ოლიმპიური ოქრო ჩამოერთმია. ანუში საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში არც მედლის ჩამორთმევაზე გამოცხადებულა. ახლა სპორტსმენი იმაზე იმტვრევს თავს, თუ როგორ აღძრას სარჩელი სოკის წინააღმდეგ. "ბოლო დროს ჩემთან კონტაქტზე რამდენიმე საადვოკატო კანტორა გამოვიდა და არა მხოლოდ უნგრული. თუ არსებობენ ლეგალური საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ჩემი სიმართლის დამტკიცებას შევძლებ, ამას აუცილებლად გამოვიყენებ", - დაასკვნა ანუშმა.

*TV-სპორტი*

**პარასკევი. 3 სექტემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. საწვრთნელი ბანაკი: "DENVER NUGGETS". მე-4 ნაწილი
06:30 NBA TV. სეზონი 2000-2001. "TORONTO RAPTORS" - "SACRAMENTO KINGS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. პერუ - ვენესუელა
14:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პონტე პრეტა" - "პალმეირასი"
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "რასინგი" - "ბარსელონა"
17:50 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. პერუ - კოლუმბია
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:20 "FUTBOL MUNDIAL"
20:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. გერმანია - ჩეხეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "ტტგ-იავა"
00:45 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:15 02:15-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. WNBA ჩემპიონატი. "CONNECTICUT SUN" - "NEW YORK LIBERTY". პირდაპირი ტრანსლაცია
05:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
05:30 NBA TV. საწვრთნელი ბანაკი: "DENVER NUGGETS". მე-5 ნაწილი

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00, 20:30 პრესცენტრი
10:20, 20:45 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ფინეთი - გერმანია
13:35 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
18:15 ჰოკეი. მსოფლიო თასი. აშშ - რუსეთი
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 "შავი ოქრო". მორის გრინი
21:55 მძლეოსნობა. IAAF Golden League "Memorial Van Damme" ბელგიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:15 ახალი ამბები
00:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
01:00 01:00-დან 02:45-მდე შესვენება
02:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. აშშ - სლოვაკეთი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
13:00 ნიჩბოსნობა. ბაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში
14:00 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
16:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი
19:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიაში

*ფეხბურთი*

# საქართველოს ნაკრები ტრაბზონში ჩავიდა

მიხეილ აბაიშვილი



იური ლობოდინის ფოტო

*ჟირესს მოლა არ აშინებს.*

საქართველოს ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით უკვე ტრაბზონშია და დღეს ბოლო, მატჩისწინა ვარჯიშს იმ არენაზე გამართავს, სადაც ხვალ, თბილისის დროით 21 საათზე მატჩი დაიწყება. ჩვენი ეროვნული გუნდი თურქეთში გუშინ, საღამოს 7 საათზე, ავიაკომპანია "აირზენას" ჩარტერული რეისით გაემგზავრა. გამგზავრებას წინ უძღოდა დილის ვარჯიში, ალენ ჟირესის პრესკონფერენცია და ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოში.

ვარჯიში, ტრადიციულად, "ოლიმპის" სტადიონზე გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო ოთარ ხიზანეიშვილმაც, რომელიც ნაკრებს გუშინწინ, გვიან ღამით შეუერთდა. არც პრესკონფერენციის ჩატარების ადგილი შეცვლილა: სასტუმრო "ბატესტა".

ჟირესმა ზედიზედ მესამე პრესკონფერენცია მოიწვია. წინა ორ შეხვედრაზე თითქმის ყველა შეკითხვას გაეცა პასუხი, ამდენად, გუშინ მწვრთნელმა მედიასთან ურთიერთობაში საკმაოდ მცირე დრო დახარჯა.

"ხიზანეიშვილი შემოგვიერთდა და დღეს ჩვენთან ერთად ივარჯიშა. კობიაშვილი ტრაბზონში დაგვხვდება. გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ იგი ჯანმრთელობას უჩივის და ვერ შეძლებს თამაშს, უსაფუძვლოა. მე ლევანი გავაფრთხილე, რომ თუ თამაშს ვერ შეძლებდა, ტრაბზონში არ ჩამოსულიყო. რაკი ჩამოდის, ესე იგი, ყველაფერი წესრიგში აქვს", - კმაყოფილებით განაცხადა ჟირესმა, რომელსაც ძალიან გაუხარდა ისეთი კვალიფიციური ფეხბურთელის შემომატება, როგორიცაა ლევან კობიაშვილი.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების შედეგებით აღფრთოვანებულმა საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დამარცხებები მოდაში აღარ არის და დროა, ქართულმა ფეხბურთმაც მხოლოდ სიხარული მიანიჭოს ქართველ ხალხს. ჟირესს სთხოვეს პრეზიდენტის ამ სიტყვების კომენტირება.

"კი მაგრამ, როდის იყო დამარცხება მოდაში? ჩვენ თურქეთში გამარჯვებისთვის მივდივართ და ყველანაირად ვეცდებით, სამი ქულა წამოვიღოთ", - თქვა ჟირესმა.

ნაკრების მწვრთნელმა გაიხსენა მისი გუნდის ბოლო ამხანაგური მატჩი მოლდოვასთან, რომელიც 18 აგვისტოს გაიმართა და რომელშიც 0:1 დავმარცხდით.

"დამარცხების მიუხედავად, ჩვენი დაცვის ხაზის გარჯით უკმაყოფილო არ ვარ. მთელი მატჩის განმავლობაში ჩემი გუნდი გამოირჩეოდა მაღალი სათამაშო დისციპლინით, კოლექტიური თამაშით. არც დაცვაში გვქონია მაინცდამაინც დიდი პრობლემები. ერთ მომენტში ურთიერთდაზღვევამ ვერ იმუშავა სათანადო დონეზე, რასაც მოყვა კიდეც გოლი. თურქებთან თამაშისწინა ვარჯიშებზე ამ კომპონენტზე ვამახვილებდით ყურადღებას. გარდა ამისა, მოლდოვაში ცუდი პირობები დაგვახვედრეს. ვცხოვრობდით ცუდ სასტუმროში, ხმაურიან ადგილას. ახლა ასე არ იქნება. ვიქნებით მაღალი დონის სასტუმროში, ქალაქიდან 25 კილომეტრის მოშორებით, რათა დილით მოლამ სიმყუდროვე არ დაგვირღვიოს", - იხუმრა ჟირესმა.

უფრო სერიოზულად კი მწვრთნელმა თურქეთის ნაკრების შესაძლებლობებზე ისაუბრა.

"ბოლო დროს თურქეთის ნაკრების რამდენიმე მატჩი ვნახე. მას შემდეგ, რაც თურქებმა მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს, გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. ნაკრები გადახალისდა, ახალი ფეხბურთელები გამოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საკონტროლო მატჩში დამარცხდა, მაინც ძალიან კარგი გუნდია. ძლიერი მეტოქეა და რთული მატჩი გველის. წარმატების მისაღწევად აუცილებელი იქნება, ბურთის ფლობაზე კონტროლი დავაწესოთ და ამით მეტოქე ვანერვიულოთ. რა თქმა უნდა, შეტევაზეც უნდა ვიფიქროთ. ჩემს ფეხბურთელებს საკმარისი კვალიფიკაცია აქვთ იმისთვის, რომ ეს გააკეთონ", - დარწმუნებულია ჟირესი.

საქართველოს ნაკრებში ლამის ქრონიკული პრობლემა იყო საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია.

"კანკავას გამოჩენით და რეხვიაშვილის დაბრუნებით ეს პრობლემა მოგვარდა. ტრაბზონში ასარჩევადაც კი მექნება საქმე. ასე რომ, საყრდენი ნახევარმცველის საკითხზე სანერვიულო არაფერია", - განაცხადა ჟირესმა.

პრესკონფერენციის შემდეგ, აეროპორტში გამგზავრებამდე, საქართველოს ეროვნული ნაკრები საპატრიარქოს ეწვია. "ხუთჯვრიანები" ამ საფეხბურთო ლაშქრობის წინ მიიღო ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსმა მეუფე გერასიმემ. მან დალოცა ჩვენი გუნდი და აკურთხა ის დროშა, რომელიც ტრაბზონის სტადიონზე უნდა აღიმართოს.

წილი ნაყარია. ხვალ "ხუთჯვრიანებს" ფრანგი ალენ ჟირესის მეთაურობით ოსმალეთში პირველი საბრძოლო გამოცდა ელით.

# აბრამოვიჩი მართალია



*აბრამოვიჩს ცსკა-ს აქტივები არ გააჩნია.*

უეფამ ვერ ნახა დამადასტურებელი საბუთები იმისა, რომ ლონდონის "ჩელსის" პატრონი რომან აბრამოვიჩი რუსეთის ჩემპიონის მოსკოვის ცსკა-ს რაიმე აქტივებს ფლობს. ამდენად, მოსკოვურ კლუბს უფლება მიეცა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირზე ლონდონის "ჩელსის" წინააღმდეგ ითამაშოს.

უეფამ ხუთშაბათს რომან აბრამოვიჩს ოფიციალურად მოუხსნა ბრალდება, რომ ის მოსკოვის ცსკა-ს ფლობს. "ჩვენ ვერ მოვნახეთ რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი იმისა, რომ მისტერ აბრამოვიჩი მოსკოვის ცსკა-ს მფლობელია", - ინგლისის ტელეკომპანია "ბი-ბი-სის" განუცხადა უეფას ინკოგნიტო წარმომადგენელმა. ცნობილია, რომ უეფა იძიებდა საქმეს, ხომ არ ჰქონდა ჩუკოტკის გუბერნატორს რუსეთის ჩემპიონის კლუბის აქტივები. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა "ჩელსისა" და ცსკა-ს ერთ ჯგუფში თამაში. თანაც, უეფას რეგლამენტიც კრძალავს შესაძლებლობას, რომ ერთ ტურნირში ითამაშოს ორმა გუნდმა, რომელთაც ერთი საერთო პატრონი ჰყავთ.

არადა, არავისთვის ახალი არ არის, რომ კომპანია "სიბნეფტი", რომელიც მთლიანად რომან აბრამოვიჩს ეკუთვნის, მოსკოვის ცსკა-ს სპონსორია. წლეულს, აპრილში, კლუბსა და კომპანიას შორის გაფორმდა სპონსორული ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ცსკა სამი წლის განმავლობაში "სიბნეფტიდან" 54 მილიონ დოლარს მიიღებს.

საიდუმლო არც ორი კლუბის მესვეურთა მეგობრობაა. რომან აბრამოვიჩი არაერთხელ დასწრებია მოსკოველთა თამაშს (ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს მთავარი მწვრთნელის პოსტი ფრანგმა არტურ ჟორჟემ დატოვა. ცსკა-ს პრეზიდენტი ევგენი გინერიც ხშირად სტუმრობდა "სტემფორდ ბრიჯს" და "წითელი რომას" გვერდით ვიპ-ლოჟაშიც იჯდა.

გარკვეული პარტნიორული ურთიერთობა მოსკოვის ცსკა-სა და "ჩელსის" შორის, რა თქმა უნდა, არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ ჩაატარებდა ლონდონური კლუბი მასტერ-კლასს მოსკოვში და ლონდონელებთან ერთად ცსკა არ იზრუნებდა ძვირად ღირებული ფეხბურთელების შეძენაზე. მაგალითად, ისეთზე, როგორიც ივიცა ოლიჩი ან ვაგნერ ლოვე არიან.

თუმცა, ჩანს, უეფამ გადაწყვიტა, რომ ამ ორი კლუბის პარტნიორულ ურთიერთობას ყურადღება არ მიაქციოს. მაგალითად, უეფას გენერალურმა მდივანმა ლარს-კრისტერ ოლსონმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა: მისთვის ცნობილია, რომ რომან აბრამოვიჩის კომპანია ცსკა-ს ერთ-ერთი სპონსორია.

"უეფას რეგლამენტი არაფერს ამბობს ერთი პიროვნების მიერ ორი გუნდის დაფინანსების შემთხვევაში ამ გუნდების ერთ ტურნირში თამაშის აკრძალვის შესახებ. აკრძალვა მხოლოდ იმ შემთხვევაში ვრცელდება, თუ ერთი პიროვნება ორი ან მეტი კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობს. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ უეფა ერთხელაც განიხილავს იურიდიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო საკითხს. სპონსორული დახმარების მაქსიმალური ზღვარი ჩვენ ხომ დღემდე არ დაგვიწესებია", - განაცხადა ოლსონმა და დაამატა, რომ უეფა გულისყურით დააკვირდება "ჩელსისა" და ცსკა-ს მატჩებში განვითარებულ მოვლენებს.

კენჭისყრის შედეგების მიხედვით ცსკა და "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ამ გუნდებს შორის მატჩები 20 ოქტომბერს მოსკოვში, ხოლო 2 ნოემბერს ლონდონში გაიმართება.

*კალათბურთი*

# ბრაიანტი არ დაისჯება

ცნობილი ამერიკელი კალათბურთელი კობი ბრაიანტი, როგორც ჩანს, სასჯელს მაინც გაექცევა. მას ბრალად ედება 20 წლის გოგონაზე ძალადობა. გოგონამ ბრაიანტი გაუპატიურებაში დაადანაშაულა. საბოლოოდ კი გაირკვა, რომ მას მხოლოდ ფულის გამომუშავება სურდა.

სასამართლოდან მიღებული ბოლო ინფორმაციის საფუძველზე ცნობილი ხდება, რომ პროკურორი, რომელსაც "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" მცველის პროცესი მიჰყავს, მოსამართლეს სთხოვს, კობი ბრაიანტს სასჯელი შეუმსუბუქონ. უფრო ადრე კი მოსამართლემ გადაწყვიტა, მოსმენა შეეწყვიტა. მიზეზი, რომლის მიხედვითაც სასამართლო მოსმენა უნდა შეწყდეს, იმაში მდგომარეობს, რომ დაზარალებულ მხარეს, უბრალოდ, არ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში", - განაცხადა პროკურორმა მარკ ჰერლბერტმა. არც ბრაიანტი და არც დაზარალებული გოგონა სასამართლო პროცესზე არ გამოცხადებულან.

20 წლის ამერიკელი ქალბატონი ბრაიანტს გაუპატიურებაში ადანაშაულებს. ბრაიანტი კი აცხადებს, რომ სექსი მათ შორის მხოლოდ ორმხრივი სურვილის საფუძველზე მოხდა და ერთადერთი დანაშაული ის არის, - აცხადებს ბრაიანტი, - რომ ამ გოგონასთან დავიჭირე საქმეო.

საქმის ბოლო ადვოკატების პროფესიონალიზმმა გადაწყვიტა. სპორტსმენს უკეთესი ადვოკატები აღმოაჩნდა. იურისტებმა დაზარალებულის მხრიდან სერიოზული დარღვევა აღმოაჩინეს. დახურული მოსმენის მასალებიდან ცხადი გახდა, რომ დაზარალებულს კობის შემდეგ კიდევ ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა, მაგრამ მანამდე, სანამ სამედიცინო შემოწმებას გაივლიდა და სასამართლოში გაუპატიურების შესახებ განცხადებას შეიტანდა. არადა, თავიდან მას თითქმის ყოველ წუთში უმეორებდნენ - ჰქონდა თუ არა ბრაიანტის შემდეგ ვინმესთან სექსუალური ურთიერთობა, რაზეც დაზარალებული პასუხობდა, რომ არ ჰქონია.

საკვირველი მხოლოდ ის არის, რატომ სთხოვა პატიება დაზარალებულს კობი ბრაიანტმა სასამართლოს დასრულების შემდეგ.

ოლიმპიზმი

# ათენი 2004 - პეკინი 2008

გიგა გურასაშვილი

*ახლა, როდესაც ათენის ოლიმპიური თამაშები ისტორიის საკუთრება გახდა, როდესაც ოლიმპიელები წარმატებებს თუ წარუმატებლობებს აცნობიერებენ, საინტერესოა, როგორ აფასებენ ქართველ ოლიმპიელთა გამოსვლას XXVIII ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. ვესაუბრებით სეოკ-ის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს.*

**- ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე სამივე ხარისხის თითო მედალს ვარაუდობდით, მაგრამ ახლა ოთხი მედალი გვაქვს, ამასთან, ორი ოქროსი... ამგვარ შედეგს ელოდით თუ ის, რასაც მიაღწიეთ, თქვენთვისაც სიურპრიზი იყო?**

- ველოდით, რადგან ჩვენი გუნდი და მისი შესაძლებლობები, ტიტულატურა, მათი მზადება, თამაშებისწინა განწყობა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ პირველად საქართველოს ოლიმპიური გუნდის გარკვეულ ნაწილს ჰქონოდა ჯანსაღი პრეტენზია, დაუფლებოდა ოლიმპიურ მედლებს, მათ შორის, ოქროს მედალს.

**- ეს წარმატება მაქსიმალური იყო თუ შეიძლებოდა, უფრო მეტისთვისაც მიგვეღწია? ანუ, ვთქვათ, თუ ოლიმპიურმა ფონდმა ბოლო ორი წლის განმავლობაში ხუთ მილიონ ლარზე მეტი დახარჯა ოლიმპიელთა მოსამზადებლად და სხვა საჭიროებებისთვის, ათი მილიონი რომ დაეხარჯა, რამდენად ადეკვატური შედეგი გვექნებოდა?**

- ფულის ხარჯვის კოეფიციენტი ყოველთვის შედეგების ადეკვატური არაა. მახსოვს, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე როგორი კრახი განიცადა ინგლისის ნაკრებმა. ვინ იტყვის, რომ მათ შესაძლებლობები არ ჰქონდათ. შეიძლება სპორტსმენს მილიონები დაახარჯო, მაგრამ თუ მას ზურგს არ უმაგრებს ტრადიციები, მწვრთნელთა კვალიფიკაცია, მაშინ წარმოუდგენლად რთულია, მიაღწიო რაიმე წარმატებას. წარმატებისთვის ყველაფრის ერთობლიობაა საჭირო: ტრადიცია, სპორტსმენის ნიჭიერება, მწვრთნელთა კვალიფიკაცია, სტრატეგია, სპორტული იღბალი, კარგი განწყობა, სპორტსმენის ირგვლივ შექმნილი ატმოსფერო... თუ რომელიმე კომპონენტი ამოვარდა, ძნელი იქნება რაიმე წარმატებაზე საუბარი.

ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი კარგად აეწყო - მზადება, ფინანსური უზრუნველყოფა. კარგი გუნება-განწყობა ჰქონდათ სპორტსმენებსაც, რაც იმან განაპირობა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არც ერთ სპორტსმენს არ ჰქონდა საზრუნავად ის, თუ რა მიეტანა სახლში, რითი ერჩინა ოჯახი. თითოეულ ოლიმპიელს ჰქონდა გარანტირებული სტაბილური ხელფასი, სტაბილური სტიპენდია. რაც მთავარია, მზადებისთვის ყველანაირი პირობა ჰქონდათ შექმნილი. არა მგონია, რომელიმე ქვეყანას, ყოველ შემთხვევაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ჩვენზე უკეთესი პირობები ჰქონოდა - განსაკუთრებით ბოლო ექვსი თვის განმავლობაში. მათ ჰქონდათ, ჩვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით, იდეალურთან მიახლოებული პირობები. რაც მოისურვეს, რაც დაგეგმეს, ყველაფერი შევუსრულეთ. დადებითი როლი შეასრულა წინასაოლიმპიადო პრობლემატიკის მოგვარებამაც: ნორმალური მგზავრობა, მაღალი დონის სპორტული ეკიპირება, ცივილური ფორმა (ნაკრებს "ადიდასის" ფორმა ჰქონდა). ოლიმპიელებს გზა დაულოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. გამგზავრების წინ გუნდი მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. ბუნებრივია, ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- ესე იგი, ამ გარემოებებმა განაპირობა ოთხი მედალი?**

- რა თქმა უნდა. მაგრამ კარგი ბიძგი იყო თამაშების პირველივე დღეს ნესტორ ხერგიანის ვერცხლის მედალი. კარგად მახსოვს ის კატასტროფა, თუ რა მოყვა დავით ხახალეიშვილის ისტორიას ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე. ათენში ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა. პირველივე დღეს მედლის მოპოვებამ გუნდში გამარჯვებისთვის აუცილებელი სულისკვეთება შემოიტანა.

სამწუხაროდ, დღეს ბევრი ქილიკობს ოლიმპიურ დევიზზე: "მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება". ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთმა ჩვენმა თანამემამულემ შემომჩივლა, რა ამბავი ატეხეთ, ეს რა წარმატებააო და არგუმენტად ადრეული ოლიმპიური თამაშები მოიყვანა, როდესაც საბჭოთა კავშირის დროშით გამოვდიოდით. დღეს, როდესაც საქართველო პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს და ორ ოქროს მედალს იხვეჭს, რატომ იწვევს ეს უკმაყოფილებას, ჩემთვის ცოტა გაუგებარია. წარმოიდგინეთ 202 ქვეყანა და 11 ათასამდე სპორტსმენი. თითოეულს ჩემპიონობა სურს. როგორი კონკურენციაა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. გარდა ამისა, თითოეული ჩვენი სპორტსმენი ოლიმპიურ ლიცენზიას დაეუფლა ევროპაში, კონტინენტზე, სადაც ყველაზე დიდია სპორტული კონკურენცია და, შესაბამისად, ურთულესია საოლიმპიადო შესარჩევი ციკლი. ამით იმისი თქმა მინდა, რომ 33 სპორტსმენმა ათენში ასპარეზობის უფლება მოიპოვა საკუთარი ნიჭითა და ოფლით.

**- არ შეძლება არ გკითხოთ იმის შესახებ, თუ რა მოხდა მოჭიდავეების შემთხვევაში. თუ ვინმესგან ველოდით წარმატებას, პირველ ყოვლისა, ბერძენრომაელებისა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებისგან, მაგრამ ფაქტია: 12 მიჭიდავეზე ერთი მედალი მოვიდა...**

- ჯობს, ერთად დასხდნენ მწვრთნელები, კონსულტანტები, ექიმები, ექსპერტები და დაასკვნან, თუ რა მოხდა. ჩვენ მათზე ვაკეთებდით აქცენტს. მე მგონია, რომ შეცდომები იქნა დაშვებული მზადების სტრატეგიაში. არ ვიცი, ლოგიკური იყო თუ არა მზადების ის ინტენსივობა, რომელსაც ათენის თამაშებამდე გადიოდნენ მოჭიდავეები. ვერ გეტყვით, რამდენად სწორი იყო არჩევანი ურეკზე, სადაც გუნდი წასვლის წინ ემზადებოდა, მაშინ როდესაც ძიუდოისტებმა შეკრება ლიკანში გაიარეს. აშკარა იყო, რომ მოჭიდავეები ფიზიკურად ვერ იყვნენ შესაბამის ფორმაში. როდესაც ოლიმპიურ თამაშებზე ვსაუბრობთ, წარმოუდგენელია თავად სპორტსმენის უპასუხისმგებლობა, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. პირადად ჩემთვის გაუგებარია, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონი ან სხვა ტიტულის მფლობელი სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიური მედლის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად ითვლება და მეტოქეები უფრთხიან, შეჯიბრების წინა დღეს ისეთი წონით გამოცხადდეს, რომელიც სრულიად დაუშვებელია. მხედველობაში მყავს მანუჩარ კვირკველია. გეთანხმებით, ძალიან ნიჭიერია, მაგრამ განა შეიძლება, წონის ჩაბარების დღეს, მაშინ როდესაც მეორე დილით შეჯიბრება გაქვს, ერთ დღეში დაიკლო რამდენიმე კილო?! ღონემიხდილსა და ძალაგამოცლილს, როგორ უნდა გქონდეს "ოქროზე" პრეტენზია?!.

რაც შეეხება კურტანიძეს. ის, რომ ელდარი იყო, არის და დარჩება დიდ სპორტსმენად ქართული სპორტის ისტორიაში, საკამათო არ უნდა იყოს. ის, რომ ელდარმა ყველაფერი გააკეთა წარმატებისთვის და რომ მასზე მეტად არავის სურდა ოქროს მედალი, გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვაგვარადაა საქმე: ელდარი თბილისშივე ზედმეტად მოვაქციეთ წნეხის ქვეშ. მასზე ყველა ვსაუბრობდით, როგორც აშკარა ჩემპიონზე. მეტიც: მისგან მხოლოდ ოქროს მოვითხოვდით. ის კი არა, კურტანიძის ფინალზე წინასწარ ვგეგმავდით საქართველოს პრეზიდენტის დასწრებას, რათა თავად გამხდარიყო გამარჯვების მომსწრე. ელდარი პიროვნულადაც ძალიან ძლიერია, მაგრამ, ეტყობა, ბოლომდე ვეღარ გაუძლო ამგვარ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. როდესაც ასპარეზობას გამოეთიშა, თქვა: "მაპატიეთ, თქვენი იმედები ვერ გავამართლეო".

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა უდიდესი სამუშაო გაწია, ეტყობა, რაღაც მაინც ვერ განვსაზღვრეთ ოლიმპიურმა კომიტეტმა, მწვრთნელებმა, სპორტის დეპარტამენტმა.

**- დევიზი: "უკეთ, ვიდრე სიდნეიში" შესრულებულია. თუ შესაბამის თანმიმდევრობას დავიცავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თამასას ავწევთ, რადგან "უკეთ, ვიდრე ათენში" ბევრად რთული მისაღწევი იქნება...**

- ბუნებრივია, პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ამას დავისახავთ მიზნად და ასეც უნდა იყოს. ეს თითოეული ჩვენგანის სტრატეგია უნდა იყოს, რათა "უკეთ, ვიდრე სიდნეიში" ვინმემ შემთხვევითობად არ ჩაგვითვალოს, მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან. ძალზე მეიმედება საქართველოს პრეზიდენტის მიერ ათენში, ქართულ სახლში გაკეთებული განცხადება, რომ სახელმწიფო მეტ დახმარებას გაუწევს სპორტს.

სამუშაო ბევრია. ბევრი რამაა გამოსასწორებელი, დასახვეწი. აქედანვეა შესამუშავებელი სტრატეგია პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის. აქედანვე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ახალგაზრდებზე, რომლებსაც პეკინში და შემდგომ, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოუწევთ ასპარეზობა. უკეთესი შედეგებისთვის კი საჭიროა სერიოზული ინფრასტრუქტურა. მე მშურს ჩვენი მეზობლების - აზერბაიჯანელების, რომლებსაც არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურა აქვთ. მშურს, რომ სპორტს სახელმწიფოებრივ დონეზე უდგებიან - ატარებენ საერთაშორისო ტურნირებს, მწვრთნელებისთვის აწყობენ სემინარებს, კურსებზე გზავნიან უცხოეთში, ინტენსიურად გადიან ინგლისური და ფრანგული ენების შემსწავლელ კურსებს, ჩამოჰყავთ უცხოელი სპეციალისტები. მაქსიმალურად ცდილობენ, თავისი წარმომადგენელი ჰყავდეთ საერთაშორისო ფედერაციებში. რომელი ერთი ჩამოვთვალო... კარგი იქნება, თუ იგივეს ჩვენც შევძლებთ.

უბრალოდ, დანაშაულია, როდესაც ძიუდოს ისეთი ტრადიციის ქვეყანას, როგორც საქართველოა, არ ჰყავს მსაჯი, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე მიიწვევდნენ. ერთი სიტყვით, აუცილებელია საერთაშორისო სტრუქტურებში ჩვენც შევაღწიოთ. ამ მხრივ უდავოდ დიდ სამუშაოს ასრულებს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი. კარგი იქნება, თუ სხვებიც იგივეს შეეცდებიან.

**- როგორც ვიცით, ოლიმპიურმა ფონდმა ამოწურა საკუთარი პროგრამა, რომლის მიხედვითაც ოლიმპიელები მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას იღებდნენ. როგორი იქნება შემდგომი ოთხი წელიწადი?**

- ოლიმპიურმა ფონდმა და საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ამოწურა საკუთარი პროგრამა, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 აგვისტოდან 50-60 ადამიანი ვეღარ მიიღებს ჩვენგან სოციალურ დახმარებას, რომელსაც პროგრამა "ათენი-2004" ითვალისწინებდა. ახლა სახელმწიფომ უნდა იკისროს ეს ფუნქცია, რადგან იმ ოლიმპიელთა ორი მესამედი, რომელიც ათენში იყო, პეკინისთვის გააგრძელებს მზადებას.

ყველამ კარგად გაიგო, თუ რა თქვა მიხეილ სააკაშვილმა, რომ აღარ უნდა დავუშვათ ქართველ სპორტსმენთა მიგრაცია საზღვარგარეთ. ეს რომ არ მოხდეს, სახელმწიფოსგან მეტი ძალისხმევა და თანადგომაა აუცილებელი.

**- ესე იგი, ანალოგიურ პროგრამას აღარ უნდა ველოდოთ პეკინისთვის?**

- ეს სახელმწიფოს საზრუნავია. ჩვენ ვერავის დავავალდებულებთ. როდესაც სახელმწიფოს უჭირდა, ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა ქართულ სპორტს მაშველი რგოლი გადაუგდო. ბადრი პატარკაციშვილმა და გოგი თოფაძემ დაამტკიცეს, რომ უყვართ ქართული სპორტი. ახლა იგივე სხვებმა დაამტკიცონ.

ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო სეოკ-ის პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს, სეოკ-ის თანამშრომლებს გაწული სამუშაოსთვის. დიდი მადლობა ვეტერან სპორტსმენებს, რომლებმაც დღემდე მოიტანეს ქართული სპორტი., სპორტის დეპარტამენტს, სპორტულ ფედერაციებს; ასევე ნანა ალექსანდრიას, ათენში ქართული სახლის დიასახლისს, კოტე ღლონტს, რომელმაც ქართული სახლის დიზაინი შეიმუშავა და მოაწყო. მადლობა იმ სპორტსმენებსაც, რომლებიც უმედლოდ დარჩნენ, მაგრამ ჩვენს გვერდით იდგნენ.



*პეკინში შეხვედრამდე - ოთხი წლის შემდეგ.*

რაგბი

# ქართული რაგბის პრობლემები ჩემპიონატის წინ

პაატა თოთაძე

დღეიდან საქართველოში სარაგბო სეზონი იწყება. უფრო სწორად, სეზონი განახლდება, თორემ დაწყებით გაზაფხულზე დაიწყო. მაშინ საქართველოს თასი თამაშდებოდა, დღეიდან კი მორაგბეები ქვეყნის ჩემპიონატში ჩაებმებიან. ჯერ ჭაბუკები, ხვალიდან კი დიდები დაიწყებენ ასპარეზობას.

შარშანდელის მსგავსად, ჩემპიონატში ისევ ექვსი გუნდი მიიღებს მონაწილეობას: "ლოკომოტივი", "ყოჩები", "იმედი L - აკადემია", "ლელო", ქუთაისის "აია" და ბათუმის "დათვები". "დათვებთან" დაკავშირებით მომხდარ ამბებზე არაერთხელ გვისაუბრია. ამ გუნდს ზაფხულში გარკვეული პრობლემები შეექმნა, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი ბათუმელთათვის სასიკეთოდ გადაწყდა. მწვრთნელიც ჩინებული "იშოვეს" ზღვისპირელებმა - გუნდს გაწვრთნის ლევან მგელაძე, რომლის ხელმძღვანელობითაც "დათვებმა" ქვეყნის ჩემპიონატიც მოიგო და თასიც. უკეთესობისკენ მიდის ილია წულუკიძის საქმეებიც. აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტი რამდენიმე თვის წინ დააკავეს და წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. როგორც ჩანს, წულუკიძე ცოტა ხანში მოიპოვებს თავისუფლებას, რაც "დათვებს" უთუოდ სასიკეთოდ წაადგება.

რაკი "დათვების" საქმე გამოსწორდა, გუნდი, წინა წლების მსგავსად, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. კონკურენტები კი, იცოცხლე, მრავლად ეყოლება. უპირველესად ქვეყნის ჩემპიონი "ლოკომოტივი", რომელიც ჩვენში ნებისმიერი ტურნირის ფავორიტია. შედარებით შესუსტებულია "ყოჩები". გუნდი რამდენიმე მოთამაშემ დატოვა, თუმცა, მწვრთნელები იმედოვნებენ, რომ ახალაზრდული გუნდიდან დამატებული მოთამაშეებით უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას შეძლებენ. ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ "ლელო" და "იმედი L - აკადემია". საჩემპიონო ამბიციები არც ერთს არ აკლია, მთავარია, პოტენციალს თუ გამოიყენებენ. რაც შეეხება ქუთაისის "აიას", ამ გუნდის ჩამოწერა, ბუნებრივია, არ შეიძლება, თუმცა, სხვებთან შედარებით "აია" უფრო სუსტი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ჯერ კიდევ თასის გათამაშებისას გამოჩნდა, თუმცა, ქუთაისური სარაგბო სკოლის ამბავი რომ ვიცით, როგორც ვთქვით, "აიას" შეუფასებლობა არაფრით არ შეიძლება.

ჩემპიონატი კი იწყება, მაგრამ იწყება რაგბის კავშირის თავს არსებული არაერთი პრობლემებით. ისევე როგორც წინა წლებში, რაგბის კავშირი უფულობას უჩივის. არც შეპირებული სპონსორები ჩანან. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არც "კასტელის" სპონსორობის ამბავი გამოვიდა და არც "ალდაგის". ფრანგული კომპანია ნაკრების სპონსორი უნდა ყოფილიყო, "ალდაგი" კი - ეროვნული ჩემპიონატისა, თუმცა, მიზეზთა გამო, რომელზეც მომავალში ვისაუბრებთ, საქმე არ გაიჩარხა. უფულობის გამო, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ თამაშები კვლავაც ვარკეთილის მოედანზე გაიმართოს. ყოველ შემთხვევაში, "ლოკომოტივის" სათადარიგო მოედნის დასაქირავებლად საჭირო თანხა ჯერჯერობით არ არსებობს. გულს იმით თუ დავიმშვიდებთ, რომ, როგორც ამბობენ, ვარკეთილში ბალახის საფარი "ლოკომოტივზე" უკეთესიაო.

ორიოდე სიტყვა ეროვნულ გუნდზეც, რომელსაც ორ თვეში ერთა თასის გათამაშებაში მოუწევს ჩაბმა. იანვარში ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრებიან. თავდაპირველად სწორედ აფრიკაში ვიზიტი განიხილებოდა ერთა თასისთვის მოსამზადებელ ეტაპად, მაგრამ რაკი კალენდარი შეიცვალა და ნაკრებსაც ნოემბერში უწევს ასპარეზობაში ჩართვა, დღის წესრიგში დადგა კიდევ ერთი შეკრების გავლის საკითხი. ჩილესა და ურუგვაის რაგბის კავშირებთან მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ ამ ქვეყნის ეროვნული გუნდები ჩვენს ნაკრებს უმასპინძლებენ. თითქოს კარგი ვარიანტია, მაგრამ, როგორც ირკვევა, ჩვენი გუნდის მწვრთნელები არცთუ ძალიან გაუხარებია ამ ამბავს. ისინი უარზე ყოფილან, ოქტომბერში სამხრეთ ამერიკაში ეროვნული გუნდი წავიდეს და, სავარაუდოდ, იქ "ა" ნაკრები გაემგზავრება. ჯერ მგზავრობა, მერე აკლიმატიზაცია და ბოლოს, იქიდან ჩამოსულებს, მალე მოგვიწევს რუსებთან შეხვედრა, ანუ ვიზიტის თარიღი არცთუ მისაღებია და, შესაძლოა, ამან ცუდადაც იმოქმედოს ბიჭებზეო, ითქვა კავშირში. მართალია, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ, სავარაუდოდ, ეროვნული გუნდი სამხრეთ ამერიკაში არ გაემგზავრება.



*სამხრეთ აფრიკელებთან დაპირისპირების შემდეგ ჩვენებს შეიძლება სამხრეთ ამერიკელებთან მოუწიოთ თამაში.*

კალათბურთი

# ნაკრები შეიკრიბა



*ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ პირველად ივარჯიშა.*

პაატა თოთაძე

11 სექტემბრიდან ქართული კალათბურთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პერიოდი იწყება. ამ დღიდან ჩვენი ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაერთვება. პირველ შეხვედრაში ჩვენი მეტოქე ფინეთის ნაკრები იქნება.

მომავალი მატჩისთვის მზადება საქართველოს ნაკრებმა გუშინ დაიწყო. ბრაიკოვიჩი გუნდს დღეში ორჯერ ავარჯიშებს. გუშინდელ ვარჯიშზე მის განკარგულებაში 12 კალათბურთელი იყო. აქედან ორს, ვიქტორ სანიკიძეს და დავით ბერძენიშვილს არ უვარჯიშიათ. დანარჩენი კი ბრაიკოვიჩმა ორ გუნდად გაყო. "შავებში" მოხვდნენ ცქიტიშვილი, ფაჩულია, ირაკლი ბერიშვილი, ხეცურიანი და ცინცაძე, "თეთრებში" - ტუღუში, ნიკოლაძე, ანატოლი ბოისა, გამყრელიძე და კილაძე.

"ყველას ძალიან კარგად აქვს გათვითცნობიერებული თუ რამხელა მისია აკისრია. შეცდომის უფლება არ გვაქვს, თითოეულ მატჩზე მაქსიმალურად მობილიზებულნი უნდა გავიდეთ. ჯერჯერობით ყველაფერიკარგად მიდის, ბიჭები კარგ ფორმაში არიან. ასე რომ, მომავლის იმედი უნდა გვქონდეს. რამდენიმე დღეში სხვა კალათბურთელებიც შემოგვიერთდებიან, გუნდი სრულად შეიკრიბება და მერე უფრო დავლაგდებით", - განაცხადა ბრაიკოვიჩმა. ხვალ დილით თბილისში ვლადიმერ ბოისა და მანუჩარ მარკოიშვილი ჩამოვლენ, საღამოს კი ნაკრებს შემონდ უილიამსიც შეუერთდება. კვლავაც გაურკვეველია ვოვა სტეფანიას ბედი. ერთი სადაზღვევო კომპანია უარს ამბობს მისი ნაოპერაციევი ფეხის დაზღვევაზე, ხოლო ფედერაციის მიერ მოძებნილ სადაზღვევო კომპანიასთან კი კლუბი არ გადის კონტაქტზე. არადა ეს კომპანია მზადაა დააზღვიოს სტეფანია და, რაც მთავარია, ფედერაციაც მზადაა სადაზღვევო კომპანიას დღესვე გადაუხადოს საჭირო თანხა. რა მიზეზით არ გადის "პორტლენდი" კონტაქტზე სადაზღვევო კომპანიასთან უცნობია, თუმცა თუ დღეს არ მოგვარდა ეს საკითხი, შემდგომ ალბათ არც მოგვარდება. ხვალ და ზეგ უქმე დღეებია, შემდგომ კი, შესაძლოა, ვერც მოესწროს ფორმალობების მოგვარება.

# სახლი ვაშლების ბაღში

## ინტერნაციონალური ინტერმედიები

ნოდარ მალაზონია

*(დასასრული)*

დილით ადრე და დღის მეორე ნახევარში, რამდენიმე საათს პლენერზე ვმუშაობთ, გვიან ღამით კი, როცა ცისფერი ეკრანი ქრება, არკადი ივანე ძე დომინოზე გვეპატჟება.

- დავურტყათ, ნადირ?

- არ ვიცი ეს დომინო, არკადი ივანეს ძევ! გაიგეთ, არ ვიცი!

- ამას რა ცოდნა უნდა? - ხუთს მიადებ ხუთიანს, სამს - სამიანს, გაიგე? მორჩა და გათავდა!...

- არ მიყვარს ეს ტკაცატკუცი, მეტი კი არაფერია მაგაში!

- ოო, მაგას ნუ იტყვი, ნადირ! აქ თავიც არის საჭირო, პატარა ეშმაკობაც, აბა, მოდიხარ?

- გაგონილა, ივანოვ, ძალად თამაში?

- მოდი, მოდი, ნუ წუწუნებ! - არ მეშვება არკადი ივანეს ძე.

- ორმა?

- არა, ახლავე სხვებიც მოვლენ!

- გალკუსს შენ მოიყვან აქ? ლოგინშია უკვე.

- არა, რატომ გალკუსი? სხვები მოვლენ! - ოთახში მამედა და ნაზარიანი შემოვიდნენ.

- აჰა, კამანდაც მზად არის! - უხარია ივანოვს. სასწრაფოდ მაგიდას ასუფთავებს, დომინოს კოლოფს პირქვე აყირავებს და ხელებს იფშვნეტს. - ხო, ხო, ხოო... მხოლოდ მუქთად კი არ იქნება! ხომ იცით, ინტერესისათვის, მხოლოდ ინტერესისათვის, - ამბობს და მაგიდაზე ოცკაპიკიანს დებს. ჩვენც იმასვე ვაკეთებთ და შავ კენჭებს ვისაკუთრებთ.

- აბა, ვინ იწყებს? - მე მაგიდაზე ულაზათოდ ვდებ ექვსიანებს. - ვაი, რა უჯიგროდ დადო! - წუხს ივანოვი. მამედა რაღაცას მანიშნებს, ნაზარიანი მთელი სერიოზულობით ჩაეფლო თამაშში.

- აბა, კავკასიავ! დაყარეთ ფარხმალი! - ყვირის ივანოვი და თავის სასარგებლო ქულებს იწერს რვეულში.

- ეჰ, ეს რა უჯიგრო თამაშია! - ვბურტყუნებ მე. მერე დროს და გარემოს თავისი გააქვს და ერთი მეორეს მიყოლებით ტკაცატკუცით ვაყრუებთ იქაურობას. ბოლოს ბედის სასწორი ჩემსკენ იხრება და რამოდენიმე პარტიას ზედიზედ ვიგებ.

- აკი არ ვიციო?! - აბუზღუნდა ივანოვი, - ოი, უყურე ეს რა დადო მამედამ?! ნაზარიან, მიდი, გაკეთდა კაცი! - ახლა ჩემზე აქეზებს ბიჭებს არკადი ივანეს ძე.

- ოი, დედავ, ძვირფასო, ისევ არ მოიგო ამ შულერმა?! აკი არ ვიციო?! ოი, კავკასიავ, კავკასიავ!

- ჩემთან რაღა გინდა?! - თავისთვის ბუტბუტებს მამედა. ნაზარიანი კი ისევ ჩუმად ზის.

- შენთან რა მინდა? ერთი ხართ ყველანი! აკი თამაში არ იცისო? - ახლა იმათ ეცა ივანოვი. მე სიცილით ვიგუდები და აბაზიანებს ჩემსკენ ვიწყობ. ბოლოს მშვიდობიანად ვიშლებით, რაც მოვიგეთ, ერთმანეთს ვუბრუნებთ და ლოგინებისკენ გავრბივართ.

დილით, როგორც ყოველთვის, ჩემი მაღვიძარა მამედაა.

- ადე, ნოდარ! აშენდა ხალხი! ადე-მეთქი, გალკუსმა მეორე ეტიუდი დაიწყო...

საღამოს ისევ ისე.

- აბა წავედით?

- ცოტა გვაცალეთ, არკადი ბიძია! - დაიღრიჯა მამედა, მერე მე მომიბრუნდა, მხარზე ხელი დამადო და კლუბისკენ გამწია. ხელში ყურმილი მომაჩეჩა და მაგიდაზე ტელეფონის ნომერი და მისამართი დამიდო, - გევედრები, მიდი რა, შენ ეს უფრო გეხერხება!

იმჟამად მოსკოვთან დაკავშირება არც ისე იოლი საქმე იყო, ამას ადგილობრივი დაბის კომუტატორი აკეთებდა და ისიც დიდი ხვეწნა-ღრეჯვის შემდეგ. მე ყურმილი ავილე და დათაფლული ტექსტი გავამზადე:

- ქალიშვილო, ძვირფასო, ძალიან გთხოვთ, მოსკოვს დამაკავშირეთ!...

- მოსკოვი გინდათ? - გამოჯავრებით მკითხა კომუტატორმა.

- დიახ!

- გეყოფა მოსკოვი! შე ბერიას ლეკვო შენა. თქვენ ყველანი, ხეზედ უნდა ჩამოგკიდონ...

- მე განუცდელმა, რაღაც შემაძრწუნებელმა გრძნობამ შემიპყრო, თითქოს მეტყველება წამერთვაო და ყურმილი ხელიდან გამივარდა. ვხედავ მამედა გაქრა და მეც მოვიცელე...

როცა თვალები გავახილე, ოთახი სავსე იყო ბიჭებით. ლოგინზედ არკადი ივანეს ძე იჯდა და თავზედ ნაზად მისმევდა ხელს.

- ახლავე გადით ყველანი! - წყნარად თქვა მან. ოთახი უცებ დაცარიელდა. მერე ადგა, ფანჯარა გამოაღო და ისევ ჩემთან ჩამოჯდა. იგი უხმოდ მისმენდა და ვხედავდი, როგორ ფითრდებოდა, შემდეგ უჩუმრად ადგა და გავიდა ოთახიდან. მე მკვდარივით ჩამეძინა.

დილით ისევ მამედამ გამაღვიძა. მას ოთახში კლავდია ივანოვნა - ჩვენი დიასახლისი შემოჰყვა, ერთი ჭიქა რძე და ნამცხვარი მაგიდაზე ფრთხილად დადო, შემხედა და ლოცვა-ლოცვით გავიდა გარეთ.

- ოი, ნოდარ! ერთი მოგესმინა წუხანდელი კონცერტი!

მამედამ ტაში შემოჰკრა! - წუხელის იმ ჩვენს კომუტატორს არკადი ბიძიამ ისეთი დღე აყარა, სულ დედა უტირა, მოვალ, პირში ენას ამოგაძრობო! მოკლედ დაგლიჯა. აფსუს, რომ შენ ამას ვერ უსმენდი!

მოგვიანებით წამოვდექი. ის იყო, თავი წესრიგში მოვიყვანე, რომ ოთახში ისევ მამედა შემოვიდა:

- მიდი, არკადი ივანეს ძე გეძახის! - მე კარი ფრთხილად გავიხურე და ვიწრო დერეფნით არკადი ივანეს ძის კარს მივადექი. ოთახში ორნი დამხვდნენ - არკადი ივანეს ძე და ლამაზი, ქერათმიანი, კოხტა გარეგნობის გოგონა.

- გაიცანით! - წყნარად თქვა არკადი ივანეს ძემ. მე ხელი გავუწოდე გოგონას. იგი სკამიდან ოდნავ წამოიწია, ნაზად ჩამიდო თავისი ხელი ჩემს გაშლილ მტევანში და გაწითლდა.

- კარგი! - ისევ ისეთი ხმით თქვა არკადი ივანეს ძემ. გოგონა უხერხულობისაგან შეიშმუშნა, წამოდგა, ბოდიშიო თქვა, შემხედა და წავიდა.

არკადი ივანეს ძე ჩემს კითხვას არ დაელოდა.

- ის არის!

- ვინ?!

- ის!..

მე ისევ უჩვეულო ალმური მომედო სახეზე.

- კი მაგრამ... - დამება ენა, - ასეთი...

- ეხ ნადირ, რას იზამ ხდება, ესეთი რამეებიც ხდება ხოლმე. - შემდეგ თავისი "ბელამორი" გააბოლა და ღიმილით მითხრა, - გასაგებია ძმაო?! მთავარი ხომ ადამიანობაა, არა?! - ერთგვარი ნიშნის მოგებით მითხრა და გაიცინა.

დერეფანში წელათრევით გამოსულს, გალკუსი შემეჩეხა, ხელში გვირილებით. დამინახა თუ არა შეცბა.

- დაგაგვიანდა, გალკუს!

- ...

- გაფრინდა!

გარეთ ერთად გამოვედით. აგვისტოს მზე თავისი სიჩახჩახის ზენიტშია.

- ახლავე! - ვუთხარი გალკუსს, ჩემს ოთახში შევბრუნდი, "ეტიუდნიკს" ხელი დავავლე და გარეთ გამოვვარდი.

- საით გალკუს?

- საითკენაც გინდა! - გაშალა ხელები გალკუსმა, - თუნდაც, აი, აქ, ყირგიზი რომ შემძვრალა! ნახე, რა ადგილი უპოვია! - თქვა გალკუსმა და ხელი იქით, ტყის განაპირა მხარეს გაიშვირა.

- წავიდეთ! - ვუთხარი მე და პატარა ფიცრული ჭიშკარი გამოვაღეთ.

- მოიცა ბიჭებო, ათესვა არ იყოს! - ყვირის მამედა და ჩვენკენ მორბის, უკან არკადი ივანეს ძე და ნაზარიანი მოჰყვებიან.

მთელი დღე ჩემმა მტერმა ხატა! ვცდილობდით, იქაური დღეები უფერულად არ გაგვეტარებინა, ბიჭები ხან ბურთით, ხან კი ბილიარდით ვირთობდით თავს, მაგრამ იყო მომენტები, როცა უკვე აღარ ვიცოდით, რა უნდა გვეკეთებინა. უმრავლესობა ხომ 20-22 წლისანი ვიყავით, ყველას მართლაც რომ ჩვენი ოფოფები გყვავდა თავში და ახლა ამას ყოველი ჩვენგანის "ჩვენებურობასაც" თუ დავუმატებთ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ ხშირად ვაფრენდით კიდეც.

ივანოვი ამ დროს ჩვენთან არ იყო, იგი თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და თამბაქოს კვამლში თავის ჭიას ახარებდა.

- მოდით, იცით დღეს რა ვქნათ? - გამოვუცხადე ერთ დღეს ბიჭებს. - ყველამ სათითაოდ მოვამზადოთ ნახატი-კარიკატურა, რომელსაც რაღაც აბსურდული, განებავთ ბრიყვული შინაარსის წარწერა ექნება!

- მერე?! - შემომაჩერდა ყველა ერთად.

- მერე თითოეული ჩვენგანი, ათთხუთმეტწუთიანი ინტერვალის შუალედით, სათითაოდ შევიდეთ არკადი ივანეს ძესთან და რჩევა-დარიგება ვთხოვოთ. იგი გაოცდება და დაგვიწყებს სწავლებას, რომ ეს ასე კი არა, ასე ჯობიაო. ჩვენ, რასაკვირველია არ დავეთანხმებით და ყოველნაირად ვეცდებით, დავარწმუნოთ, რომ რაც ჩვენ გავაკეთეთ, კარგია, თვითონ კი ეს ვერ გაიგო. ჯერ ერთი შევა, გამოვა. მერე შევა მეორე, გამოვა. მერე მესამე...

- სანამდე? - იკითხა გალკუსმა.

- ალბათ, სანამ არ გაგიჟდება! - უპასუხა მამედამ.

- არა, გაგიჟებამდე საქმე არ უნდა მივიყვანოთ, მაგრამ...

- არც ბევრი უნდა დავაკლოთ, არა? - აუტყდა სიცილი ნაზარიანს. "საქმიან" დავალებას ბიჭებმა ბევრი დრო არ მოანდომეს.

- პირველი ვინ შევა? - იკითხა ყირგიზმა.

- ვყაროთ კენჭი! - თქვა გალკუსმა.

- არა, პირველი შევალ მე! - თქვა მამედმა.

- აბა, მიდი, მამედ! - ვუთხარი და ყველამ იქითა მხრიდან შემოვუარეთ სახლს, საიდანაც ივანოვის ღია ფანჯრები ბაღს გაჰყურებდა. ვაშლის ხეების ძირას, ბალახებში ჩავწექით და გავიტრუნეთ.

მამედა გაუმჭვირვალე შუშის კარს მიადგა და ენერგიულად დააკაკუნა. არკადი ივანეს ძემ არ დააყოვნა:

- ვინ არის?! მობრძანდით! - პატარა ოთახში იქვე, კართან, კედელზე მიდგმულ მაგიდას ივანოვი უჯდა. ოთახში შავი, დაბალი, თითქოს მუდამ წვერგაუპარსავი მამედა შევიდა.

- შეიძლება, არკადი ივანეს ძევ?!

- მოდი, მოდი, აკი გითხარი! - ივანოვი საწოლზე გადაჯდა და თავისი ტაბურეტი სტუმარს დაუთმო.

- გამარჯობათ, არკადი ბიძია! - უცებ გაუშინაურდა მამედა, როგორა ხართ, რას მოღვაწეობთ, როგორ მიდის საქმეები?! - მამედას ხმა თანდათან ებზარება, თავს აქეთ-იქეთ უაზროდ აბრუნებს.

- არა მიშავს, ღვთის წყალობით ვარ, მამედ! რაშია საქმე? რამ შეგაწუხა?

- აი, ნახატი-კარიკატურა გავაკეთე, არკადი ბიძია და მინდა, რჩევა-დარიგება მომცეთ! - ივანოვმა სათვალე მოიმარჯვა და ხელი გაუწოდა სტუმარს. მამედმა აკანკალებული ხელით ნახატი მიაწოდა. არკადი ივანეს ძემ გამოართვა, ცოტა ხანს უყურა, მერე მამედას შეხედა.

- სულ ეს არის!

- კი! - ივანოვი ისევ ნახატს დააშტერდა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა: "რას უშვებს თქვენი ქარხანა?" "სათადარიგო ნაწილებს". სულ ეს არის? - ისევ გაუმეორა ივანოვმა.

- სულ ეს არის.

- როგორ? - გაუკვირდა ივანოვს.

- რა, გაუგებარია რამე? - უტიფრად იკითხა მამედმა.

- არა, აქ ყველაფერი გასაგებია. - უპასუხა ივანოვმა.

- მაშინ მით უმეტეს. - უთხრა მამედმა.

- რა მით უმეტეს?! გასაგებია ის, რომ არაფერი არ არის გასაგები!

- რა, სასაცილო არ არის, არკადი ბიძია?

- სასაცილო? - ცოტათი შეიშმუშნა ივანოვი.

- როგორც გეტყობათ...

- რა, როგორც მეტყობა?! - შეაწყვეტინა მამედას არკადი ივანეს ძემ, - თქვენ რა, წინააღმდეგი ხართ, რომ ქარხანამ სათადარიგო ნაწილები გამოუშვას?

- კი!

- რა, კი?! ესე იგი, ქარხანამ სათადარიგო ნაწილები არ უნდა გამოუშვას?

- არა!

- როგორ? აბა, როცა გაცვდება, რით უნდა შევცვალოთ?

- არ უნდა გაცვდეს!

- არ უნდა გაცვდეს, ეს ერთია, მაგრამ, თუ გაცვდა?

- მით უმეტეს!

- რა, მით უმეტეს?! თუ მაინც გაცვდა-მეთქი გეკითხებით!

- არ უნდა გაცვდეს! ჩვენ გარეთ სიცილით ვიგუდებით და მამედას "იდიოტობით" აღტაცებულნი ვართ.

- კარგი, არ გაცვდა, გატყდა!

- რატომ უნდა გატყდეს?

- ბიჭო, ვთქვათ, რაიმე დაეჯახა და გატყდა, მაშინ? ხმას აუწია ივანოვმა.

- არ უნდა დაეჯახოს!

- ერიჰაა! - ხელები შემოჰკრა არკადი ივანეს ძემ, - ახალგაზრდავ, კარგი, არც გატყდა და არც გაცვდა, უბრალოდ, დაძველდა, მაშინ?!

- ...

- მოიცა! შენ რა, გინდა, ქარხანამ სათადარიგო ნაწილები არ გამოუშვას? - აუწია ხმას ივანოვმა

- მე მინდა ისეთი რამ გამოუშვას, რომ შემდეგ ისევ არ გამოუშვას.

- არა! არა! - ეხლა უკვე აყვირდა არკადი ივანეს ძე, - სამრეწველო მოდიფიკაციის საკითხებს ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, მოკლედ გეტყვი, რომ ამაში ბიძიკო, იუმორი არ არის! - თქვა ეს და თითქოს შვება იგრძნოო, ფეხზე წამოდგა.

- აა!.. სასაცილო არ არის? თურმე რისი თქმა გდომებიათ, ბიძია არკადი! აბა რა გითხრათ, მაგაში კი მართლაც ვერ დაგეთანხმებით!

- რაო?! ვერ დამეთანხმებითო?! ამაზე რა დათანხმება მჭირდება, "რას უშვებს თქვენი ქარხანა?" "სათადარიგო ნაწილებს!" - გამოჯავრებით იკითხა ივანოვმა, -

ხი, ხი, ხიი... რა სასაცილოა!

- აკი გაიცინეთ, არკადი, ბიძია?! წეღან კი მითხარით, სასაცილო არ არისო!

- მე, შვილო, სისულელეზე მეცინება! ჟურნალში კი ასეთი სიბრიყვე არ წავა, გაიგე?! არც ერთ ჟურნალში! ვფიქრობ, მე ცოტათი შენზე მეტი უნდა გამეგებოდეს,

- ეს კიდევ საკითხავია, არკადი ბიძია! - ახლა სულ გათავხედდა მამედა.

- რა არის საკითხავი?! საკითხავია ის, რომ ასეთ იდიოტობას, - უკვე ღრიალებს ივანოვი, - უაზრობას რომელიმე ჟურნალი დაბეჭდავს?!.

- რატომ, რატომ, არკადი ბიძია?! მაგალითად, ჩვენთან, ბაქოში!..

- რა, ბაქო?! ბაქო რა სხვა ქვეყანაა?! გაჩერდი, ვინმემ არ გაიგონოს! წადით, ახლავე წადით და შეცვალეთ თქვენი თემა, შეცვალეთ, გაიგეთ?! ეს გაუგებრობაა, გესმის?! პოლიტიკური გაუგებრობა!..

- კი მაგრამ, რაზე მიწყრებით, ბიძია არკადი, ეს არის თქვენი მამობრივი რჩევა-დარიგება?!.

- რა შუაშია მამობრიობა?! - ივანოვმა კარი გამოაღო. მამედა მიხვდა, რომ ეს ის დრო იყო, როცა უნდა გასცლოდა იქაურობას და, არც კი გამოემშვიდობა არკადი ივანეს ძეს, ისე გამოვარდა გარეთ.

- როგორი იყო ბიჭებო?! - მგონი წამოეგო! - ხითხითით მორბის მამედა და ჩვენს გვერდით ბალახებში გორავს.

- ახლა ვისი ჯერია? - ვიკითხე მე.

- ჩემი, - თქვა სიმპათიურმა გალკუსმა და შარვალზე აკრული ხოზიკები ფრთხილად აიძრო.

- შეიძლება?

- მობრძანდით! აა... ეს შენ ხარ, გალკუს?! მოდი, რაშია საქმე? -

ნახევრადაფორიაქებული ეკითხება კარში მდგომ გალკუსს ივანოვი.

- დიახ, არკადი ივანეს ძევ! - თავაზიანად პასუხობს გალკუსი და ნაზად ისვამს ხელს კარგად დაწყობილ თმაზე.

- რაშია საქმე, გალკუს?

- მე რჩევისათვის მოვედი, არკადი ივანეს ძევ!

- რა რჩევისათვის?

- აი, ნახატი გავაკეთე წარწერით და თქვენი აზრი მაინტერესებდა.

- აბა, მაჩვენეთ! - გალკუსმა ნახატი მიაწოდა.

- "სად მიგყავს ძროხა?" "აგერ, სოფლის განაპირას უნდა ვაბალახო!" (ნახატზე კაცს ძროხისთვის ბაწარი ჩაუბამს და წინ მიუძღვება, ღობეზე მომდგარი დედაკაცი კი ეკითხება). ივანოვმა ისევ წაიკითხა ხმამაღლა, მერე ნახატი გადააბრუნა და იქ რომ გაგრძელება ვერ ნახა, გაუკვირდა: - ეს არის, მორჩა?

- დიახ!

- მერე რა, რომ კაცს სოფლის განაპირას მიჰყავს ძროხა?! რა, სოფლის განაპირას ბალახობა აკრძალულია?!

- არა, მაგრამ...

- რა, მაგრამ!

- რატომ უნდა აბალახოს სოფლის განაპირას?

- ვითომ, რატომ არ უნდა აბალახოს? კოლექტივს რომ სამყოფი თივა ჰქონდეს, არკადი ივანეს ძევ, მაშინ ხომ ძროხას სოფლის განაპირას არავინ წაიყვანდა?

- კი მაგრამ, ჩვენ როგორ გავიგოთ, რომ კოლექტივს თივა გაუთავდა?

- ძროხას არ ეტყობა?

- დაუშვათ ეტყობა!

- მერე?

- მერე ის საიდანღა გავიგოთ, გალკუს, რომ ეს კოლექტივის ძროხაა?

- მგონი, ესეც ეტყობა, არკადი ივანეს ძევ!

- არ არის სასაცილო! - უცებ გამოერკვა ივანოვი.

- მოკლედ, ეს არ არის სასაცილო! გაიგეთ, გალკუს? - ახლა უკვე მხედრული ტონით თქვა ივანოვმა.

- რატომ? მე მგონია, რომ ძალზე სასაცილოა, არკადი ივანეს ძევ! - ისევ წყნარად და თავაზიანად თქვა გალკუსმა.

- არ არის სასაცილო, გალკუსს! მე ამაზე არ მეცინება, გაიგეთ?!

- ჩვენთან ამაზე სიცილით მოკვდებიან, არკადი ივანეს ძევ! - აუწაპნა ფრაზა გალკუსმა მამედას.

- სად თქვენთან?! როგორ, თქვენთან და ჩვენთან რამ გაყო?! იუმორი იუმორია, გალკუს! - აყვირდა ივანოვი, - როგორ, ძროხა რომ სოფლის განაპირას საბალახოდ წაიყვანოს კაცმა, განა ეს სასაცილოა? რამდენჯერ მიბალახებია ბავშვობაში ძროხა სწორედ სოფლის განაპირას, მდინარის ახლოს, მდელოზე, იმდენი სიკეთე მე! თქვენ კი მიმტკიცებთ, რომ თურმე სასაცილო ყოფილა. ასეთ იდიოტობაზე ვინ გაიცინებს იდიოტის გარდა, იდიოტობისათვის კი ჩვენი პრესა ვერ მოიცლის! გაიგეთ გალკუს?! არც ერთი საბჭოთა ჟურნალი ასეთ იდიოტობას არ დაბეჭდავს?! დამიჯერეთ, მე ეს ვიცი!..

- თუ არ გაიცინებს, ააღელვებს მაინც!

- ააღელვებსო?! მერე მარტო მღელვარებას რა მოაქვს, ყმაწვილო?! ჩვენ ხომ იუმორისტები ვართ, ოი ღმერთო ჩემო, ეს რა თაობა მოდის? არა, გალკუს, არა! დღეს ჩვენ ვერ შევეწყობით, მე თქვენ ძალიან დიდ პატივს გცემთ! ხვალ, გთხოვთ, ხვალ, აი, წახვალთ, დაფიქრდებით და მერე მეტყვით მადლობას, არკადი ბიძია, თქვენ მართალი იყავითო!..

- მე თქვენ ამისთვის არასდროს გეტყვით მადლობას! - წყნარად თქვა გალკუსმა.

- რა?! გალკუს, თქვენ თავხედი ყოფილხართ! ახლავე!.. - გალკუსმა მოუსვა, მას იქ უკვე აღარ დაედგომებოდა. - ბიჭუშკავ, თავხედო!.. - ისევ ისმოდა გაავებული არკადი ივანეს ძეს ყვირილი.

- მოიცა, გინდათ შეგჭამოს?! - უცებ წახდა ნაზარიანი,

- არა, მე იქ შემსვლელი არ ვარ! - ცოდოა კაცი! არა, მე ვერ წავალ! ბიჭებო, რაც გინდათ, ის თქვით ჩემზე!

- კარგი, მე წავალ! - თქვა ყირგიზმა და სამხედრო სალმით დაგვემშვიდობა.

- ცოტა აცალე, დაწყნარდეს! - წასულს ჩურჩული დაადევნა ნაზარიანმა, - ან, მთავარია, დროზე მიხვდე, როდის უნდა აითესო!..

- არკადი ბიძია, ეს მე ვარ, ყირგიზი, შეიძლება? - კარიდანვე დათაფლული ხმით დაიწყო ყირგიზმა.

- რაო, ყირგიზ, შენ რაღამ მოგიყვანა? - ჰკითხა ლოგინზე წამოწოლილმა ივანოვმა.

- მე?! - უცებ გაფუჭდა ყირგიზი.

- რა შენ, შენც ნახატი ხომ არ მოტანე წარწერით?

- დიახ, სწორედ მასეა, არკადი ბიძია, როგორ მიმიხვდით?

- აი, ასეთი მიხვედრილი ვარ მე. აბა, მოიტა, აქეთ მომაწოდე! - ყირგიზი საწოლისკენ გადაიწია და ივანოვს ნახატი მიაწოდა.

"რატომ ძირს არ ჩამოხვალ?" - ეკითხება ქუჩაში მდგომი ახალგაზრდა კაცი ფანჯარაში გადმომდგარ ახალგაზრდა კაცს, - "აბა როგორ ჩამოვიდე, ჩემს სახლს ხომ კიბე არა აქვს?!" - პასუხობს ფანჯარასთან მდგომი კაცი.

- კი მაგრამ, კიბე ვითომ რატომ არა აქვს? - უცებ იკითხა ივანოვმა და იმ წამსვე საწოლზე წამოჯდა.

- დაავიწყდათ, არკადი ივანეს ძევ! - შიშნარევი ხმით უპასუხა ყირგიზმა.

- რა დაავიწყდათ?

- კიბე.

- ვის დაავიწყდა!

- მშენებლებს.

- აბა, ზემოთ როგორღა ავიდა!? როგორ ავიდა ზემოთ, ამაზე აღარ გიფიქრია, არა? იქნებ ეს თქვენებური ყირგიზული ხუმრობაა, ა?! ხმა! ხმა არ ამოიღო! - ფეხზე წამოიჭრა ივანოვი, - მოუსვი აქედან, მოუსვი, იქნებ არც იცი, რა ფსიხი ვარ?!.. ყირგიზი კარისკენ შებრუნდა, - აქ ვინ გამოგგზავნა, ვინ?! ვინ, ვინ არიან თქვენი პატრონები?! იქნებ, ესეც სასაცილოა და მე ვერ ვხვდები, ა?!. კარი როგორც გააღე, ისევ ისე მოკეტე! სად გარბიხარ, შე ჩოფურა, შენა?! დღეს რა, შეიშალეთ, თუ მე გინდათ შემშალოთ, ვიგინდარებო!..

- ახლა მორჩაა! - ახლა მართლა აღარ წავალ! - ქოთქოთებს ნაზარიანი და მერე ვაშლის ხის ძირას მოგორავს, - ნოდარ, აი, ნახავ დავილუპებით, აქედან ხომ გაგყვრიან და გაგვყრიან, არც შინ დაგვადგება კარგი დღე!

- კარგი, ახლა მე წავალ! - ვთქვი, სამჯერ პირჯვარი გადავიწერე და ფრთხილად სახლს შემოვუარე, ცოტა ხანს შესასვლელში დავაყოვნე, მერე ფეხების ბრახუნით შევედი იმ ვარაუდით, რომ ახლა იქნებ თვითონ გამოეხედა. როცა მივედი, კარი ღია იყო. დამინახა და შეცბა. უკან დაიხია, ლოგინზე ჩამოჯდა და ხელით მანიშნა, შემოდიო. მე ოთახში შევედი და ფრთხილად სკამზე დავეშვი.

- რაშია საქმე, ივანოვ, ხომ არ დაიღალეთ? - იგი ისევ დუმს, მიყურებს და ცდილობს, სიგარეტს მოუკიდოს.

- დავიღალე! დავიღალე კი არა, კინაღამ გავგიჟდი!

- რა მოხდა, ძია არკადი, ისევ კლავდია ივანოვნამ ხომ არ აგირიათ?

- რა შუაშია კლავდია ივანოვნა?! აი, შენმა ძმაკაცებმა ამირიეს, ამიშალეს ნერვები!...

- ვინ ჩემმა ძმაკაცებმა?! - გავიკვირვე მე და თვალი მოვავლე იქაურობას.

- ყველამ! - იყვირა ივანოვმა.

- ვერაფერი გავიგე არკადი ივანეს ძევ! მითხარით, რა მოხდა?!

- რა ვიცი, რა მოხდა?! პირი შეკრეს თუ რა, ყველას დღეს მოუნდა ჩემგან ჭკუის სწავლება! არადა, რას ვიფიქრებდი, თუ ასეთი იდიოტები იყვნენ?!

- რა?! იკამათეთ რამეზე?!

- რა ვიკამათე, ვიჩხუბე, რაღაც ერთიმეორეზე უარესი თემები მომიტანეს, ვეუბნები - არ ვარგა! ისინი მეუბნებიან - კარგიაო! მე ვეუბნები - სასაცილო არ არის! ისინი მიმტკიცებენ - სასაცილოა! გაგონილა?! მე, მართალი გითხრა, ნადირ, გულის ტკივილით გეუბნები, მამაშვილურად, არ მეგონა, თუ ასეთი განუვითარებლები იყვნენ, არადა, ვუყურებ, ნახატი ოსტატურადაა შესრულებული. ხატავენ ღმერთივით, აზროვნებენ ბრიყვებივით!

- ვინ იყო მაინც, არ მეტყვით?

- აკი გითხარი - ყველა: ყირგიზი, გალკუსი, მამედა...

- ნაზარიანი არ ყოფილა?

- არა, ეგღა მაკლდა!

- კიდევ კარგი, ეგ ხომ სულ კრეტინია! - ამ დროს ხმას ავუწიე და თვალები ფანჯრისკენ გავაპარე.

- არა, აკი გითხარი, ხატავენ ზორბად!..

- კარგი, რა, არკადი ძია! ხატავენ არა - იხვი! რისი ხატვა, რა ხატვა?! ტყემალზე სხედან! თქვენ ახლა აზროვნებაც მოსთხოვეთ! რა აზროვნება უნდა მოსთხოვო მაგათ, ერთი მეორეზე იდიოტები არიან! ნეტავი თქვენ, რომ მაგაზე იშლით ნერვებს!

- ეგ რა გიჭირავს ხელში? - მოულოდნელად მკითხა ივანოვმა და ხელებში მომაშტერდა.

- ნახატია რაღაც.

- წარწერით?

- არა, უტექსტო ხუმრობაა.

- აბა, მაჩვენე!

- ნახეთ, მგონი კარგი რაღაც გამომივიდა, - ვთქვი და ნახატი მივაწოდე.

